ივერია

1881

№ III, მარტი.

თბილისი
ეკვთიმე სულხანის სტამბა
1881

შინაარსი:

I რომანი დიდ-ხევაში, ეკ. გაბაშვილისა. . . . 3

II ბრძოლა (ლექსი), იოსებ ბაქრაძისა 51

III ნუ ჰკარგავ იმედს (ლექსი), მისივე. 52

IV ვეკფილდის მოძღვარი, რომანი ოლივერ გოლდ-სმიტისა (შემდეგი) 54

V აჩრდილი, პოემა ილია ჭავჭავაძისა (დასასრული). 99

VI ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ, ნ-ისა . 104

VII შინაური მიმოხილვა 127

VIII ორიოდე სიტყვა ბ.— თ—მ—ის სტატიის „შარშანდელ რუსეთის“ თაობაზედ, ს. ნ—ლი-სა 137

IX ახალი წიგნები 145

X ძარგი ნიშნები (ყდაზედ).

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

5 990

წელიწადი მეხუთე.

№ III

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი.
ტფილისი.
ბეჭდილია ხელაძის სტამბა, ალექსანის ქუჩაზე.
1881

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Февраля 1881 г.

რომანი დიდ-ხევაში.

შუა ზაზთარია. სოფელს დიდ-ხევაში თოვლი ადლზე სდევს. სახლები წასულია თოვლისგან და ერდოებიდან რომ ბოლი და ნაბერწკლები არ ამოდიოდეს, კაცს გაშლილი მინდორი ეგონება. საშინელი სიჩუმეა. ძალლებიც კი არა ჰყეფენ. მარტო აქა-იქა დიდრონან მუსებს დიდი, თოვლით დატვირთული ტოტები დაუშვიათ და დასცქერიან გაჩუმებულს სოფელს. სოფლის ბოლოს, გზის პირას, სდგას მიწური სახლი. ამ სახლის ერდოდამაც ძლიერი ცეცხლის ბოლი ამოდის. კარებ-წინ, დიდ თოვლზე, მრავალი ფეხის კვალია.

ეს სახლი არის ოსტატ—ტასიასი. ტასია კარგა ხნიერი დედა-კაცია. თავით ფეხამდე შავებშია ჩაცმული. ეს კერას ასლოს ჭილობზე ზის და წინ ჭურჭლის ჩარხი უდგია: ქოთანს აკეთებს. გარშემო ხუთი თუ ექვსი შეგირდი უზის და სწავლობს.

— ოსტატო, აბა ნახე, როგორი მოკითხვის წიგნი დავწერე.

— კარგია, შვილო, შენ მაინც კარგი ხელი გაქვს. ისე სწერ, როგორც თავადიშვილის ქალი.

— ოსტატო, უთხრა მეორემ, აბა ჩემი უკვალოცა ნახე.

— ოსტატო, მე როდისდა დამაწყებინებ ქალაქდზე წერასა? გულ-დაჩაგრითა ჰკითხა ყველაზედ უფროსმა ქალმა, რომელიც ბეჭზე სწერდა წათლილი ინდაურის ფეთითა.

— ღმერთი მოწყალეა, შვილო, გაზვიადულამდის შენც კალამს აიღებ. აქამდისაც აგაღებინებდი, მაგრამ დედა-შენი მარილე არა შვრება, სადა მაქვს ერთი მანათი, რომ კალმის ასაღებში მოგცეო.

— ოჰ, ღმერთო, რა რამ არის ის დედა-ჩემი, ამოდენა გოგო კარ და პატარა ბალღივით ისევ ბეჭზე ვწერ.

— დილა-მშვიდობისა, ოსტატო! წამოსთქვა მაღალმა და ლამაზმა, მოსსვეპილმა გოგომ, რომელიც გაქანებული შემოვიდა დარბაზში და უცბად შედგა, თავისი ამსანაგები და ოსტატი საქმეში რომ დაინახა.

— სად იყავ მარო აქამდის? ჩვენ წავიკითხეთ კიდეცა ჩვენი დასები, დავწერეთ და ასლა ქისის ქსოვას უნდა მოვუვეთ.

— მარომ თუ არ დაიგვიანა, არ იქნება, ცოტა უკედრებითა სთქვა ტასიამ.

— რა ვქნა რომ დავიგვიანე, გაიცინა მარომ. ერთ წამში გავაკეთებ იმას, რასაც თქვენ მთელი დილა მოუნდით და ეხლაკე დაგეწევით.

მარომ სიჩქაროდ აიღო ჭუჭეიანი რვეული, მიუჯდა ტასიას და მაღალის ხმით წაიკითხა:

«აწ საუკარელსა მივუწერ გულ-ამოსკვნილი მტირალი;
მისმანვე ცრემლმან დაუკსის, ვის ედებოდა ვის ალი.
დასწერა წიგნი მსმენელთა გულისა გასაგმირალი;
ჯ კარდი გაიპის, გამოჩნდის მუნ ბრილი გამოჭვირვალი.»

ამის კითხვას ყველამ ყური დაუგდო; ისე წარმოსთქვა ეს ვეფხვის-ტყოსნის სიტყვები, თითქო განთიადზე ტორონლამ დაიგუგუნაო. მერე აიღო ხელის ოდენა ნახევი ქაღალდი და საწერ-კალამი თაროდგან და მუხლზე დასწერა.

ტასიამ დაწერილიც მოუწონა.

მარო, როგორც ზემოდა ვსთქვი, მაღალი და წამოსაღეგი გოგო იყო. მის ხორბლის ფერს, გარდაშლილ ბირის სახეს ამშვენებდენ ორი მაყვლის ფერი თვალები, რომელნიც არასოდეს არ შეჩერდებოდენ. ფონთო ცხვირი და მსხვილი ალისფერი ტუჩები ლაზათს აძლევდენ, თუმცა მშვენიერს კი არა, მაგრამ ძლიერ სასიამოვნო და ტოტსალ სახეს. ყოველივე მიხვრა-მოხვრა მარჯვე. ყოველი იმის სიტყვა იყო ტკბილი და ტოტსალი. თავის ამხანაგ გოგოებში მარო, როგორც მარგალიტი, ისე ირჩეოდა. თამაში, ლხინი, არაკები ზამთარში და არიფანები ზაფხულში უმაროოთ არ შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში მარო ყოველივეს მოთავე იყო. მაროს დაირას, «ბუზიკას» და სიმღერას ვისი შეედრებოდა! ამ დარდიმანდობასთან მარო კი მუშაც იყო. ვის შეეძლო ამაზე ადრე ადგომა და სახლის მოვლა, ძნის მიწოდება, კალოს გაშლა ჯ თუ ნებას მისცემდენ, არც სიმინდის მოჭრაში ჩამოუარდებოდა ვაჟ-კაცებს. მარო მთელი დიდხევას საყვარელი იყო. თუმცა ბევრს დედასა შურდა ამის სილამაზე, მაგრამ მაროს ისეთი რაღაც თვისება ჰქონდა რომ, რამ წამს დაინახავდა მას, მტერიც კი მოუყვარედ გადექცეოდა.

მარო ჩვიდმეტი წლის საპატარძლო ქალია და ყველას უმეცრს, რომ სოსიკა მგელაძე, ამის მამა, აქამდის არ ათხოვებს. საქმროები მაროს მრავალი ჰყავს. მთელ ამ მხარეზე ბიჭი არ არის შელერებული რომ არ ეთხოვნოს. იმისთანა საქმროებიც ჰყვანდა მაროს, რომ ოცი თუმნის მოტანასაც არ დაიზარებდენ, მაგრამ სოსიკა არა ჩქარობს. ეს თითქო გრძნობს, რომ ამისთანა ტოტსალ და მხიარულ გოგოს გათხოვება ფრთებს შეაკვეცს და არ ეშურება თავის ტორფოლას სმა გამოსწყვიტოს ოჯახში.

წერის შემდეგ გოგოები გაკიბრდენ ქსოვაში. ყველამ თანასწორად ძაფები გადაისვიეს და მოჭყვნენ გაჩქარებულ ქსოვას. ვინც ქსოვაში ჩამორჩებოდა, უნდა კარიმად ასი ფეთილა მატყული დაერთა ტასიასი.

რამდენიმე ხანი სიჩუმეა. ტასიას ჩარხს გაუდის გრიალი და შუა ტეტნლს გუგუნი.

უცებ გაიღო კარი და შემოვიდა პავლე.

— დედას კაუმარჯოს. ეგრე როგორ გართულხართ საქმეში, რომ ტხენით მოგელ კარებზე და ვერა გაიგეთ-რა?

— შენ კი გესაცვალოს დედის თვალები, ჩემო მშვენიერო, დაიკივლა ტასიამ, უმაწვილი ქალივით სწრაფლად წამოხტა და მოეხვია თავის შვილს.

— შვილო, პავლე, შვილო! კაი შენ დედას ამ საშინელ თოვლში სად გივლია? ხომ გაიყინე გესაცვალოს დედა. გოგოებო, ახლა შინ წადით, თქვენთვის აღარა მცალიან. სამი წელიწადია ჩემი პავლე არ მინახავს და მინდა ამაზე გავიხარო. სვალ, შვილო, ხომ კვირაა, და ორშაბათამდის მშვიდობით.

გოგოებმა ხელ-საქმე და წიგნები შეინახეს, დარბაზი დალაგეს, ტეტნლს შეშა დაუმატეს, შეკაკანდს. წყალი დაასხეს და გასწიეს შინისკენ.

— შვილო, მარო, გესაცვალოს შენი ძალუა, შენ ნუ წახვალ, დღეს დამეხმარე. წადი ბოსელში, მეგრელა ვარია დაიჭირე და დაკვლევინე ვისმე. ამ სიშორეთ მოსულა ჩემი პავლია და ცარიელ ლობიოს ხომ ვერ ვაჭმევ.

— აბა შვილო, პავლე, რას აკეთებდი, გესაცვალოს დედის თვალები, ამ სამ წელიწადსა? მიამბე შენი ალიან-ჩალიანი. როგორ გალამაზებულხარ, შვილო, რამოდენა წვერ-ულვაში ამოგ-

სვლია, ჩემო ვაჟ-კაცო. ესლა შენ რა კი შინ დამიბრუნდი, სულ-ასლად გაუმაწვილდება დედა-შენი ტასია. ჭა, შვილო, სომ აღარ გამეჭცევი? მეორედ შენს განშორებას ვეღარ აიტანს ჩემი ბებერი ძვლები! არა, შენ მაგას არ მიზამ? აკანკალებულ სმით ზედი-ზედ აურიდა სიტყვებს ტასია თავის შვილს და სიყვარულით შესტქერდა თვალებში.

— არა, დედა, თავს აღარ დაგანებებ, თუ ღმერთი არ გამიწყრა და ლაქიობამ არ წამძლია. მაშინაც რომ მოვედი, კამბობდი აღარ წავალ-მეთქი, მაგრამ განა არ გასსოვს ჯავრით კინაღამ მოვკვდი და შენ თითონ სული მომიმართე წასასვლელად. მე ესლა ძალიან გულ-მოწყვეტილი და დაღონებული დავრჩი ქალაქში, თორემ იქნება ესლაც არ წამოსულვიყავ. დასწყევლოს ღმერთმა! დიდ-ქალაქს რალაც მიმზიდველი ძალა აქვს, და შეჩვევაც, სომ იცი დედა, დიდი რამ არის. ესლა, როდესაც ჩემი ბატონი გიორგი რუსეთს წავიდა ჯ მარტო დავრჩი, ისევ შენთან წამოსვლა ვარჩიე: გიორგის შემდეგ შენზე უკეთესი ვილა მყავს!

— კაი ჩემი ბრალი, შვილო, გიორგი გირჩევნია დედა-შენის თავსა? ჩემი უმაწვილ-ქალობა ჯ კანი შენ შემოგალიე შვილო ჯ გიორგის შემდეგ შენაო. ოჭ, მადლობა შენთვის ღმერთო.

— დედა, რად გეწყინა, გიორგი ისე მიყვარს, როგორც კარგი და ვატიოსანი ჩვენი ბატონი და ამსანაგი, და შენ ისე, როგორც დედა. უნდა იცოდე რა უმაწვილია გიორგი და შენ თითონვე შეგიყვარდება. ვენაცვალე იმის ვაჟ-კაცობას! კითომ ის ბატონია, თავადიშვილი და მე უბრალო გლესი. ისე მეჭცეოდა, როგორც თავის ნამდვილ ძმასა. გიმნაზიიდამ რომ მოვიდოდა და სადილს შემდეგ უროკებს მოამზადებდა მეორე დღისთვის, დამიძახებდა თავის ოთახში და მასწავლიდა ფეელა-

ფერს, რაც კი თითონ იცოდა. წერა-კითხვა, არითმეტიკა, გეოგრაფია, რა გითხრა, რომ მე არ მასწავლა. ოგველთვის ქართულ წიგნებს მიკითხავდა; როცა კი შინ არ იყო, მე თითონ ვკითხულობდი და მოვიდოდა თუ არა, წანაკითხს ვუამბობდი სოლმე. რუსული მასწავლე-მეთქი, ვეხვეწებოდი, მაგრამ არ მასწავლა. მანამ რუსულს ისე კარგად ისწავლი, რომ ამ ენაზე წიგნები წაიკითხოო, შენს ენაზე, ვინ იცის რამდენის წაკითხვას მოასწრობო. თავის გულის ხასიათს სულ მე მიამბობდა. დედა და ის ცოტა კარგად ვერ არიან და მე ვიყავ იმისი დედაცა და ამხანაგიც. წასვლის დროს ბევრი იტირა, ჩემმა კარგმა; ერთი ვიღაცა გიმნაზიის ქალი უყვარდა, მაგრამ რას უშველიდა! უთოოდ უნდა წასულიყო უნივერსიტეტში და ან იმ ქალისთვის თავი უნდა დაენებებინა, ან სწავლისთვის. რასაკვირველია, სწავლამ და დედის სურვილმა დასძლია. წავიდა პეტერბურგს. ბევრს ვეხვეწე, მეც თან წამიყვანე-მეთქი, მაგრამ არ შეიძლებოდა, ჩემ საყოფ ფულსაც ძლივს გამოიგზავნის დედა და შენ რითი გარჩენოო. მე გიორგიმ მირჩია შის დაბრუნება, დედა. იმან მითხრა რომ სოფლის მუშაობა უფრო საპატიოსნო და კაცის შესაფერი საქმეა, მანამ სხვის ბძანების შესრულება და სელებში ტქერაო. მეც გავუგონე. და ან კი შესაძლებელი იქნებოდა, რომ ჩემი გიორგის შემდეგ მემსახურნა ვისთვისმე? მე მოსამსახურე კი არა, ამხანაგი ვიყავ და სხვა ვინ მიზამდა ამ საქმეს. დიდი ქალ-ბატონი კი ჩიზღობდა ჩვენს ამხანაგობას მაგრამ ვინ დასდევდა.— ახლა, დედა, მე ოცდა-ათი თუმანი მოვიტანე, ჩემს ჯამაგირს გადავარჩინე. როგორ გინდა მოვიხმარო, რა გავაკეთოთ?

მარომ ამათ ლაპარაკში საჩქარად ქათამი გააკეთა, ერ-

ბოში მოსრეკა, ჭილობზე ფარდაგი გადაშალა და სუფრა დაგო.

ტასიამ თავის მუთაქაზე თავის შვილი დასვა, შუაში თითონ დაჯდა და ბოლოს მარო მოისვა.

— შვილო, შავლე, ვინ იცის ვეღარც კი იცან ჩვენებიანთ მარო.

— ვეღარა, დედა, რამოდენა გაზდილა, გალამაზებულა. რისგან არის აქამდის სოსიკას არ გაუთხოვებია?

— შვილო, ხომ იცი, რომ სოსიკა ერთი ქალიშვილის კაცია. იმან თუ მთელი დღე არ იმღერა და არ იმასხარავა, ხომ ვერ გასძღებს. ეს ერთი გოგოლა დარჩა სახლში და ეშინიან, რომ გაათხოვოს არ გამოყრუვდეს. ცოლი სულ ავად არის და აბა თუ მარომ სახლს არ უპატრონა და არ იღიღინა, რა გაამღებინებს სოსიკასა.

— ეგ სოსიკასთვის კი კარგია, მაგრა მაროს კი არა ჭკითხავს! ჭა, მარო, შენ რას იტყვი?

მაროს ცოცხალი ბუნებისთვის ამდენი ხნის სიჩუმე საშინელება იყო და გაეხარდა რომ ძლივს შესვდა ხმის ამოღება. დასძლია სირცხვილს ლაპარაკის სურვილმა.

— სხვა კარგი რამა სთქვით, თორემ გათხოვება ხომ ჩვენს იქით სად წავა! სთქვა მარომ. თორეში ჩაკიდებას კი მოვესწრები და გოგოობას კი ვეღარა. ამ სიტყვაზე მარო გაწითლდა და გაჩუმდა, თითქო მოაგონდა რომ უცხოსთან ესეები არ უნდა ეთქვა.

— სხვა, დედა, ახლა შენი ამბავი მიამბე; ჩვენი სოიელისა. როგორა ხართ, როგორი მოსავალი მოგდით?

— აბა, შვილო, ჩემი სიცოცხლე უშენოდ რა იქნება. ვაგეთებ ძველებურად ქოთნებს, ვებებიაობ, ორ-სამ სოფელში, ვექიმობ, შეგირდებსა ვზდი და ამითი ვცხოვრობ. ჩემი ოჯახი

არა მაქვს შვილო და სხვის ოჯახის ჭირითა ლ ლხინით ვსარობ. შემოდგომაზე გოგოები დამითხოვდებიან, იმათ სოსტატოს ავიღებ. აი ამ ჩემი მაროს წამეკვანს ორ თუმანს არ დავკარდები. უნდა იცოდე, შვილო, როგორ კითხულობს, როგორა სწერს და რა ქისებსა ქსოვს. ნეტა იმას კინც ამას წაიყვანს. დალოცვილმა ტასიამ არ იცოდა რომ მოწათვის ბერში ქება ბედაგოგიაში მიღებული არ არის, და არც იმას ამჩნევდა, თუ რა ცხელ-წყალს ასხამდა თავის ოც-და-ხუთის წლის შვილის გულს ლამაზი მაროს ქებით. მარო და ბავლე ტასიას ლაპარაკში ერთმანერთს ჩუმად გასცქეროდენ, და როცა ამათი თვალები ერთმანერთს შეხვდებოდენ, რაღაც გამოუთქმელის სიამოვნებით ჩაღუნავდენ ხოლმე თავებს.

თითქო ბუნებამაც თანაგრძნობა გაუწია ტასიას გულს და მეორე დღეს, კვირას, მზემაც თავი გამოჭყო. დღეს სოფელი დიდ-ხევა სულ სხვა სურათს წარმოადგენდა. მთელ სოფელში რაღაც მოძრაობა იყო. კაცები სოსიკა მგელაძის ბოსელში გროვდებოდენ საბაასოდ, დედა-კაცები ტასიასთან და ყმაწვილი-ქალები ბატონიანთ „სასახლეში“ სალხინოდ.

ქათამი, ინდაური ლ საქონელი თავისუფლად დაიარებოდა სოფელში. მზემ და კვირა დღემ განათავისუფლა თოვლისაგან დატუქეებული ყოველი სულდგმული.

სოსიკას ბოსლის ოდაში დიდი ტეტრი ესთო და გარშემო სოფლის დარბაისელი კაცები უსხდენ ჩიბუხებით ხელში. ტოტა მოშორებით ასალ-გაზდები ისხდენ და ერთმანერთში ლაზღანდარობდენ. უფრო ბავლეს დაბრუნებაზედ ლაპარაკობდენ: რად მოვიდა, რა ამბავი ზოიტანა ბატონებისაგან? ყველასთვის ეს ძლიერ საგრძნობელი კითხვა იყო. სამი წე-

ლიწადია რაც დიდ-სევას მებატონის ქვრივი კნეინა ქეთევან არ მოსულა თავის მამულში. მთელი სოფლის მცხოვრებნი ეული გლეხები არიან, დიდი ხნიდგან გადმოსახლებულნი, ზოგი იმერეთიდგან, ზოგი ქართლიდგან. რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე ქეთევანის ქმარი სტატკის სოვეტნიკი თ. ლუარსაბ გულ-მართლიძე მფლობელობდა დიდ-სევას, გლეხები ბედნიერნი იყვნენ; მხოლოდ მოსავლის მეექვსედი იყო ამათი გადასახადი. ზაფხულში ორის სამის თვით მოვიდოდა გულმართლიძის ოჯახი ამ სოფელში, მოაგროვებდა ღვინას, ბოსტნეულობას, საბალახეს, მუშა-გუთნის ფულს და დანარჩენს დროს დიდ-სეველები თავისუფლად იყვნენ. შობა-აღდგომას თუ მოიხსენებდენ ბატონებს თითო ქათმიო და ერთი თუნგი ღვინით, თორემ სხვათერივ ამათი შემწეობელი არავინ იყო. ამ სამ წელიწადში კი სულ სხვა რიგად დატრიალდა ამათი ბედის-ჩარხი: ლუარსაბ მოკვდა და იმის სახლობას ჯამაგირი დააკლდა. შვილები დასაზდელები გაუხდა კნ. ქეთევანს და, როგორც მოგეხსენებათ, ამისთვის ბევრი და ბევრი ფულებია საჭირო. აი ამ მიზეზით შეუდგათ ჭირი დიდ-სეველებს მოურავ ივანიკას სასით. ქეთევან ზაფხულობით აღარ მოდიოდა დიდ-სევაში და ივანიკას ძალას ატანდა, ფულები და ფულებიო. ივანიკაც, როგორც ერთგული მოურავი, ოთველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ დიდ-სეველებს უფრო და უფრო ბლომად გამოსწურონ ფულები. ამასთანავე, რასაკვირველია, თავის ჯიბესაც არ ივიწყებს და დიდ-სეველებს ტყავს აძრობს.

მეექვსედის ღვინის მაგივრად ივანიკამ დღიურზე ორი კოდი გასადა, მუშა-გუთნის მაგივრად კომლზე თუმანი გასწერა. როცა კი დასჭირდებოდა ურმები, ცხენები და კაცი ოთველთვის გამზადებული უნდა ყოფილიყო, თორემ, კაი დიდ-სეველ-

ლების ბრალი! მათრახი და საუკეთესო მიწის წართმევა იყო მათი სასჯელი. ყველა ამ უბედურებასთან ივანიკამ გაალო დუქანი, და დაუწყო გლეხებს ცარცვა. ღვინო-არაყს, მარილს, ცუდ დამპალ თევზს მამასისსლად ჰყიდდა და თუ ვინმე ასცდებოდა იმის დუქანს და სხვა სოფელში წავიდოდა საყიდლად, ცუდ დღეს დააყენებდა. ერთი სიტყვით ივანიკა სრული ბატონია დიდ-ხეველებისა და ამ ბატონობასაც ისე სმარობს, როგორც სისხლის მწოველს თოცხვერს შეჰფერის.

ამ ორის თვის წინად დიდ-ხეველებმა ამოირჩიეს მთელ სოფელში საძი უკეთესი კაცი და ქეთევანს დეპუტაცია გაუგზავნეს. დაწვრილებით შეატყობინეს თავიანთი მწუხარება და სთხოვდენ ქალ-ბატონს, მობძანებულიყო და თავისი თვალით ენახა ამათი საშინელი მდგომარეობა. კნეინა დაჰპირდა ამოსვლას და სალხსაც პავლესაგან იმედი ჰქონდა შეეტყო როდის მობძანდება ქეთევან და ან რას უპირებს თავის გლეხებს. პავლემ დიდ-ხანს არ ალოდინა: საუკეთესო ტანისამოსი ჩაიცვა, ვერცხლის მასრები ჩაიწყო, ვერცხლის ჯაჭვი დაიკიდა, მალალი ქუდი დაიხურა, გავაქსული წალები ჩაიცვა და ისე წამოვიდა სოსიკას ბოსლისაკენ. შეკიდა თუ არა, ყველანი უნებურად თვესზე წამოუდგნენ. ტუუილად კი არ იტყვიან, კაცს ტანისამოსით დაუსვდებიანო. დიდს და პატარას პავლემ სელი ჩამოარეოვა და სთხოვა, დაბძანდით, რად ირჯებითო. რამდენსამე წამს ბოსელში სიჩუმე იყო. მორთულმა პავლიამ პირი შეუკრა აქამომდე გაცსარებით მობაასე ხალხსა. ის ამათ როგორღაც უცხოდ ეჩვენათ და არ იცოდენ, რითი დაეწყოთ ბაასი.

— კაცო, ჩემი მოსვლა გეწყინათ, რატო ეგრე ჩაჩუმდით? საქი წელიწადია, შვილო, არ მინასავსართ და ერთი სიტყვის

თქმა როგორ ვერ მოახერხეთ? რასა იქთ, როგორა სართ? სად არის თქვენი ბატონი ივანიკა?

— ისეთშიაც, წასულა ის ოჯახ-დაქცეული, საიდგანაც აღარავინ მოსულა! უპასუხა პავლიას სოფლის მამასახლისმა, გიორგა კვესაძემ, დიდ-ხევის მდივანმა და წინამძღოლმა. მართლა პავლე, რას გვიპირებს ქალ-ბატონი? ამაზე მეტი მოთმინება აღარ შეგვიძლიან.

ქალ-ბატონი ისეა, შვილო, ვალებში გახლართული, რომ ლამის თავი დაისრჩოს. მე მგონი, წამოსვლა რომ მოინდომოს, მოვალეებმა აღარც კი გამოუშვან. ეხლა გიორგის გასასტუმრებლად რუსეთში სამოცი თუმანი კიდევ სადღაც ივალა. თქვენ ბედს მაშინ თუ ეშველება, გიორგი რომ დაბრუნდება, თორემ მასამდინ არა მგონია, კნეინამ გაგირიგოთ რამე. იმას ბევრი ფულები უნდა, და ივანიკასთანა მარჯვედ ფულებს ვერავინ უშოვნის. ფული ჭქონდეს იმას, თორემ რას დასდევს საიდგან მოდის.

— ის დალოცვილი, იმას კი არა ფიქრობს, რომ მოთმინებასაც თავის საზღვარი აქვს. მეტი ღონე აღარა გვაქვს, ან ჩვენ უნდა ვიყოთ და ან ივანიკა! სთქვა ერთმა გლეხმა.

— ჩვენ კი ავიყრებით, შვილოსა და მაშინ დეე თავის ივანიკას გამოსწყოროს ფულები. დაუმატა მეორემ.

— გუშინ რომ იმან ჩემი სისხლით აშენებული დარბაზი დამიქცია, განა შეკარჩენ! ერთი იმის სისხლს კი დავლევ და შერე თუნდ ციმბირს გამგზავნონ. სთქვა მესამემ.

— როგორ თუ დარბაზი? იკითხა პავლიამ.

— ისე რომ დარბაზი კიეიდე, ხის ჭდეული, ათი თუმანი ფული მიკვეც აღაგობრივ ეიფეიანთ ტეეში. ჩამოვიტანე, დავდგი ჩემი ძველი სახლის გვერდით. ძმის ქორწილს კაპირებ-

დი. მასამ არ გავათავე, არა მითხრა-რა და როცა გავათავე, მიბძანა, ან ორი თუმანი უნდა მომცე ალაგის ფასი, ან უნდა დანგრიო. მე არ მიგე ორი თუმანი და როცა ნახა, რომ კაცები შინ არ ვიყავი, მიეკარა დედა-კაცებს და სასლი ძირს დასცა.

— რას ამბობ, კაცო, ეგ როგორ იქნება. უბატონოდ რა ნება ჰქონდა?

— სად არის ბატონი, ვინ არის ბატონი? ივანიკაა დღეს ჩვენი ბატონიც და ღმერთიც. უნდა აგვაშენებს, უნდა დაგვაქცევს.

— ცოტა კიდევ მოითმინეთ, ჩემო ძამია, უთხრა პავლიამ გლეხებს, ღმერთი მოწყალეა, ისეთი ღვთის-ნიერია ჩვენი გიორგი, რომ სულ სხვა საირად წაიყვანს თქვენს ბედსა. მთელი დღე-და-ღამე იმას მელაპარაკებოდა, თუ როგორ მოუვლის ის თავის მამულს და როგორც ძმებს ისე მოექცევა თავის გლეხებსა. გადმოვიდეს, მერე იმან იცის საცა ამოუყოფს ივანიკას თავსა.

— როდის უნდა გადმოვიდეს გიორგი? იკითხა გიორგამ.

— ოთხი წელიწადი უნდა ისწავლოს და მერე მეცნიერი გადმოვა, უპასუხა პავლემ.

— ეჰ, შე დალოცვილო, „სასამ პეტრე მოვიდაო, პავლეს ტყავი გაამრესაო“, ისე მოგვივა ჩვენ საქმე. მასამ გიორგი გადმოვა, ჩვენ ივანიკა სულს ამოგვაძრობს და მერე, ბევრიც რომ ეცადოს, დაშენებულებს რიღათი აგვაშენებს?

— გამარჯვება იქნენი!

სალხში ხიხუმე ჩამოვარდა. ამ სალამს პასუხი არავინ მისცა. ეს სალამი წარმოსთქვა ივანიკამ, დიდ-სეველების ბედის მჭერელმა. ეს გასლავთ მალალი, ცოტა კისერში წასრილი, ოც-

და-ათის წლის ვაჟ-კაცი. ამის განიერს მხარ-ბეჭს და მრისხანე სახეს ადვილად ვერავინ შეებრძოლება. მაგრამ უსამართლობა კაცს მთასაც შეაბრძოლებს. სოფელმა და იკანიკამ ერთმანერთის ბრძოლა განუცხადეს და კინ კის აჯობებს, ის შემთხვევამ იცის.

— რა ღმერთი გაგიწყრათ, თქვე მამა-ოსრებო, დაიღრიალა ივანიკამ, თქვენში სალამი არ იცით?

— რას უვირი, შე კაი კაცო! გამარჯვება, უპასუხა ბავლემ.

— ოჰ, ვაჟ-ბატონო, მობძანებულხარ, დიდება თქვენ მობძანებასა ბატონის ვეზირო! დაცინვით უთხრა ივანემ ბავლეს და მოწიწებით სელი ჩამოართვა, თითქო, უშინდა, რომ ბავლეს შავი მაუდის ჩოხა არ გაეჩირქიანებინა.

— არა გრცხვენია, ბიჭო, რომ სოფელი ასე აგიყავევებია. შენ ისე მოგდის რომ იტუვიან: „სოფელი ვინმე უძალო და შიგ გაჭირე უკოხო“

— მერე შენ რაო? ან იქნება დღეის უკან შენ აჭირებ ამ სოფლის ძალობასა?

— მესი გი დავაყარე იმ სოფელს, რომელიც ეგრე გაქელვინება შენისთანა წუწე იმერელსა! მისამარ, ივანიკა, სვინიდისი მოიკრიფე, თორემ შენი ხაქმე ცუდად წავა: «ცხვარი ცხვარიაო და რომ გაცხარდება ცხარეზე ცხარეაო.»

— ჰეი, ჰეი, ვირის ტლინკებიანი კი მოგვაყარა ანდაზები და! ეგეები ისწავლე, შვილო, ლაქიობაში? მაგაებისთვის, შე დალოცვილო, თბილისში რომ არ წასულიყავ, შენი «ოსტატი» დედა კი ვერ გასწავლიდა?

— შენ აქეთ-იქით ნუ გადაუხვიე, გრცხვენიან განა? აბა რა იყო სოფელი ამ სამის წლის წინად და-რას დაგიგვანებია ახლა? ზამთარში ცეცხლს რომ შემოუსხდებოდით ხოლმე, ჩვე-

ნი ბასსი და ღიღინი ღმერთსაც იამებოდა და კაცსაც, და აბა ახლა შესედე ამ დარბაისელ ბერი-კაცებს რა ნაირად დაუღმეჭიათ პირები!

— პავლე, შენ არავინა გთხოვს მედიატორობას. ეხლავე გამომიცხადებია შენთვის, ან თავი უნდა დაანებო გლეხების გახელებას, და ან სვალვე ნაჩალნიკს გამოვუცხადებ, რომ გლეხებს აბუნტებ და ისევ შენ საუკარელ თბილისში ამოგაყოფინებ თავსა, მაგრამ სასახლეში კი არა, იქ საიდგანაც ბევრი მიდის საქარეში.

— გიცხონდება მამა-შენი ზესტაფონე; უურებზე ხახვი არ დამაჭრა. გინდა მეც დიდ-სეველების ჯოგში ჩამირიო და გამხედნო განა?!

— სუ, თორე მოგკალ! დაიღრიალა ივანემ და პავლიაზე მიიწია.

გლეხები წამოსტნენ და მისცვივდენ ივანეს. ივანემ ამოიღო რევოლვერი გადგა განზე და დაუმიზნა ჯგუფას. ერთი ექვსს კი მიგაწვენთ თქვე წუწკებო, თქვენა. ეარტო ჩამიგდეთ განა? რა ვაჟ-კაცები ხართ. დამაცალეთ, დამაცალეთ. მაშ ბიჭი არა ყოფილვარ თუ ივანიკას სახელი არ გაფიცებინოთ.

რევოლვერმა ფიარაღო სალხი უკან დააყენა. ივანიკამაც უკან-უკან დაიწია და ბოლოს კარებში გავარდა.

— აი თქვე ლაჩრებო, ერთმა კაცმა როგორ გაჯობათ. მე სვალვე მივწერ გიორგის. მამულის პატრონი ის არის, გიპატრონოთ რამე. სირცხვილია რომ ორმოცი კომლი თავისუფალი გლეხი, ყმად გახდენიხართ ამ მხეც გადამთიელ იმგრელსა.

— გვიპატრონოს, გვიპატრონოს! შეღრიალა ერთად ხალხმა. მართალია მამული იმათია, მაგრამ შრომა ჩვენია. გვიპატ-

რონოს, თორემ მეტს ველარ მოვითმენთ. მართალია თავს გავიუბედურებთ, მაგრამ იმათაც არ დავაყრიათ კეთილსა.

მშვენიერმა მზის ბრწყინვამ ველარ გაალიმა დიდ-ხეველების გული. ამ ლაპარაკის შემდეგ ესენი დაღონებულნი და გულზე თავ-ჩამოკიდულნი დაბრუნდენ თავ-თავიანთ სასლებში. „სასასლეშიაც“ ლხინი შესწყვიტეს. მარომ მართალია თავი მოიგიყიანა, გამხიარულდა, ითამაშა, იმღერა, მაგრამ, რამ წამს შეიტყეს გოგოებმა რომ ივანეს და პავლეს ჩხუბი მოუვიდათო, მაშინვე ჩაჩუმდენ, ამათაც კარგად იცოდენ რა მოჭყვებოდა ივანეს ჩხუბსა. აკლებისა ჯ დაბორიალების წარმოდგენამ მოსწამლა ამათი ლხინიც.

ამ გვარმა კაჟ-კაცურმა გულადობამ გმირად გახადა პავლია დიდ-ხეველ გოგოების გულში. მეტადრე მარომ ოსტატთან სიარულს ძალიან დაუბეჯითა. მთელ დიღას შუა-დღემდე ტასიასთან ატარებდა. ის იყო ტასიას ქალის მაზლის-წული და თავისუფლად მიდიოდა იმ სახლში, თუმცა უმაწვილი კაჟ-კაცი ეგულებოდა; ჭორებისა არ ეშინოდა. გაზაფხულამდე პავლე და მარო თითქმის სულ ერთად იყვნენ, მაგრამ ერთმანერთს სრულებითაც არ დაახლოებიან. გულითა გრძნობდენ, რომ უერთმანერთოდ ყოფნა უძნელდებოდათ, ჯ ცდილობდენ ერთად ყოფნის მიზეზი ეპოვნათ. სოსიკაც, მაროს მამა, ძლიერ დაუმეგობრდა პავლეს. იმას უყვარდა ბასი, ქველისა და ახლის მოგონება, და პავლიაც, მაროს ცქერით წახალისებული, გაუთავებლივ უამბობდა სოსიკას ქალაქის ცხოვრებისა და თეატრის ამბავს და ბევრ წაკითხულ მოთხრობებსაც. მარო ამ ბასის დროს ყოველთვის კერასთან იჯდა და ორთავ-ხელებზე თავ-დაბჯენილი პავლიას ლაპარაკს ყურს უგდებდა. ზამ-

თარი იყო, საქმე არა ღალავდა პავლიასა და სოსიკას და დი-ლიდამ შეაღამემდის შეეძლოთ ბაასის გაგრძელება. წამოსვლის დროს პავლე ქალაქურად სოსიკას და მაროს ხელს ჩამოარ-თმევდა სოლმე და მარტო ამ ხელის ჩამოართმევით აცხადებ-დენ მარო და პავლე ერთმანერთისადმი თანაგრძნობას.

გაზაფხულამდის, ამათ შუა, მომეტებულად დამაახლოვე-ბელი შემთხვევა არა ყოფილა-რა. ყოველ-დღე ერთმანერთს სედავდენ და ამით სრულიად კმაყოფილნი იყვნენ.

გაზაფხულმა კი სრულებით ბოლო მოუღო ამათ მშვი-დობიანს ცხოვრებას. მუშაობის დრო მოადგათ გლესებს კა-რებზედ. ყველას სახლში მოძრაობა შეიქნა. გუთნები შეიბა, თესვა გაჩაღდა. დედა-კაცები როცა კი ჯერს წაუღებდენ მუ-შებს, გამოეშურებოდენ შინ ბოსტნების სამარგლავად. რად-განაც კაცებს არ ეცალათ შეშა-ფიჩხის მოსატანად, თითონ დედა-კაცები ზიდავდენ თონისთვის ასლო ტყიდამ

მარო დედა გაზაფხულზე ლოგინად ჩავარდა და მა-რო დაეწვა მთელი ოჯახის საქმე: საარეცხი, საკერავი, მუშა-გუთნის ჯერი, საქონლის მოვლა,—ერთ წამსაც ადარა სტო-ვებდა მარო თავისუფლად. ეს ცეცხლივით მოედებოდა საქ-მეს, მაგრამ თუ მთელი დღე პავლე არ დაესახა, საღამოზედ მთლად დაუძლურდებოდა სოლმე. ერთი წამის დანახვა კი გა-უთანათესებდა ღონეს.

პავლე კი მინდორში მუშაობას გადაჩვეული იყო, სულ ჯერს წინ იჯდა და თავის გულს ჩასტქერბდა. ამას ამბოდ-ებდა თავის უსაქმობა, დიდ-სეგელების ბედი და მომეტებუ-ლად მარო სიყვარული, რომელიც გულიდგან ვერას გზით ვერ ამოერეცხა. არტერთ თავის ვაების შემსუბუქება იმას არ შეეძლო. მუშაობას გადაჩვია ითის წლის მოსამსახურობამ და

ესლა სახვევრ სასთიი სიმინდის თოსნა მთელი დღით წელსა სწუვეტდა. დიდ-სვეველების ბედი გიორგიზე იყო დამოკიდებული და იმისაგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა. ბევრჯერ დაუპირა გაქცევა ჩუმად პავლიამ ქალაქს, მაგრამ თავის გულს ვერ დასძლია. მარო მოშორება რომ მოაგონდებოდა, ამის გულს ისეთი მუსრუტი მოუტეხდა, თითქო ეს არის, გაისრისებაო. პავლემ კარგად იცოდა, რომ მარო ამის მძასლის ქალი იყო და შეიძლებოდა ჯვარის-წერის სება არ მიეცათ. ამის შეტყობას ვერცა ბედავდა, ისე ეშინოდა ცუდის ამბის გაგებისა.

ამ კი-კაგლახში იყო პავლე ერთს ლამაზს აპრილის საღამოს, ბუნება მშვენიერებას წარმოადგენდა ამ შებინდებაზე. ჩამავალის მზის სხივებით მთლად მოფენილი იყო სოფელი. ჭერში ასკილის სუნი იდგა და ახლოს ტყიდამ ბულბულის სტვენა ისმოდა. მთელი სოფლის მცხოვრებნი თავიანთ დერეფნებში წამოწოლილიყვნენ და დაღალულობისაგან მძიმედ სუნთქავდენ. ამათთვის ბუნებას მშვენიერი თვერი არა ჰქონდა.

პავლიას კი, დასვენებულს და სიყვარულით გულ-სავსეს, ეს სიმშვენიერე უფრო ცხოველად ეჩვენებოდა. ამის გული სავსე იყო იმ სურვილით, რომ ახლა მარო ესახა და თავის გასურებულ მკერდზე მიეკრა. ეს სურვილი თან-და-თან ისე გაუძლიერდა, რომ როცა მართლა მაროს, ყმა გაიგონა, მოჩვენება ეგონა, არა სჯერდა ღ, როგორც გიყი, მაროს ისე შესტკერდა.

— პავლე, ოსტატი სად არის? დედა-ჩემი ძლიერ ავად არის გვიშველოს რამე. სმის-კასკალით წარმოსთქვა მარომ.

პავლე დარწმუნდა, რომ ეს მარო ნამდვილი მაროა, მოჩვენება არ არის და აირია.

— მარო, გოგო, აქ შემოდი, სომარ შეგეშვა, უთხრა ისეთის სმით, რომ მარო ამ სიტყვებმა ანდამატის ქვასავით მიიზიდა. ის ნელა და საშინელის გულის ძგერით მიუახლოვდა პავლეს.

— პავლე, შინ რას უზიარ.....

პავლე და მარო დიდ-ხანს იყვნენ მსურვალედ გადახვეულნი და იქნება გასთესებოდათ კიდეც ამ ოთახში, რომ ტასიას მოსვლას არ დაერღვია ამათი ტკბილი და სიცოცხლის აღმაგზნებელი წამები. პავლე და მარო ბედნიერნი იყვნენ ამ ერთის წუთის წინად, მაგრამ ტასიას მოსვლამ ჩაუშხამა ეს ბედნიერება!

მარო გაიქცა.

ტასია და პავლე დიდ-ხანს იდგნენ გაჩუმებულნი ერთმანერთის პირ-და-პირ. უეცრად პავლემ ქვითქვითი დაიწყო და მოესვია დედას.

— დედავ, ნუ დამმრახავ, ღმერთმა სომ იცის, მე ცუდი არა მიქნია-რა. მარო მიყვარს და უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან. ჩემს ბიჭობას და ჩემი გიორგის სახელს გეფიცები, დედა-ჩემო, რომ თუ მარო არ შეგირთე, თავს მოვიკლავ. დამესმარე ღედა-ჯან, ეცადე როგორმე, ჯ მერე მე კიცი რა შვილობასაც გაგიწევ.

— შვილო, პავლე, გონზე მოდი, რაებს ამბობ? განა არ იცი რომ მარო ჩვენი მოუკრის ქალია და კანონით არ გერგება? ჯ თუნდა კანონმაც რომ მოგცეს, სოსიკა არ მოგცემს. იმას ისეთი ოჯახიშვილები სთხოვენ მაროს, რომ შენ, ბი-

ჭობაში გაზდილს, კარზედაც არ გაგიტარებს. იმის კარგად იცის რომ არავისზე ნაკლები არა სარ, ჭკუა, გონება და შეხედულობა თავადიშვილისას მიგიგავს, მაგრამ შვილო, შენ თავადიშვილის სახლში ნამსახური ხარ და ოკვასის-შვილი ქალს არ მოგცემს.

— დედა, ნუ ამბობ მაგას! გულს ნუ მისეთქავ. ერთი სიტყვით, ძალით იქნება, თუ ნებით, მარო ჩემი უნდა გახდეს, ან ვინც წინ დამიდგება, მე იმას ვუჩვენებ სეირსა. მაროს გულისთვის სოსიკას კი არა, მთას შევეჭიდები. ჩემი სულის ამოცლა კი შეიძლება და მაროს თავის დანებება კი არა.

— კაი შენ დედას, შვილო, კაი შენ დედას! დაბადებიდგანვე დაგეკვა, შე უბედურო, ეგ ბედი. სიყვარულის შვილი ხარ, შვილო და სიყვარულმა კი არ გადაგიტანოს. შენი ბედი მაგონებს შვილო, ჩემ შაგ წასულ ბედსა. მეც შენსავით მოსამსახურე ვიყავ. მეც შენსავით კეთილი მებატონე მყავდა!... მეც შემატდინა გიორგის მამის სიყვარულმა... დღემდის არ მითქვამს, შვილო, შენთვის ეს ამბავი... აი, რა არის მიზეზი რომ შენ გიორგი ძმასავით გიყვარს და სიყვარულიც დიდ-კაცური გაქვს. ვეცდები, შვილო, ქვეყანას შეეური, იქნება გიშველო რაშე და თუ ვერას გავაწყობ, დიდ-კაცურადვე უნდა მოერიო შენს გულის-წუსილს.

— დედავ, დედავ, ეგ რა მითხარი, რა რიგად აღელვე ეს ჩემი ისეც უბედური გული! მე გიორგის ძმა ვარ? გიორგის სისხლი სდგას ჩემს ძარღვებში? აქამდის რად მიმალავდი? კანონით თუ არა, გულით ხომ ძმები ვიქნებოდით. არა, გიორგი ისეთი კეთილია, რომ უკანონოდ შობას თავადში არ გაივლებს და თავის ძმა პავლეს გულში მიიერავს!

— შვილო, ასლა სომ გაიგე ვინცა ხარ, იქნება მარო ალარც კი იკადრო.

— ოჰ, დედა, რა ცუდად გიცნიავარ. ჩემს გულში მაროს სიყვარულს მეფობაც ვერ ამორეცხს. მარო ისეთი გოგოა, თუ ბატრიონი ეყოლება, რომ თავადიშვილსაც უმეუღლებს. ოღონდ ღმერთმა მაღირსოს იმისი ცოლობა და გიორგი ცოცხალი მყვანდეს, თორემ სხვათერიც რა მიჭირს! დიდ-სვეას მოურავად მე გავხდები და მაშინ ნახავ თუ რა რიგად შეცვლილი იმათ ბედ-იღბალს. ავანიკასგან დამწარებულ ცხოვრებას ძმობით და მეგობრობით დავუტკბობ. მოუგრობით იმათაც ვარგებ და ჩემ ბატონსა და ძმასაც ვასარგებლებ. გიორგი სწავლით შემეწევა და მე იმას შრომით შეგეწევი. შრომა და სწავლა ხელი-ხელ ჩაკიდებული მტრისგან დაუძლეველია, ჯ თუ ბედმა არ მიღალატა, ვეცდები შენი სიყმაწვილის შეცდომაც გავასწორო და თავიანკრეებს უკან არ ჩამოვრჩე.

შაბათი საღამოა. დიდ-სვეას დანგრეულ წმიდა გიორგის ეკლესიაში საღამო ლოცვის ზარი დარეკეს. ხვალ დიდი დღესასწაულია. ეკლესია მშვენიერ ალაგზე მდებარეობს. მაღალ გორაზედ სდგას და ტრიალ მინდორს გადაჰყურებს. გარშემო კარგა მაღალი ტყე არტყია... ჰედლებს ბუჩქ-ბუჩქად მწვანე ხავსი გადაკვრია. ეკლესიის კარ-მიდამო სუფთად არის დაგვილი; ნელა-ნელა გროვდება სოფლის სალხი. დიდის სასოებით იურიან მუხლს ქალი თუ კაცი შესავალ კარებში, მიწას ემთხვევიან და შინ შედიან. სხვათა შორის ეკლესიაში შემოვიდენ ტასია და პავლეც. მარო კი არსად არის.

აგერ ორი კვირაა მას აქეთ, რაც ტასიამ მოასწრო პავლეს და მაროს პირველ ალერსს და ამ სანში, მარო თვალით

არავის უნახავს. ეს შემთხვევა პავლეს დიდად აწუხებს და გულის განკვლით თვალიერებს ყმაწვილი გოგოების ჯგუფებს, იქნება მარო იქ ერიოსო; მაგრამ სად არის! ავად ხომ არ არისო, გაუელვა პავლეს ფიქრმა და სწრაფად გამოვიდა ეკლესიიდგან.

მარო ცეცხლის-პირასა ზის ტ ცხარედ მოსთქვამს, სახლში არავინ არის. ავად-მყოფი მარინეც კი საყდარში წაიყვანეს. პავლე დიდ-ხანს იდგა კარებში და სტკბებოდა მაროს ცქერით. თავის დღეში ისე მშვენიერი არა სჩვენებია ამას მარო, როგორც ესლა თმა-გაწეწილი და ცრემლებით სავსე თვალებით ეჩვენა.

— მარო, რად სტირი? გესაცვალოს შენი პავლეს თვალები. მანამ პავლე ქვეყანაზე დადის, ვის შეუძლიან შენი ატირება?

— პავლე, პავლე! იქით, არ მომეკარო! უცებ წამოსტა მარო და შუა ბოძს მოეფარა.—არ მომეკარო. ახლო ნუ მოხვალ, თორემ თავს მოვიკლავ. იმ-დღევანდელმა შენმა ალერსმა ლამის გამაგიჟოს. რა გინდა ჩემგან, რად მოსულხარ? წელან აგი საყდარში მიდიოდი?

— მარო, რას მერჩი, გოგო, რა დამიშავებია? მთელი ორი კვირა რადა მტანჯავ, ღმერთი არა გაქვს? ეგ არის შენი სიყვარული, მაგას მეუბნებოდი?....

— სუ, სუ, ნუ მომაგონებ იმას, რასაც გეუბნებოდი. გიყი ვიყავ მაშინ... მე საზმარი ვნახე, რომ ღვთის-მშობელი ჯოჯოხეთში მიმათრევდა. ნათესავები ვართ მე და შენა და.... თავით-ფეხამდე აკანკალებდა მაროს და ფეხზე ძლივსღა იდგა.

— მარო, ნუ ჰკანკალებ, შენი ჭირიმე, ნუ გეშინიან. ხელს არ გახლებ. დაჯექ ცეცხლთან. გათბი. ტებილად მოგილაპარა-

კოთ, იქნება შეიძლებოდეს ჩვენი შერთვა. მე ისეთი მაგალითები ვიცი ნათესავების შერთვისა თავადებში, რომ ჩვენი ნათესაობა იმასთან რა არის! მე თითონ ვიცნობ იმათ, ბაბიდა შვილებმა ერთმანერთი შეირთეს. ორმა ძმამ დედა და შვილი შეირთეს, გესმის: დედა და შვილი მაზლის ცოლები გახდენ, და ბაბა ჩვენი ნათესაობა რა არის? ნათესავები კი არა, მძახლები ვართ. ბაბა ჩემი და რომ ბიძა-შენს ჰყავდეს, მე და შენ რა? თუ კი ჩემი და ბიძა-შენს ერგება, შენ მე რატომ არ უნდა მერგო?

— ბავლე, თუ აგრეა, რა გესაღვლება, ჯერ შეიტყო. ოღონდ მღვდელმა კი ნება მოგვცეს, და მე სად წაგივალ.

— ოჰ, მარო, ოღონდ შენი კი იმედი მქონდეს რომ არ მიღალატებ, და სელმწიფემდის ვიცოცხალ, შენ თავს კი არავის დავანებებ. მაგრამ შენ....

— მე რა? ჩემში ეჭვი გაქვს? ბაბა ქვეყანაზე გასათხოვარ ქალს უქნია ვისმე ჩემოდენა უნამუსობა? უმაწვილ-ბიჭს კისერზე მოგეჭეი და აქ ტოლ-ქმრობაზე გელაპარაკები. ეს სიტყვები მარომ თავ-ჩაღუნულმა და გაწითლებულმა წარმოსთქვა. ბავლე, რომ იცოდე, რა მეამრთება ღამეობით: ვგიჟდები. ბევრჯერ მინდა წამოვსტე ლოგინიდამ და შენთან გამოვიქცე.... მაგრამ ღვთის-მშობლისა მეშინიან. ან ქვეყანა რას იტყვის? ნესტანდარეჯანი სელმწიფის ქალი იყო და იმანაც კი ვერ შეძლო თავის საყვარლის შერთვა.

— მაშინ სხვა დრო იყო, ჩემო მარო, ესლა სიყვარული თავისუფალია; ესლა სიყვარული სირცხვილი როდიცა! ესლა სირცხვილი ის არის, თუ უსიყვარულოდ ცოლს შეირთავს ვინმე. მე და შენ რომ ერთმანერთი გვიყვარს, ვის რა აკლდება? და ჩვენ კი თუ არ გაგვურიან, მაროს მზემ.... და სიტყვის

მაგივრად პავლე მსუბუქვალებით გადაეხვია მარრას, თითქო საქმით უფრო სათლად უნდა დაემტკიცებინა, რა სიტკბობა მოელოდა იმათ.

ლოცვა გამოვიდა. სალსი და მღვდელი კარებზე გამოვიდნენ და გაიმართა ბაასი.

— მამაო, შენდობა, შენი ჭირიმე, წადგა გიორგი სუნდაძე.

— ღმერთმა შეგინდოს, შვილო! მღვდელმა პირ-ჯვარი გადასწერა და მისცა სელი საკოცნელად.

— სვალ წირვაც გვექნება, რა კი ამაღამ გვილოცეთ მამაო?

— სვალა? თუ კი დარია, იქნება გადმოვიდე. ჩემიცსენი შინ არ არის და ფესით სიარული ალარ შემიძლიან, ჩემო გიორგა.

— ბატონო, ოღონც ეი გვიწირეთ სვალა, და გაუთენებლივ ცხენს გაასლებთ. ან არა და, შე დალოცვილო, ამაღამ აქა ბძანდებოდეთ. ისე დაგისვდებით, შენი ჭირიმე, როგორც შეგეფერება. დილაზე ცისკარიც გვილოცეთ, და წირვაც თან მოაყოლეთ. თქვე დალოცვილო, წელიწადში ორჯერ წირვა, ბა რას გვეუოფა, ქრისტიანები ვართ, შენი ჭირიმე.

— ჰო, მე დამავიწყდა, რომ სვალ შაშვეთელებს დავპირდი წირვას. ვისაც გინდათ იქ ამოდით ჯ მოისმინეთ წირვა, შორს სომ არ არის.

დიდ - სეველებს თავიანთ მღვდელი არა ჰყავთ; ექვსშვიდ სოფელში მღვდლობს მამა შიო. ეს არის სამოცი წლის მოხუცებული; თავის სნის შესაფერად უფრო მოტეხილია: ბევრის არაყისა და ღვინის სმის გამო ძალზე წასრილია წელში, თმა და წვერი მოლად გათეთრებული აქვს და ცხვირი წითლად დასიებია. თუ სად უსწავლია სამღვთო წერი-

ლი მამა შიოს, ეს არავინ იცის. ესლა კი ძლიერ ცუდად კითხულობს სასარებას; ნახევარ სიტყვებს სველაში ჭულაპავს. ძლიერ გულით რომ გინდოდეთ, მთელ წირვაში „ქრისტე“ ან „ძღვთის-მშობლის“ მეტს ვერას გაიგონებთ. ეს ორი სიტყვა სრულიად საკმაოა გლეხების სასოების გამაღვიძებლად. ტანსაცმელი შიოს ძლიერ ჭუჭყიანი აცვია: თავზე რაღაც აღა-მამადხნის დროინდელი დანგრეული შლიაპა სურავს ან ფეხებზე წაღების ნაფხრეწი. აბა წარმოიდგინეთ, რა პატივისცემა უნდა ჭქონდეთ გლეხებს ამ ზნეობითაც და გარეგან შეხედულობითაც დანგრეულის კაცისა.

იქნება გგონიათ, რომ შიო მღვდელი ღარიბია და ამისთვის დაიარება ასე დაგლეჯილ-დაფლეთილი. სრულებითაც არა. აგერ ოცი წელიწადია, რაც ეს ამ მაზრაში მღვდლად არის, ან ამ სანის განმავლობაში, აიშენა თავის საუკეთესო სამრევლო სოფელში ორ-ეტაჟიანი ხის სახლი; შეიძინა ორი კარგი დიდი ვენახი, რამდენიმე ნაფუზარი და სამი ქალი გათხოვა; თითოს ორას-ორასი თუმანი მისცა მზითვად. ვაჟს პეტერბურღში თვეში ოთხს თუმანს უგზავნის და ამის ცოლი «ფოიეოდია» სვეერდის ქათიბით დაბძანდება.

— მამაო, შიო, შენდობა მიბოძეთ!

მოწიწებით წამოდგა ოსტატი ტასია და ხელზე ემთხვია მღვდელსა.

— თუ შეიძლება, ბატონო, ერთს საათს ჩემთან შემობძანდით, გაგაგძელა სიტყვა ტასიამ. ძლიერ საჭირო საქმე მაქვს და რჩევა უნდა გკითხოთ.

— არაფი გაქვს, ჩემო ტასიავ?

— ღმერთი მოწყალეა, გიშოვნით, წამობძანდით.

ტასიამ შეიყვანა მღვდელი თავის სახლში და სამ-ოცეხა

სკამი მიართვა ტეტსლის-პირას. ყუთზე სუფთა ტილო გადაკ-ფარა და წინ დაუდგა. სუფრაზედ დააწყო ჯამით ჯონჯოლი, ბოლოკი და არაყის შავი ბოთლიც გვერდზედ მოუდგა.

— მიირთვით, მამაო, და მანამდისინ მე გიამბობთ ჩემს ამბავს.

ტასია მოუყვა პავლესა და მაროს ამბავს და ჰკითხა მღვდელსა, შეიძლება იმათი ჯვარის-დაწერა თუ არაო, და თუ შეიძლება, სიკეთე მიყავით და სოსიკასთან შუამავლად მიმეგ-ზავნეთო.

— ძლიერ კარგი, ჩემო ტასიავ, ძლიერ კარგი! ამბობდა შიო მღვდელი. ჯვარის-წერა როგორ არ შეიძლება, იქვენში არაფერი ნათესაობა არ არის. სოსიკაც უარს არ გეტყვით, რი-თი დაგიწუნებთ? პავლე კარგი წამოსადეგი ბიჭია და ფულე-ბიც ექნება, ჰა?... ჯ ტასიას ეშმაკურის ღიმილით თვალი უყო. შენც კი გექნება დარდუბალის კიდობანი, ჩემო ტასიავ!

— რას მიბძანებ, ბატონო, ვინ რა მომაქვავა. მაგრამ ოღონც კი სოსიკამ ქალი მისცეს და ჩემი პავლეს გულს ნუ მომიკ-ლავს. სიდანაც იქნება ვიშოვნით და კარგ საქორწილოს მი-ვუტანთ.

ამ ლაპარაკში შიო მღვდელმა გამოსწურა ბოთლი და მთელი ჯამი ჯონჯოლი შეჰყლაპა. წამოდგა ფეხზე, პირ-ჯვა-რი გადიწერა და ტასიას სიცილით უთხრა: კარგი, კარგი! ჩე-მო ბებერო. იმიტომ ასწავლიდი ისე ცულიანად მაროს რომ შენთვინ გინდოდა, განა, შე ოინბაზო. ვეტყვი, ვეტყვი სო-სიკას და თუ საქმე გაგირიგე, საღდგომოდ კარგი ინდაური და ნაზუქები არ დაგავიწყდეს.

— ჰო, შენი ჭირიმე! ოღონდ ეს საქმე მომიხერხეთ, და

თქვენი მადლი არ გამიწყრეს, რომ მე თქვენი ძღვენი არ დამავიწყდეს.

— სვალ შაშვეთში წერვაა. უეჭველია, სოსიკაც იქ ამოვა და ვეტყვი. მშვიდობით! კურთხევა იყოს შენს სახლზე, ჩემოტასიავ! სად იშოვნე ამისთანა მშვენიერი არაყი? თქვენი ივანიკა ხომ არ მოქრისტიანებულა, რომ ამისთანა კაი არაყი გამოუსდია?

— კაი, კაი, მოვკვდი კრუსუნებდა მარინე, სოსიკას ტოლი.

— მოკვდი და მორჩი, შე ოხერო, ეძვსი თვეა კრუსუნებდა ბოლო კი არ მოელო შენ ჭირსა. აგერ გოგო უნდა გაკითხოო და აბა მაშინ ოჯახს რალა ეშველება? ან მოკვდი ან მორჩი, რომ სასლს პატრონი გაუჩნდეს და!

— სოსიკა, სოსიკა, არა გრცხვენიან რომ ორი დღე დამრჩენია და იმასაც მაშსამებ! ღმერთი არა მკლავს და რა ვქნა. განა მე თითონ არ ვიცი რომ კისერზე გაწყვართ, მაგრამ.... და ქვითქვითი ამოუშვა უბედურმა, დაუძლურებულმა დედაკაცმა

— სუ, კარგი, ნუ ტირი, დედა-კაცო. ღმერთი მოწყალეა, კარგად გახდები, დატკბობით უთხრა მარინეს სოსიკამ, ცრემლებით დარცხვენილმა, ან გულით შეინანა თავისი წინ-დაუსედავი სიტყვები.

— დედა-კაცო, იცი ვინა გვთხოვს მარიასა? რომ იცოდე არ დაიჯერებ. არ ვიცი ღმერთმანი, რა გუთხრა. ისეთ ოჯახისაშვილებს გუთხარ უარი რომ მთელს სოფელს გაუკვირდა და ახლა „სამსასურს“ როგორ მივცე. ვინ რას მეტყვის? სულმა რომ წასძღიოს ან ისევ ბიჭად წავიდეს, მერე სოფელში თავი როგორ გამოვყო.

— კაცო, რას ამბობ, ჯერ მითხარი, ვინა გთხოვს?

— ვინა და შვილე, ტასიას ბიჭი!

— უი, დამიდგეს თვალები! იმ ოჯახ – გამოფიტულს უნდა მისცე ჩემი მარო! არა ქნა მაგისთანა საქმე და უიმისოდაც მკვდარს, ცოცხლად თავი არ დამამარხვინო.

— ოჯახი გამოფიტული აქვს, ჩემო მარინე, მაგრამ თითონ კი ბიჭია, ის დალოცვილი. მე ისე შემიყვარდა რომ უიმისოდ ვერ გამიძლია და ვბა მარო, ვინ იცის, გაგიყებულია. არ ატყობ, ადამიანო? აგერ ორი კვირაა, სულ ცხვირ-ჩამოშვებულია და წამ-და-უწუმ სტირის?

— რა ვქნათ, რომ კარგი ბიჭია. კარგი ბიჭობა სომ არ გაამდობთ და ტანთ არ ჩაცმეგთ. მუშობა სრულებით არ იცის შვილემ და რითი უნდა არჩინოს თავისი ცოლ-შვილი. შენ რომ გიყვარს, იმიტომ უნდა გააუბედურო შენი შვილი და გლახას მისცე?

მაროს ბედმა ისე აიღლვა მარინე, რომ სულ დაავიწყდა თავის უძლურება და ზეზე წამოჯდა.

— გლახას, გლახას! შენმა მზემ ორიოდე იქნება სოფელში იმისთანა ბიჭი.

— ეგ არის და! ძუდის ჩოხამ აგისვიათ თვალი. ეგენიც შემოაცვდება და მერე რითი შეიკერავს? იქნება ტასიას საბანბიალოთი ჩაიცვას ჭრაჭა-ჭრეჭიანი წალები?

— ოოოჰ! დედა-კაცებს სულ ტანისამოსზე გიჭყეტიათ თვალები. არ ჩაიცვამს ჯ შალის ჩოხაშიაც კარგა იკლის. მე რო შალის ჩოხა მაცვია, მამა უცხონდა რა, არ ვარგივარ თუ? გასხოვს მარინე, შენზე რო დავინიშნე, რა ბიჭი ვიყავი? ერთი ჩემოდენა ბიჭი ვერ გაბედავდა ჩემ დაჭიდებას. მთელი ჩვენი მხრის ფალავანი მე ვიყავი.

— სულა იმ დროს, ამოიოხრა მარინემ, მე კი არ ვიყავი ქალი! მამა-ჩემმა რომ შენ მოგათხოვა ჩემი თავი ქვეყანას უგვირდა.

— არა, რა იყო საკვირველი, შე ოჯახ-ქორო! ბიჭი არ ვვარგოდი თუ!

— ბიჭი, ბიჭი! რა არის ცალიერი ბიჭობა? ერთი სარი არა გაკვდა, რომ ურემში შეგება და ოჯახში შეგეყვანე. მერე შენს ოჯახს მე დავადე ნიშან-წყალი.

— დიაღ, დიაღ, შენ არ მომიგვდე, უშენოდ მშიერი მოვკვდებოდი. მე ისეთი ბიჭი ვიყავ რომ ქვაზედაც საზრდოს ვიშოვიდი.

— შენ მარტო ჯვარობები გიყვარდა და ასალი ტანისაქონი, საზდოზე ოვის-დღეშიაც არ გიფიქრია, სუ ოთველთვის მუშა მე ვიყავ შენს ოჯახში და შენ კი ბატონი. და აი ამისთვისაც დავუძღურდი ასალგაზდა დედა-კაცი ასე უდროოდ.

— მაშ რა გსებავდა, ბატონი შენ უნდა ყოფილიყავ? მამა გიცსონდა, შენ დედ-მამას კი მზეთ-უნასავად უჯექი. პირველად მე რომ გნახე, ისეთი კოკა გეკიდა ზურგზე, მეგონა წელები ჩაწყდება შეთქი. რომ მოგიყვანე, ფესებზე კამბეჩის ტყავივით დასეთქილი ქერქი გეკრა. მასუკან ფეს-შიშველა არც კი გამიტარებიხარ.

— ჰო, კოსტა ერუწა კი ხარ, ფეს-შიშველა კი არ გიტარებივარ, მაგრამ მჯადით კი მუცელი ბევრჯერ შემომბერვია.

— რა არის, რა ამბავია, რაზედ ჩხუბობთ, მამა? დედას რაღა ჩხუბი უნდა, წუსელის შენ რომ შინ არ იყავ, ორჯერ გულს შემოეყარა; უთხრა მარომ სოსიკას და მხრიდამ დიდი კოკა ჩამოიღო. მარინე მისუსტებული მიეშვა ლოგინზე. სო-

სიკა ჩუმად ჩიბუხს ეწევოდა და მარო გაშტერებული იდგა ბოძთან და თითქო რაღასაც მოელოდა.

— მარო, გოგო, იმაზე ვჩხუბობთ, სთქვა სოსიკამ წყნარად ლ ტკბილის ხმით, რომ მინდა გაგათხოვო ლ მარინე შენს საქმროს იწუნებს.

თუმცა ერთი კვირაა მარო ამ ამბავს მოელოდა, მაგრამ მაინც გულმა ძგერა დაუწყო და მუსლებმა კანკალი. შიშმა და იმედმა სული შეუხუთა, უხებურად ჩაჯდა და თვალებ-გაწეტილმა დაუწყო მამას ცქერა.

— შენ რაღას იტყვი, შვილო? ბავლე კარგი ბიჭია, მაგრამ ღარიბია. ოჯახში არც ქვაბი აქვს და არც ქოთანი.

— ქოთნები კი ბლომადა აქვს, დაცინვით წაიტუტუნა მარინემ, იმის მეტს რას აკეთებს იმისი დედა ტასია.

— იმ დღეს შიო მღვდელი მოეგზავნა, განაგრძო სოსიკამ. მე ჯერ პასუხი არ მითქვამს. ისე შემაუკარა თავი იმ ბიჭმა რომ მეძნელება უარის თქმა.

— უარი რად უნდა უთხრა, მამა?... კანკალით სთქვა მარომ.

— როგორ თუ რადა, შე აშარო შენა, დაუკივლა მარინამ. მოგაჯადოა იმ მოახლის შვილმა? იცი ვინ არის ის თქვენი ბავლია, იცი? ნაბუშვრად მოჰყვა იმ პატიოსან შენს ოსტატსა. ამბობდენ ზაალის შვილიაო და კიდეცა ჰგავს. ესლა წვერულვაში რომ გამოსვლია სწორედ პირ-წავარდნილიაის არის.

— დედა, ეძვსი თვეა, ტასია მუქთადა გწამლობს და შენ მადლობის მაგივრად იმაზე რაებს ამბობ!

— რა ვქნა რომ მწამლობს; იმიტომ იმის ცოლსა შვილს უნდა მიგცე? არა, მისამ მე ცოცხალი კარ არ შეიძლება, მე კარგა ვიცი, რა არის ცოლობა. წელი მომწყვიტა მამი-შენის სიღარიბემ და შენც ისე უნდა მოგვიდეს?

— დედა, დედა.... იცი.... თუ პავლეს ვერგები და მღვდელი ჯვარს დამწერს, მე იმის მეტს არავის შეეირთავ. რა ვქნა, რომ ღარიბია, ერთ ლუკმა პურს როგორ ვერ ვიშოვნით?

— გოგო, აგრე ენა სად ამოიდგი, იქნება პავლემ გასწავლა?! სიცილით უთხრა სოსიკამ მარო. ვნახოთ; შევიტეობ, იქნება ფულები აქვს რამე მოჯამაგირობისა შენახული, ჯ თუ არა, ზედ-სიძეთ შემოვიყვან. აი დედა-შენი მაინც სულ ავად რის და შენც რომ იმან წაგიყვანოს შიმშილით გავწყდებით მე და შენი ძმები.

— ეჰ, მამავ, შენი ჭირიმე, ნუ დამღუპავ. მე პავლე დიდი-სანია მიყვარს. გაბა შენ კი არ იცი, რა კარგი ბიჭია. თავის-დღეში ცუდი სიტყვა არავისთვის უთქვამს. უშენიჭირიმოდ «ოსტატისთვის» ხმა არ გაუცია. აბა ჭინჭარაძის ბიჭი რომ მდიდარია, იმიტომ ვერა სცემს თავის ცოლსა! საწყალი მათია, წუსელი წყაროზე სულ თვალებს ითხრიდა ტირილით. მჭადი ჭმონდეს და გული მსიარული, ის არ ურჩევნიან.

— კარგი, შვილო, მე პავლეს ვნახავ. ღმერთი მოწყალეა, კალმის კაცი შიმშილით არ მოკვდება. მაშინ დამიჯექით ხოლმე ზამთარში და სულ ისტორიები მიამბეთ, და სიხარულით მარო სელი წამოჭერა სოსიკამ.

— შენ კი გენაცვალოს. შენი მარო თვალები, შენა, ჩემო კარგო მამილო! ეელზე მოესვია მარო მამას და სიხარულის ცრემლებით დაუსველა ლოყები. სოსიკასაც გული ამოუჯდა ჯ საჩქაროდ გარედ გავიდა.

— ვაი, ვაი, მოკვდი... დაიკრუსუნა მარინემ. მე ეურსაც აღარ მიგდებენ. ტოტსლებშიაც აღარა მთვლიან. ვაი ჩემს მოსწრებასა! გასათხოვარი გოგო მამას ეელზე ეკიდება, გამათხოვეო. რატო ჭერი თავზე არ დაგვანგრევ. რა დღეს მო-

ვესწარით? წარდვნის ნიშანია სწორედ! მე თვალითაც არ მენახა სოსიკა, ისე დაშნიშნა იმისმა მამამ.

სოსიკა პირ-და-პირ ტასიასთან წავიდა. ტასია და პავლე დერეფანში ისხდნენ. ტასია ჩვეულებისა-მებრ საქმეს აკეთებდა და პავლე წამოწოლილი ოცნებობდა.

— ბარაქა ამ ოჯახსა, უთხრა სოსიკამ. ბიჭო, რა არის სულ მხარ-თეძოზე ხარ წამოწოლილი, შენ უთოოდ ოქრის მადანი გაქვს რომ არაფერს აკეთებ? ან იქნება თვალი ისევ ქალაქისკენ გიჭირავს?

— მობძანდი მძახალო, მობძანდი. აი აქედ, მუთაქაზედ დაბძანდი. პავლე უქმეიფოდა მუავს, მთელი ღამეობით არა სძინავს; ღამის ჯავრით გავგიჟდე.

— რო არას აკეთებს, ჩემო ტასია, იმიტომ არა სძინავს. აბა მთელი დღე წაკუზული სთოხნიდეს და წუაროსავით ოფლი სდიოდეს, ისე დაეძინება, მე შენ გეტყვი რომ ლეკი შემოესიოს, ვერას გაიგებს. იმ დღეს დაღალულს მეძინა, სათოხნის ბანი ჩამოიქცა, იქვე, თითქმის ჩემ გვერდით ლ ვერა გავიგე-რა. მეორე დღეს რომ ვინსე, გამიკვირდა.

— სოსიკა, რაღა შორს უვლით, ძმაო, ერთმანერთს; ბარემ გადაწყვეტილი სთქვი და გაითავე. პავლეც განა თითონ არა სწუხს, რომ უსაქმურად ზის, მაგრამ განა არ იცი, თუ კაცს გულში ჯავრი აქვს რამე, საქმე აღარ აგონდება. ჯერ იმის ჯავრი ჭკლავდა, რომ ვაი თუ მარო არ მერგოსო, მძახლის ქალიაო, და ახლა, როცა მღვდელმა სთქვა, გერგებაო, იმისი ეშინიან, სოსიკა არ მომცემსო.

— გადაწყვეტილი რა, შე დალოცვილო, ყასწის გადაკვრა სომ არ არის! ქალის გათხოვება აგრე ადვილი როდის, მე მოშუალები არ მინდა, ჩემო ტასია, ეველას პირში გეტყვით.

პავლე მაროზე ნაკლებ არ მიუვარს, კარგი ბიჭია, მაგრამ კარგ ბიჭსა და გოგოს კარგი ოჯახიც მოუხდება. აბა პავლეს რა აქვს, რითი უნდა არჩინოს თავის ცოლ-შვილი? მე წინ და წინვე მითქვამს რომ მოსამსახურედ დადგომა აღარ შეიძლება. მე პავლეს უარს არ ვუტუვი, როგორც ეტუობა გოგოსაც უნდა, მაგრამ პავლემ ჯერ სახლი უნდა ააშენოს, ერთი-ორი უღელი სარ-კამბეჩი გაიჩინოს. სხვა არა იყოს-რა, სოფელი რას მეტუვის, მძასალს გოგო მისცა და იმასაც გლახასაო.

— სოსიკ! აღტაცებით წამოხტა პავლე ფეხზე და საჩქაროდ უთხრა: ოღონც შენ კი მოგეც მარო და მაშ ბიჭი არ ვიქნები, თუ ამ ექვს თვეზე უველაფერი არა მქონდეს: ახალი სახლიც, საქონელიც და ფულებიც. დღეიდგან ჩემი სიზარმაცე სიმამაცეზე შეიცვლება, და რა კი მაროს იმედი მექნება, ჩემი ღონე ერთი-ათასად გადმექცევა. გაძლევ სიტუვას პატიოსანის კაცისას, რომ ოღონც მაროზე დამნიშნე ჯ მანამ ჯვარს არ დავიწერ, მანამ მაროს სახელობაზე ოც-და-ათ თუმანს არ გავცემ.

— შე დალოცვილო, ოც-და-ათი თუმანი იქნება ოც-და-ათ წლამდინ ვერ გასცე და მანამ გოგო შენ უნდა გიუურებდეს?

— ფიქრი არ არის, ექვს თვეზე მზად ვიქნები, ჩემო სოსიავ, ჩემო სიმამრო და ჩემო მამავ და მხურვალედ" გადაეხვია პავლე სოსიას.

— კარგი, კარგი! მე ეოველთვის ვიცოდი შენი კარგი ბიჭობა. მოდი, შვილო, უველაფერს თავი დავანებოთ, ჩემთან ზედ-სიძეთ შემოდი და ჩემს ოჯახს უცდე ეური, აღარც საქონლის ყიდვა მოგინდება და აღარც სახლის აშენება.

— მერე მე სადღა უნდა ვიუვე? სოსიავ, მაგას რას ამბობ; დედა-კაცი ძლივას ვეღირსე რომ შვილი შინ დამიბრუნდა და

ახლა შენ უნდა წამართვა? არა დედავ და თვალო, ჩვენ ისე ღატაკები არა ვართ რომ ზედ-სიძეთ შემოვიდეს. ღმერთი მოწყალეა, უგელათვერს ვიშოვნით. სამადლო არა გვიჭირს-რა.

— დედა, დედა, რას ჯავრობ? ამ კაცს სიგეთე უნდა, რომ ჯვარი უთრო ადრე დავიწეროთ ჯ შენ იწყინე? რასაკვირველია, ზედ-სიძეთ შესვლა არ შეიძლება, ან შენ რას გიზამ ჯ ან რა იქნება ჩემი სოსიკასთან შესვლა; ამის ბიჭები ხვალ-ზეგ ტოლებს მოიყვანენ და მაშინ მე და ჩემს ტოლს რა გვერჩმევა. არა, ექვსი-შვიდი თვე სატა უნდა იყოს. მაროს გულისთვის ექვს წელიწადსაც ექვს დღედ არ შევიმჩნევ. მოვიმართოთ ოჯახი და ჯვარი მაშინ გადვიწეროთ.

— კარგი, თქვენი ნებაა, მაშ კვირას სადამოზე ნიშანი მოუტანე და ჯვარის დაწერა შემოდგომამდის იყოს. მშვიდობით ძველო და ახალო მძახალო!

— მოითმინე, შენი ჭირიმე, ეგრე პირ-ცალიერი როგორ იქნება შენი წასვლა? უნდა დაგვილოცო ოჯახი და ახალი დამოუვრება.

— მზადა ვარ, მზადა, ჩემო ტასიავ, მოიტა შენი შავი ბოთლა არაყი და სირის კუდიც მოატანე.

— დიდ-ხანს ისხდენ ახალი მოყვრები სუფრაზე და რამდენსაც სტაქანს არაყს გადაჭვრავდენ, იმდენი უფრო აგრძელებდენ თავიანთ ბაასს ახალ-გაზდების მომავალს ბედზე.

კვირამდის სოფელში არავის გაუგია პავლეს და მაროს ამბავი. კვირა-საღამოს სოსიკას ბიჭმა დაიარა მთელი სოფელი და კომლზე კაცი დაჭპატიჟა მაროს ნიშნობაში. როდესაც გაიგეს რომ სოსია თავიანთ მძახალ პავლეს ქალს ამლევსო, სალამა ძლიერ გაიკვირა. ეს პირველი მაგალითი იყო «ნათესაო-

ბის» შერყევისა. ყველას ძლიერ შეეშინდა ამ გვარი ულვთოობა და ჩვეულობის დარღვევა, მაგრამ კარგის ვახშმის ჭამამ დასძლია ყველანი და სალამოზე ადრიან მოიყარეს თავი სოსიკას ფართო დარბაზში.

შუა დარბაზში, ორ დედა-ბოძს შუა, სალიჩაზე, გამოჭიმულია მარო. ლეჩაქ-ყურ-გადაგდებული, ოქრომკედის თასაკრავით, ჭარბად ფერ-უმარილ-წასმული მარო არა შვენის; მაგრამ სასეზე ისეთი ბედნიერება აწერია რომ შესაშურიც არის და შესანატრიც. სოსიკა გულ-უსვი კაცია: ჩინებული მასპინძლობა გაუწია დიდ-სტუმრებს, და წითელმა ღვინომ დააავიწყა სტუმრებს ნათესაობის დარღვევის ცუდი შთაბეჭდილებაც.

ტასია და პავლეც მოვიდნენ თავის ახლო ნათესაებით. ტასიას ატლასის ქალიბი აცვია და პავლეს წითელი ბლისის ასალუსი. ნიშანი პავლიამ ქალაქურად მოუტანა: ორი თავი შაქარი, დიდი ლანგრით სმელი-ხილი და ზედ ალმასის ბეჭედი, ტასიას ერთად-ერთი ძვირ-ფასი განძი, რომელიც გამოჭყვა გულ-მართლიმის ოჯახიდგან. პავლე და მარო ერთად დასხეს. მღვდელმა ნიშანი აკურთხა.

— ღმერთმა ისე გაგაბედნიეროთ, შვილო, როგორც ისაკ და რებეკა! უთხრა შიო მღვდელმა დანიშნულებს ლ დაუმატა: პავლე, ესლაკე იცოდე, რომ ოც-და-ხუთ მანეთზე ნაკლებ არ დაგჯერდები ჯვარის-საწერს.

— შე დალოცვილო, ოც-და-ხუთი მანათი რომ შენ მოგცეს, ქორწილი რიღათი გადიხადოს, უთხრა ერთმა სტუმართაგანმა, რომელიც შვილის დასახლებას ეპირებოდა.

— ეგ ჩემი საქმე არ არის. გეუოთ რომ აქამდის თორმეტ მანათად გწერდით ჯვარსა. ასლა ცხოვრება გაძვირდა, ყველაფერს თვსი მოემატა ლ მე სიო თქვენი ყმა არა ვარ. აი ეორ-

დანე მღვდელი, რაც უნდა ღარიბი მეფე იყოს, თსუთმეტ მანათს ართმევს. ქვრივებსაც კი აღარა სჯერდება წითელ ქაღალდსა.

— შე დალოცვილო, ქორწილზე, ნიშანზე, დამარხვაზე სულ ფულსა გვთხოვ, და იმ ოსერ ორ კოდ ბურს წელიწადში რაღაში გაძლევთ. საღდგომოდ, საშობაოდ ქათამი კიდევ სხვა არის.

— იმაში გართმევთ რომ მთელი წელიწადი. სულ თქვენთვის და თქვენის განსვენებულებისთვისა ვარ მწირველი.

— მწირველი, ვინ იცის, ეგირას არ აგვაცდენ წირვასა. წელიწადში ორჯერ რომ გვიწირო, ისიც დიდი მოწყალებაა თქვენგან.

— ბეგრს ნუ როტავ, მამა გიცხონდა და. თავის-დღეში ასე ეოფილა და ახლა დიდ-სვეველები სომ არ გამოსცვლით წესსა ჯ კანონსა. შენ ისიც გეეოფა რომ დედი-შენის დამარხვაზე რვა მანათის მეტი არ მომეცი.

— რა დროს ვაჭრობაა, მამაო, შენი ჭირიმე, სთქვა მხიარულად სოსიკამ. დაბძანდით, სუფრა აგურთხეთ ჯ ვიქეიფოთ.

კარგა შუა-ღამემდის გასწია ნიშნობის ვახშამმა. დარბაისელმა კაცებმა მღვდლის თანაშემწეობით აუწყარებლივ ჯ დარბაისლურად გადაჭყლაპეს სოსიკას მომზადებული ღვინო, და ზედ სუთი-ექვსი არაყიც დაატანეს. ბარბაცით და ბებრულის ღიმილით გამოდიოდენ კარგა შუაღამის უკან მოწვეული სტუმრები. პაკლეს ძლიერ ეძნელებოდა მართა ეგერდიდგან ადგომა, მაგრამ ბოლოს მაინც უნდა დამორჩილებოდა თავის სვედრს, და პირველად გადაეხვია სალხში თავის საყვარელს ძვირ-ფასს საცოლოს. კარებში ერთი კიდევ შესდგა და დიდსანს დაკვირვებით და ალტაცებით უყურა თავის მართას. ქერე

ესეც ბარბაცით წავიდა სასლში. ეს ბარბაცი კი ღვინის მიზეზი არ იყო: პავლე დამთვრალი იყო ეშხით, უძლიერესის დამათრობელ ნექტარით.

პავლემ თავის ოც-და-ათ თუმანს ტასიას თითო შაურობით მოგროგვილი ათი თუმანიც დაუმატა; წავიდა ქალაქს საქონლის საყიდლად. მშვენიერი სარი და კამბეჩი ამორჩია სოფელში. იყიდა ორი ურემი, დაიჭირა ერთი მოჯამაგირე და გაემგზავრა სამუშაოდ. დიდ-ხევას დაასლოებით მაშინ რკინის გზას აკეთებდენ ⁄ პავლემ დაიწყო ტრავერსების ზიდვა. რკინის გზის გათავების ვადა მოასლოვებული იყო და ამისათვის მოთავეები ძალიან აჩქარებდენ საქმეს და კარგს ქირას აძლევდენ მუშებს. პავლემ ათიოდ ურემი სხვისიც იქირავა და იჯარით აიღო რამდენიმე ათი ათასი ტრავერსის ჩამოტანა მთიდგან. დღეში თოთხმეტ საათს დაუსვენებლივ მუშაობდა პავლე. სად იყო იმის სიზარმაცე, ან იმის უძილობა. ნაბადში გასვეული მიეგდებოდა დაქანცული ურმის ხმელ ლართსებზე და რიყრაყამდის ისე ეგდო, როგორც უსულო. ირიყრაყებდა თუ არა, წამოსტებოდა მამაცად პავლე, დაიბანდა რუზე სელ-პირს და ადგეიძებდა თავის მუშებს. კვირის-კვირაობამდის ცალიერ პურზე და წყალზე იყო. თბილს საჭმელს კინ დაანახვებდა, თვალით! მაგრამ კვირა-დღის სრული სიამოვნება უქარწყლდება ეჭვი დღის განუწყვეტელს ჯაფას. გაუთენებლივ გასწევდა დიდ-ხევისკენ ⁄ ჩაეკონებოდა თავის საპატარძლოს. ეს კვირა-დღეები უძვირფასესი დღეები იყვნენ პავლიასთვის, ⁄ ამ დღეებისთვის ის მზა იყო ოფლი კი არა, თითო-თითო წვეთად სისხლი ელვარნა თავის ბედნიერებით გაღონიერებულ გვამიდგანა.

მარო ნიშნობის ერთი თვის უკან მარინე გარდაიცვალა. მარო გათხოვებამ მოუახლოვა საწყალ დედა-კაცს სიკვდილი. ის ჩუმად და უჩივლელად დაემორჩილა თავის ქმარ – შვილის სურვილს და ჩუმადვე გამოეთხოვა წუთი-სოფელს.

პავლე კვირაობით რომ მოვიდოდა სატოლოსთან, სოსიკა რამდენსამე წამს შემდეგ აიღებდა ჩიბუხს ლ გავიდოდა გარედ. კვირაობით, ზამთარშიაც, არამც თუ ზაფხულში, იშვიათად დარჩება შინ გლეს-კაცი. დუქნის წინ კაცები მოიყრიან თავსა, ვისმე ბანზე ქალები ლ ყაყანობენ თავიანთ ბედ-იღბალზე. პავლე და მარო სრულიად კმაყოფილნი იყვნენ ამ შემთხვევისა და უმოწმოდ სტკბებოდენ თავიანთ სიყვარულით.

პავლე ისე არ მოვიდოდა რომ მაროსთვის არა მოეტანა-რა: დაირა, მუზიკა, დიპლიპიტოები, ვერცხლის ქამარი, პალტო ლ სელის-თათმანები აამაყებდა მაროს ამხანაგ გოგოებში.

ამასობაში ზაფხულიც გავიდა და დაიწყო შემოდგომა. დღე-დღეობით სთვლიდა პავლე თავის განსაცდელის დღეებს. ერთი თვე უნდა ვიშრომო კიდევ, ამბობდა დაწოლის დროს პავლე და მერე, მერე.... მარო ჩემი იქნება.

მაგრამ ბედმა სულ სხვა რიგად დაატრიალა მაროს და პავლეს ჩარხი. ბუნება თითქო არ ყაბულობს რომ კაცი დიდის ხნით სრული ბედნიერი იყოს. მაროს და პავლეს ბედნიერებას ბოლო მოეღო და შავი ნისლი გადაეფარა.

ერთს ვიღაცა მთის მღვდელს სიმთვრალეში ჯვარი დაეწერნა რძალ-მაზლისთვის. ეს შემთხვევა შეეტყო ეგზარხოსს ვიღაც პატიოსანის მღვდლის ენით და გაეცა სასტიკი ბძანება მთელ თავის ეპარხიაში: დიდად და დიდად გათვთხილებულნი იყავით ჯვარის დაწერის დროს ნათესაობის გამოკითხვაშიო.

ბლაღოჩინებმა დაიბარეს თავიანთ ხელ-ქვეითი მღვდლები

და უფრო სასტიკად და მკვახედ გადასცეს ეს ბძანება: «თუ ვინიცობაა ნათესაობა დაგირღვევიათ ვისმე, ან შეცდომით, ან ქრთამის აღებით, იცოდეთ რომ ყოველ წელიწადს დაგივლი თქვენს სამრეველოებს ს შეცდომისათვის გაიკრიჭებითო.

სხვათა შორის შიო მღვდელსაც გადაეცა ეს ბძანება. ეს გაკრეჭამ ისე შეაშინა, რომ ყველა გოგო-ბიჭზე იჭვნეულობდა, ნათესავები ხომ არ არიანო. ამის იჭვნეულობამ იქამდის მიიყვანა, რომ ნოზაძეს აღარ აძლევდა ნებას, ნოზაძის ქალი შეერთო, თუნდა რომ ვაჟისა და ქალის შუა ადამ და ევის ჩამომავლობის მეტი ნათესაობა არა ყოფილიყო-რა. რასაკვირველია პავლესა ს მაროს მძახლობაც ამოაგონდა ს ერის მშვენიერს დღეს სოსიკას გამოუცხადა:

— შვილო, შენი გოგო და პავლე ერთმანერთს უნდა მოაშორო. ნათესავები არიან და არ ერგებიანო.

— რას ამბობ, მღვდელო, სადაური სუმრობაა! ხვალ არა, ზეგ ქორწილს გემზადები ს ახლა უნდა მოვაშორო. მაშინ სადა გქონდა, შე კურთხეულო, თვალები, როცა შუამავლად მოდიოდი, მაშინ სადა გქონდა ენა, როდესაც ნიშანი უკურთხესაქმე შენ დაიწყე ს ახლა შენი დანაშაული ჩვენ უნდა გადაგვასდვინო.

— ბევრიც რომ ილაპარაკო, არა გამოვა-რა, შვილოსა. მე ჯვარს არ დავწერ და თუ გინდა ასად დაუსვი შენი ქალი ქალაქში ნათრევ პავლიასა.

— მღვდელო, მღვდელო, შენს წვერს პატივი დასდე. მაგას ნუ გვიზამ. ნუ დამღუპავ, შენი წირვის ჭირიმე; ყელს ნუ გამოგვჭრი! ჩემი მარო პავლეს ცოლია ღმერთთანაც და კაცთანაც და ნუ დაგვღუპავ, ჯვარი გადასწერე. ოცდა-ხუთ მანათს მაგივრად, ასუთ თუმანს მოგართმევთ.

— რას ამბობ, კაცო, ხომ არ გაგიყდი, ხუთი კი არა, ორმოციც რომ მომცე არ შემიძლიან. თქვენი გულისთვის რომ გამკრიჭონ, რამდენი მაგისთანა ხუთი თუმანი დამეკარგება-ხაშინა.

მთელი სოფელი შეგრეოვდა, ერთი არეულ-დარეულობა გაიმართა. ტასია მუხლ-ქვეშ ჩაუვარდა შიო მღვდელს, მაგრამ ეგელა ტეუილი იყო; შიო თავის სიტუვაზედ ჯიუტად იდგა.

მარრომ წყაროზე შეიტყო ეს ამბავი, გიუსხვით თმა-გაწეწილი, გულის-პირ-ჩამოგლეჯილი ამოიჭრა მარო წყაროდგან. იმის პირის-სახე კაცს შეაშინებდა. ლოყებ დაგლეჯილი მარო მღვდლამდის კი მიეიდა და იქ მოჭრილ სესავით დაეცა. დიდხანს იყო გულ-შემოყრილი. ბოლოს რის კაი-კაგლასით გონზე მოიყვანეს. პირველი სიტუვები მაროსი ეს იყო: ორსულადა ვარ, შეშიბრალეთ!

სოფელმა დიდი თანაგრძნობა გაინუცხადა სოსიკას უბედურებისთვის და ეგელა თავის ადგილზე წავიდა. გაცხარებული სიმინდის რჩევა იყო ამ დროს სხვის უბედურება ბლეკ-კაცის გულში იშვიათად შეეკ. სოსიკამ მეორე დღესვე მარო თავის ჩალაგებულის მზითვით ურემში ჩასვა და გზას გაუყენა. ამან კარგად იცოდა, რომ პავლე ცოცხალის თავით მაროს არავის დაანებებდა და იმის მოსვლამდინ სხვაგან წაიყვანა.

გათენდა ბეიმა-დიდა. მხარეს ჩოხა-გადაგდებული, სიმღერით მოვიდა პავლე სოფელში. კარად გამოეენილი ხალხი სიჩუმით შესცქეროდა ამის მხიარულს პირის-სახეს და ბედნიერებით ხვეს ეკვლებ.

— გამარჯვებათ, კაცებო! ალტ ეგრე ჩაჩუმებულხართ, ძმაო. ივანიკამ ხომ კიდევ არ დაგარბიათ? ნუ გეშინიანთ, ღმერთი

მოწყალეა. ეძვს თვეზე გიორგი მოვა და შემდეგ მე ვიქნები თქვენი მოურავი და მეგობარი.

— მადლობელი ვართ, ჩვენო პავლე. ღმერთმა გადაგიხადოს, რასაც შენ ჩვენთვის სცდილობ, მაგრამ....

— მაგრამ რა, კაცო? მითხარით. დედა-ჩემი როგორ არის? თვერი ეცვალა პავლეს და მუსლი მოეკვეთა. რა იყო, თქვით რადა!...

პავლე იდგა გაშეშებული, შემკრთალი უცოდნელობით და ეს ამოდენა სალხიც ხმა-ამოუღებლივ მისჩერებოდა. ეგელა გრძნობდა რომ საშინელება იყო პავლეს უბედურების გამ-ყოვნება.

— მითხარით, კაცო, მითხარით, დაიღრიალა საშინელის ხმით პავლემ და გიუივით შინისკენ გაექანა.

— შვილო, შენა ხარ, ტირილით უთხრა ტასიამ. მოდი, დაჯექ, გული გაიმაგრე. ვაუ-კაცი ხარ, ლაჩარი ნუ იქნები. ზოგს ჯვარ-დაწერილი....

— რაო, დედავ, მარო სად არის, ავად გახდა?.., მოკვდა? მითხარ, მითხარ! პავლე მივარდა დედას და რაც ძალი-და-ღონე ჭქონდა, ისე დაანჯღია.

— დამშვიდდი, შვილო, კარგად არის, ნუ გეშინიან, ღმერ-თი მოწყალეა. ხელმწიფემდის ვივლი და შენ გულს კი არ მოვკლავ.

— რა არის დედა, ჩქარა, ნუ მომკალით, შემატყობინეთ, მაგრამ პასუხს კი აღარ მოუცადა და ახლა სოსიკას სახლის-კენ დაეშვა. მთელი სოფელი უკან დაედევნა. მთლად გიუის სა-ხე ჭქონდა პავლიას. თმა-მაღლა-ამდგარი, ხელებ-გაფარჩხული და თვალებ-დაბეტონილი შეაზარებდა კაცსა.

— მარო სად არის, მარო, მიჩვენეთ, მიჩვენეთ თქვე ულ-

ვთოებო, ღრიალებდა საშინელის ხმით. სოსიკას სასლი ცალიერი დახვდა. შუა ბოძს მიეყუდა პავლე და გაოცებული ხალხს შესცქეროდა.

— მარო მამამ შაშვეთში წაიყვანა მამიდასთან, უთხრა სოსიკას უფროსმა შვილმა.

— რადა? ამ სიტყვაში იყო პავლეს მთელი სიცოცხლე და მომავალი.

— ბიჭო, პავლე, დამშვიდდი, ეგრე როგორ გადაირიე, უთხრა გოგიამ. გაიგონე, რა ამბავია ჯ მერე იტირე. პარასკევს, შვილო, შიო მღვდელი გადმოვიდა, რალაც ეშმაკები მოსჩვენებოდა და სოსიკას გამოუცხადა, შენი გოგო და პავლე ნათესავები არიან, ერთმანერთს მოაშორეო.

— მერე იმ ურჯულომ დაუჯერა, და მარო მომტაცა? პავლემ ხმა-მაღლა ტირილი დაიწყო. საშინელია ამ გვარი ტირილი. დიდი და პატარა ჩაჩუმდა თითქო სიჩუმით პატივსა სცემდა პავლეს მწუხარებას. დიდ-ხანს იტირა პავლემ, მერე ზეზე წამოდგა და მწარედ გაიცინა: ერთი დრო კაცს არ შერჩენია, მე ისე ადვილად მერგო ჩემი ბედნიერება, რომ არ იქნებოდა ბედს არ ემუხთლა ჩემთვის, მაგრამ ჩემის ცოცხალის თავით კი მაროს არავის დავანებებ. გამიშვით.

ხალხი ჩამოეცალა კარებიდგან და პავლე შინისკენ წავიდა.

— შვილო, პავლე, სად მიხვალ მაგ თოთე-იარაღს რომ იკეთებ? ტკბილად ეუბნებოდა დედა. დაფიქრდი, შვილო, წინ-დაუხედავად ნუ მოიქცევი, ძალაობით არა იქნება-რა. ჯვარს თუ არ დაგწერენ, ხასად სომ ვერ დაისვამ. ჯერ ვეცადოთ, არქიეფოსთან წავიდეთ, იქნება შენი უმაწვილ-ბიჭობა შეიბრალონ და ნება მოგცენ.

— მართალს ამბობ, დედა. აჩქარება არ შეიძლება. მე მგო-

ნი არქიელი უარს მეტყვის. თავადიშვილებში მესამე ნათესავებს ირთვენ და მარო ხომ ჩემი ნათესავი სრულებითაც არ არის. მე ისევ რკინის გზის ნახსნენიკოთან წავალ, ფულს მივიღებ და მერე წავიდეთ ქალაქს. მიშველე, დედა, შემეწიე. მაროს ნუ დამაკარგვინებ, თუ შენი ბავლეს დაკარგვაც არ გინდა.

— უწინამც დღე დალევია დედა-შენსა. შვილო. სისხლის ცრემლით შევტირებ, შვილო. ამბობენ ის არქიელი ანგელოზია. შეიბრალებს უბედურს დედას. უარს როგორ მეტყვის!

წელ-მოწუვეტილი და ფერ-მიხდილი მივიდა ბავლე რკინის გზის ზედამხედველთან, ჩაიბარა ორი თვის ხამუშავარი ოცდა-ხუთი თუმანი ფული და დედით წამოვიდა ქალაქში.

ბევრისაგან ბევრს ეცადენ უბედურნი, მაგრამ სულ ტყუილად. მოხუცებულ «მუფიკ» ტასიას სასამართლოებში არც კი უშვებდენ. ბავლემ რუსული არ იცოდა და ფული იმდენი არა ჰქონდა რომ უფროდ გაეგებინებინა ჩინოვნიკებისთვის თავისი ამბავი და ეგზარხოსამდის არავის მიუშვა. კნეინა ქეთევანმა, არა თუ შემწეობა მისცა რამე, სასლშიაც ალარ შეუშვა ბავლე თავის დედით. ივანიკამ დიდი-სანია შეატყობინა კნეინას. რომ ბავლე გლეს-ეტეებს აქეზებს და გიორგისთან დედის ჯანვარგულებას აბეზღებსო.

ბევრს ეცადენ, ბევრი იტირეს სიროდის კანტორის სტოროუთან, მაგრამ მინამდის კი ვერ შეაღწიეს. ეთხელ ტასიას უთხრეს დედა-კაცებმა, სიოხში წადი, არქიელი კვირა-დღეს იქ მწირავეთ, და-როცა წირვა გამოვიდეს ფეს-ქვეშ ჩაუვარდი არქიელს და შეეკედრეო. სტოროვამ ტასიამ ესეც გამოსცადა, მაგრამ თითქო ბედი დასტინოდა ამ უბედურს. არქიელს რომ ფეს-ქვეშ ჩაუვარდა და ღრიალი დაიწყო, აქედ-იქიდგან დიაკონები წასწვდენ და გარედ გამოათრიეს. არ უნდოდათ რომ

თავიანთი ბატონი შეეწუხებისათ ღარიბი დედა-კაცის ცრემლებით.

როდესაც არქიელმა თავის სვინიდისის დასამშვიდებლად, კარეტაში ჩაბძანების დროს, იკითხა, ვინ იყო ის უბედურიო, დედა-მიწამდის თავი დაუკრეს ერთგულმა ქვეშევრდომებმა და ღიმილით მოასსენეს: Какая то шумашедшая грузинка, Ваше первосвященство!

წამოვიდენ პავლე და ტასია შინისკენ. პავლეს კიდევ იმედი ჰქონდა, როგორმე შეესუიდნა ბლაღოჩინი ლ შიო მღვდელი; გული ვერას გზით ვერ დაეჯერებინა რომ შესაძლებელი ყოფილიყო მაროს დაშორება.

— მარო ჩემი ცოლია, დედა, გესმის თუ არა? დღეში ათჯერ ეუბნებოდა ტასიას. რავქნა რომ ჯვარს არ დაგვწერენ, დაუმატა ატაცებულივით. ჯვარ-დაუწერავს განა ღმერთი არ გვაგურთხებს, როდესაც მე და იმას ერთმანერთი გვიყვარს და იცი, დედა, შვილიცა გვყავს. არა, ქვეყანა ისე უგულო არ იქნება, რომ ჩვენი გული ამოგგლიჯოს და თვალით გაჭქელოს. რა ვიცი, თუ მე და მაროს გაურაც შეიძლება, მაშინ ქვეყანაზე წმინდა ალარა ყოფილა-რა, და მე მაშინ ალარ ვიწამებ ღვთის განგებას.....

მარომ, როგორც ბუნებით მსიარულ სასიათის მქონემ, უეცრო ადვილად აიტანა თავის მწუსარება. ეს თუმცა დიღით საღამომდის სტირიდა და ძლიერა სურდა თავის პავლესთან შეეღლება, მაგრამ ამის გულს კი არა დასტყობია-რა; ჯანზედ კარგად იყო, და მოთმინებით მოელოდა თავის მომავალსა. თან-და-თან მუცელი აჩნდებოდა და ამისათვის სოსიკა და იმის და დაეშურენ მაროს „სვინიდისიანად“ მოშორებასა. ერთი

ვიღაც ქვრივი, ორი შვილის პატრონი შუა-ხნის კაცი აიჩინეს და ჯვარის გადაწერა ორ-კვირაზე გადასწყვიტეს. მარო, ქორწილის წინა დღემდის, არა შეუტყვია-რა; როდესაც შეიტყო, კისაღამ გადაირია.

— არა, არა, ყვიროდა გაცოფებული, მე ცოცხალის თავით სხვაზე ჯვარს არ დავიწერ. ჩემი ქმარი პავლეა ღ მეორე ქმარი მე რად მინდა!

— გოგო, სუ, ეუბნებოდა სოსიკა, თავს პატივი დასდე, ქვეყანაში არ შემარცხვინო, თორემ, ხომ იცი! ჩემს შერცხვენას შენს სიკვდილს ვარჩევ. ხელებს შეგიკრავ ღ ისე მიგცემ, კისაც მინდა.

— შვილო, დაუმატა მამიდამ, რით ვერ გაიგე რომ პავლეს რჯულმა არ გარგუნა, ასასად ხომ არ დაუჯდები. შვილო, ბავშვი ხომ არა ხარ, დაფიქრდი შენს მდგომარეობაზე, ორსამ თვის უკან ვარეგდ ადარ გამოგესვლება, და აბა რასა იქ? ისევ ქმრის ხელში იყო, ის გირჩევნიან. ქმარი ქალის ჯიღაა და მაშინ ვერავინ რას იტყვის.

— მამილო, მამილო, რას მეუბნები! პავლეს მაგიერად ვინ უნდა შევირთო? ოჰ, ჩემო მშვენიერო პავლეკ! ჩემო პირველო და უკანასკნელო ბედნიერებავ. სხვა ქმარს კი წავუვები, რომ მოხუცებული მამა არ შევარცხვინო, მაგრამ უშენოდ თავს არ ვიცოცხლებ.

პავლემ საქონელი გაჰყიდა, მოშდეული დარბაზი ისევ პატრონს შეუბრუნა; ამ ფულებით უნდოდა მღვდელი შეესყიდნა, მაგრამ ვერას გახდა. ამის საუბედურო „ბძანება“ ახალი გამოცემული იყო და ჯერ მღვდლების გული არ დაშოშმინებულიყო. გაკრეჭა ყველას თვალ-წინ უდგა და ამისათვის

შიო მღვდელი შეუსუიდავი ჯაცი გახდა. ამ უკანასკნელმა იმედ-მაც რომ უმტკუნა, ბავლემ თავის მოკვლა დაუპირა. მაგრამ ტასია დღე-და-ღამ მოუტილებლივ ყარაულად ადგა. მუდამ თვიქრმა ჯ მაროს სახვის სურვილმა ისე მოუშალა ბავლეს ძარ-ღვები, რომ დღეში სამჯერ ატიებდა. მთელი ღამე ბოდავდა და ბევრჯერ ორი-სამი დღე უგრძნობელად იყო. ტასიამ რაც ეჭიმობა იცოდა, სულ ზედ შეალია, და ვერაფერს კი ვერ-და. ბავლეს ავად-მყოფობის წამალი დაკიწუება იყო, მაგრამ ვერ ისმარა ეს წამალი. ეს ძლიერ დიდ-სანს ჯ ძლიერ მსურ-ვალედ გრძნობდა მაროს სიყვარულს, რომ ისე საჩქარად გუ-ლიდგან ამოელო. ან ეს რა საჯირო იყო? უმაროდ ბავლეს სიცოცხლეს რაღა ფასი ჰქონდა! ეს დაუნანებლივ ამლეკდა თავს ფიქრებს და ღიმილით მოელოდა სიკვდილს. ამის სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ სიკვდილის დროს კიდევ გადასხვეკო-და თავის მაროს და იმის ძვირფასს მკერდზე დაქლია სული. დიდ-სანს იყო ბავლე სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა; მაგრამ სიყმაწვილემ დასძლია და მოიხედა. ნელა-ნელა მობრუნდა ბავ-ლე წუთის-სოფლისკენ ჯ ამსანაგებს ლაპარაკი დაუწყო. მოე-ლი საღამოები ყმაწვილი ბიჭები უსხდენ გარშემო და ემუსაი-ფებოდენ. ეს გაჩუმებული, ფერ-მიხდილი თითქო ყურს უგ-დებდა იმათ ლაპარაკს და თითქოც კი არა. ბავლე ბევრით გამობრუნდა, მაგრამ ამის სული სამუდამოდ დაიხშო. მთელი დღეობით, ამსანაგების ლაპარაკზე, ოსუნჯობაზე, ხმას არ ამოიღებდა და იმის პირზე ერთი ღიმილი აღარავის უნახავს. ოთველთვის ჩაფიქრებული იყო, და სიცოცხლე თითქო ფუჭად ეჩვენებოდა. ამ ყოფაში იყო ბავლე, როდესაც ერთ კვირა-დილით, შემოვიდა სინო, მეზობლის ახალგაზდა ბიჭი ჯ უთ-ხრა ბავლეს:

— ბიჭო, კარგად გახდი, კვირას მარო ქორწილია, მაგრამ არ წამოვალ?

რა იცოდა ამ უბედურმა ბუნების შვილმა თუ როგორ იმოქმედებდა ეს სიტყვები პატარას დაჭიმულ ძარღვებზე. პატარა წამოაყარდა ფესვზე, მიეყარდა სინოს და დაღრჩობა დაუპირა. სწორედაც დაადრჩობდა, ტასიან რომ არ შემოშველებოდა. პატარამ რომ დედა დაინახა, სელიდგან გაუშვა სინო და გარედ გაყარდა. მთელი სოფელი გამოუდგა და რის ვი-ვაგლახით დაიჭირეს. პატარას შეცდომის ნიშნები გამოაჩნდა. წამ-და-უწუმ წამოხტებოდა ლ გაქცევას აპირებდა. ღამე ორი ყარაული უწევა უბედურ ტასიას, პატარას ძილი დაეკარგა ლ ხუთშაბათ ღამეს, როდესაც იმის ყარაულებს დაეძინათ, ადგა, ჩაიცვა ტანისამოსი, შემოიკრა ხანჯალი და ფეხის ფჩხილებზე, ნელა-ნელა გამოვიდა გარედ.

მეორე დილას დიდი აყალ-მაყალი გაიმართა დიდ-ხევაში. სოფელი დიდის უურადღებით მოექცა უბედურს ტასიას: ემაწვილი-ბიჭები აქეთ-იქით გაექანნენ პატარას საძებნელად. ორი დღე-და-ღამე ეძებეს, მაგრამ პატარას კვალიც კი ვერსად ვერ იპოვნეს.

შაბათ საღამოზე შაშვეთის გასათხოვარი გოგოები შეგროვდენ, ლ რადგან წყარო სოფელზე მოშორებით იყო ჩვეულებისა-მებრ ერთად წყალზე წავიდენ. გულ-ჩათუთქვილი მ�ოდ იმათ გაჰყვა. გოგოებმა აამსეს კოკები და წყლის ნაპირას დასხდენ. ლაპარაკი. რასაკვირველია, ხვალინდელ ქორწილზე იყო.

— მარო, გინახავს შენი საქმრო?

— ჩემთვის სულ ერთია, ამოხვრეთ უპასუხა მარომ, თუნ-

და ვნახო, თუნდა არა. ჩემი თვალები თავის დღეში ველარა-ვის ვერ მოხწონებენ.

— გოგო, რაგორ მოგივიდა, შე საწყალო, მაგისთანა საქმე? ხვალ ჯვარს იწერ და ახლა მაინც გვიამბე შენი თავ-გადასავალი.

— ჩემი თავ-გადასავალი ქვასაც ატირებს, სთქვა მარომ და მოთქმით, ხმა-ძალა ტირილით, უამბო თავისი ჭირი და უბედურება. ნორჩის გულის პატრონმა გოგოებმა ტირილითვე გამოუცხადეს თავიანთ თანაგრძნობა მაროს. მერე დიდ-ხანს ისხდენ ჩათიქრებულნი, და ბინდმა ისე მოატანა, რომ ვერც კი გაიგეს.

— ახლა კი წავიდეთ, გოგოებო, სთქვა ერთმა. ყველამ კოკები მხარზე შეიწყეს და შეუდგნენ პატარა გორას, რომელზედაც სოფელი იდგა. შუა გზაზედ რომ მივიდნენ, უკანიდგან საჩქარად ვილაც მოეწიათ და ელვის სიჩქარით მაროს ბეჭებში ხანჯალი ჩაარჭო. გოგოებმა შიშისაგან კოკები დაჭ-ყარეს და წივილ-კივილით სოფელში აცვივდენ.

მაროს კრინტიც არ ამოუღია, მარტო ხელები გაეჭნია და უსულოდ დაეცა პირ-ქვე.

პავლემ ხანჯალი ამოიღო და სისხლმა რომ თავ-პირზე შეასხა, პატარა-ხანს გორზე მოვიდა. გადმოაბრუნა მარო და მხურვალედ ჩაეკონა.

— ახლა ჩემი ხარ, ჩემი, შენს თავს ველარავინ წამართმევს, აღტაცებით ჩასტუტუნებდა უსულო მაროს.. თუ აქ არა, იქ ხომ შეგეყრებით ერთმანერთს. ახლა ჩემი რიგია! დაავლო ხელი ხანჯალს, მაგრამ ამ დროს გარს შემოერტყა მთელი სოფელი და პავლე დაატუტუცეს.

პავლეს დედა, ტასია, შვილის ელდამ დამბლა დასცა; წა-

ერთვა ჯანი და გონება, და მადლიც მოუვიდა: გონება-დაბნელებული ტასია აღარა გრძნობდა მაინც თავის შვილის უბედურებას.

ერთ კვირას უკან გამომძიებელი მოვიდა. მარო გასჭრეს. რისთვის? პავლეს გამოჭკითხეს მოკვლის მიზეზი, მაგრამ ის რაღასაც ბოდავდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში ერთ წამსაც არ მოსულა პავლე გონებაზე. ეს სულ სისხლზე ტ უსამართლობაზე ლაპარაკობდა. ადგილობრივ გამოძიების შემდეგ პავლე ქალაქის ციხეში გაისტუმრეს, მართლ-მსაჯულების ასასრულებლად.

ორის წლის შემდგ ქალაქის სატუსაღოს ლაზარეთში გარდიცვალა ჭლექით ოცდა-რვა წლის უმაწვილი-კაცი. უპატრონოდ, სის კუბოთი ჩაუშვეს ეს უბედური სათლავში. არც ერთი ცრემლი არ ჩამოვარდნილა; არც-ერთი შეგობრული სიტყვა არა თქმულა ამ უდროოდ გათუჭებულის უმაწვილ-კაცის სათლავზე.

ლაზარეთში, ავად-მყოფების სიაში ეს კაცი ესე ჩაწერათ: „კაცის-მკვლელი, პავლე ცოდვის-შვილი.“

ეკ. ბაბაშვილისა.

ბრძოლა

(სერბიელ პოეტის დრაღაშევიჩისა.)

ბრძოლა, ძმანო, ბრძოლა მამა-პაპური,
თორემ მტრისგან იღუპება მამული;
ბრძოლა, ბრძოლა! ნუ დაგვიგდია ყური!
ჩვენდა წყლულად მიგვაჩნდეს ერის წყლული.
ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მტერთან მედგარი,
სისხლით მოვრწყოთ სამშობლოს მთა ლ ბარი!

ოხ ნეტავი მოვესწროთ იმ დროსა,
რომ სერბიას ავალად გადვიძებოდეს;
აღემართოს თავისუფლების დროშა
და თავის მტერს მამაცურად ებრძოდეს?
აღვსდგეთ ლ მსწრაფულ დაიმხობა მონება!
გვეყო, გვეყო, ამდენი მოთმინება.

ბრძოლა, ძმანო! მონებაში ცხოვრებას
სჯობს შევსწიროთ თავი თავისუფლებას.
ბრძოლა! ბრძოლა! დაე დარწმუნდეს მტერი,
რის მქნელია გადვიძებული ერი!...
ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მამა-პაპური,
ნადარის ხმა ისმის, დაუგდეთ ყური!...

ნუ ჰკარგავ იმედს!

(ვუძღვნი გ. დ. ქ.)

ნუ ჰკარგავ იმედს,
რომ ქართველისა ბედს
აწ გადაჰკვრია შავი ღრუბელი;
და იმის ვარსკვლავს,
მომავლით მბრწყინავს,
უშლის მოჰფინოს თვისი ნათელი.
ამ გვარნი დრონი,
მნელ მოსაგონნი,
ჩვენთ წინაპართაც ბევრჯერ სდგომიათ;
მაგრამ იმედი,
წინამორბედი
ძათ არასოდეს არ დაჰკარგვიათ...
ესლაც მოვა დრო,
ტკბილ სანეტარო,
ბედის ვარსკვლავი კვლავ აღმოსდება,
და ეს ღრუბელი
შავი და ბნელი
ანაზდეულად გაიფანტება.

მაშინ მამული
მრავალ ტანჯული
იმის სხივებზედ ისე იბრწყინვებს,
ვითა ცის ცვარი
ვარდზედ მკრთოალარი
მზის სხივზედ დილით თრთის ⸗ ბჟუკრიალებს.

ი. ბაქრაძე.

1881 წ.

ვეკფილდის მოძღვარი.

(შემდეგი *)

თავი XVIII

მამა ეძებს დაკარგულს შვილს და უნდა კეთილს გზაზედ დააყენოს იგი.

თუმცა პატარა რიჩარდმა კერ მანიშნა, რა სახისა იყო ის კაცი, რომელმაც ოლივია მომტაცა, მაგრამ მაინც ეჯვი ტორნჭილზედ ავიღე; ამისთანა საქმე იმის ხელიდამ კვლავაც ბევრ-ჯერ გამოსულა. ამის გამო გავემგზავრე იმის სასახლისკენ; მინდოდა სასტიკად გამეკიცხა იგი, და თუ შესაძლებელი იყო, ჩემი ქალი უკანვე წამომეყვანა; მაგრამ გზაზედ ერთი ჩემი სულიერი მოწაფე შემომეყარა და მითხრა, ეს არის ეხლა ერთი ეკიპაჟი შემომსვდა, საჩქაროდ მიდიოდა და შიგ ერთი ქალი იჯდა, რომელიც სულ თქვენს ქალსა ჰგავდა; გვერდით კაცი უჯდა, და ისეთი ნიშნები მითხრა, რომ ეს კაცი სწორედ ბორჩელი უნდა ყოფილიყო. ამ ამბავს ყური არ კათხოვე და ისევ სასახლისკენ გავეშურე. თუმცა ჯერ ადრე იყო, მაგრამ მაინც მსასურებს მოვთხოვე, ეხლავე ტორნჭილი მაჩვენეთ-მეთქი.

---

*) «ივერია» №№ 1 და 2, 1881 წ.

ტორნბილი მალე მხიარულის სახით გამომეგება და ჩემის ქალის გაქცევა რომ შეიტყო, მეტად გაიგვირვა; მითხრა, პატიოსნებას გეფიცები, მე მაგ საქმეში უბრალო ვარო.

ესლა კი ეჭვი სრულებით ბორჩელზე გადავიტანე და მოვაგონდა რომ ამ ბოლოს დროს ისა და ოლივია ხშირად მარტოკა რჩებოდენ. შინისკენ დავბრუნდი თუ არა, მეორე მოწამე შემომხვდა ჯ ამან კი სრულებით დამარწმუნა, რომ ბორჩელს მოეხდინა ეს ავ-კაცობა; ისა ჯ ჩემი ქალი თურმე წულებზედ წასულიყვნენ, ოც-და-ათ მილზედ მოშორებით, სადაც იმ დროს დიდი საზოგადოება იყო თავ-მოყრილი.

ამ ამბავმა ისეთს ოფოვამდე მიმაღწევინა, როდესაც კაცი აჩქარებითა მოქმედობს და გონებას აღარ მისდევს. აღარ დავფიქრდი, იქნება ეს კაცები განგებ ფოფილიყვნენ ჩემს გზაზედ დაყენებულნი ჩემის გზა-და-კვალის დასაბნევად, ჯ გავწიე «წულებისკენ» ჩემის ქალისა და იმის ტუალეტის შემაცდენელის საპოვნელად.

დავადეგ გზას დაფიქრებული და ბევრს ვკითხე ჩემის ქალის ამბავი, მაგრამ ვერაკინ რა მითხრა. დანიშნულს ადგილს რომ მივედ, შემომხვდა ერთი ცხენიანი კაცი, რომელიც რამდენჯერმე ტორნბილისას მუნახა. იმან მითხრა, აქედამ ოც-და-ათ მილზედ დოდია გამართული და იქ რომ მიხვიდე, უეჭველად იპოვნიო. წუსელის თქვენი ქალი იქ ერთს ადაგას ტანტალობდა და მთელი საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანა.

ძალა ადრიან გავემგზავრე და ოთხს საათზედ, შუადღის უკან, მიფველი იქ, სადაც დოდი უნდა გამართულიყო. დიდი და ჩინებული საზოგადოება იყო შეკრებილი; უეცლანი სიამოვნებისთვის მოგროვილიყვნენ; მხოლოდ მე სულ სხვა განზრახვით ვიყავ მოსული: მინდოდა ჩემი დაკარგული შვი-

ლი ისევ კეთილს გზაზედ დამეუნებინა. ერთსულ თითქო კი-
დეც დავინახე ბორჩალი, მაგრამ მივუახლოვდი თუ არა, სალ-
ხში დაიმალა; ალბად ჩემი შესვედრა არ უნდოდა. მას უკან ბ
ველარსად მოვკარ თვალი.

ესლა გული დავაკერე, რომ ძებნით არა გამოვიდოდა
და დაბრუნება დავაპირე ჩემს უმანკო ოჯახში, რომლისა-
თვისაც მე ესლა საჭირო ვიყავ. მაგრამ სულის მღელვარება და
დაღალულობა გამოამჩნდა და გავსდი ავად. ჩემს თავს უძვი-
თობა დიდის დროსვე დავატეე. სამოცდა-ათი მილი მეტი
ვიყავ მოშორებული ჩემს სახლზედ და უფრო ამიტომ შეა-
წუხა ამ ავად-მყოფობამ.

გზაზედ ერთ ტრაქტირში შევაყარე თავი, რომელიც
უფრო ღარიბებისთვის იყო გამართული და იქ დავყავ სამი
კვირა, ვიდრე ავად-მყოფობისაგან გავთავისუფლებოდი. ბო-
ლოს ჩემმა ჯანის-სიმრთელემ აჯობა და ფეხზედ წამოვდეგ,
მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენი თეული არა მქონდა რომ მეტრაქ-
ტირე გამესტუმრებინა. ამ ამბავს შეეძლო სელმეორედ ძვე-
შაგებად ჩავეგდე, სელი რომ არ მოეკართა ერთის მგზავრისა,
რომელიც პურის საჭმელად ჩამოსდა იმ ტრაქტირში. ეს იყო
წიგნების გამყიდველი და ბევრი საყმაწვილო წიგნის დამწერი
ის თავის-თავს ბავშვების მეგობარს უძახდა, მაგრამ ამარტო
ბავშვებისა კი არა, მოელის კაცობრიობის მეგობარი იყო.

ხელად ისაუბა თუ არა, წასვლა დააპირა. ამ კაცს ყო-
ველთვის საჭირო საქმე ჰქონდა და ესლაც ერთის ამბის და-
საწერად მასალებს აგროვებდა. მე მაშინვე ვიცან ეს კაცი იმის
მწერალს ს დაჩენილს სახეზედ; ის იყო გამომცემელი ჩემის
წიგნისა წინაადმდეგ ორ-ტოლობის მომხრეთა და იმას დავე-
სესხე შინამდის თეულსა.

ჯერ კიდევ სუსტად ვიყავ და დღეში ერთს მიღებულ მეტს ვერ გავიგლიდი. ნელ-ნელა შემოვიკრიბე სრული ჩემი ძალ-ღონე და სიმშვიდე; ვკიცხავდი ჩემს თავს რომ გავბედე და ამპარტავნებით ურჩ-ვექმენ ჩემს ამ განსაცდელში ჩამგდებს. კაცმა არ იცის, რა უბედურების მოტანა შეუძლიან, ვიდრე თვითონვე არ გამოსცდის. როგორც პატივ-მოყვარეობის სიმაღლეზედ ასვლის დროს, ეს სიმაღლე დაბლიდამ ბრწყინვალედ გვეჩვენება და ყოველს ნაბიჯის ადგმაზედ კი ხშირი გვიცრუვდება: ვსვლავთ მხოლოდ ესიამოვნოდ ბნელს სანახავს; იმე სასიამოვნო სიმაღლიდამ ძირს ჩამოსვლაზედ, თუ ძებნა არ დაგვზარდება, ბევრს რასმესა ვნახავთ გულისა და გონების გამამ-ხიარულებელს, თუმცა ზემოდამ მოსჩანდა მხოლოდ სიბნელე. რაც უნდა ბნელოდეს, მაინც უფრო ნათლად გვეჩვენება ყოველივე, თუ დავუასლოვდებით და თვალს სიბნელეს შევაჩვევთ. დავადექი ეზასა და ორი საათის სიარულის შემდეგ შორიდამ ეკიპაჟით რაღაც დავინახე. მივეწიე და მოგზაურ ექ-ტიორების ტურგონი გამოდგა, რომელშიაც თეატრისთვის სხვა-და-სხვა საჭირო ნივთეულობა და ავეჯეულობა ეწყოთ; მასლობელს სოფელში წარმოდგენას აპირებდენ. ტურგონს მხოლოდ თითონ მეტურგონე მისდევდა და ერთი ექტიორთა-განი. სხვები მეორე დღეს უნდა მოსულიყვნენ სოფელში. ნათ-ქვამია, კაი ამსახავი გზის შემმოკლებელია, და მეც ბაჯი გავმართე ამ ექტიორთან. ყმაწვილობისას მეც ცოტა ოდენი ნიჭი მქონდა ექტიორობისა და ამიტომ თავისუფლად დავიწყე ამ საგანზედ სვლა. რადგან არ ვიცოდი ესლა რა მდგომარეობაში იყო სასცენო ხელოვნება, გამოვკითხე, რომელი მწერლის თხზულება უფრო მიღებული ესლა, ვინ ჩადის ესლა დრა-იდენისა და ოტვეის მაგივრობასა-მეთქი.

— მე მგონია, მომიგო იმან, ახალი დრამების მწერლები არად დაგიმადლებდენ მაგ მწერლებთან შედარებას. დრაიდენი ძ როუ ესლა სრულებით მოდაში აღარ არიან. ჩვენმა გემოვნებამ ერთის საუკუნით უკან დაიწია. ესლა არდგენენ მხოლოდ ფლეთჩერის, ბენ ჯონსონის და შექსპირის თხზულებებს.

— რას მიბძანებთ მაგას? მივუგე მე. როგორ წარმოვიდგინო რომ ჩვენს საუკუნეში მოსწონდეთ თქვენგან დასახელებულ თხზულებების დაძველებული ენა, ხავს - მოკიდებული ოხუნჯობა და უშნოდ გამოსატული სასიათები!

— საზოგადოება როდი დასდევს ენასა, ოხუნჯობასა და სასიათების გამოსატვას; ეგ რა იმისი საქმეა. ის მიდის მხოლოდ სასიამოვნოდ, სრული კმაყოფილია როდესაც სცენაზედ ბევრი მისვლა-მოსვლა და ალიაქოთია და წარმოდგენას ჯონსონის ან შექსპირის სახელი ჰფარავს.

— მაშ ესლანდელი დრამების მწერალნი უფრო შექსპირის მბაძავნი ყოფილან, ვიდრე ნამდვილის ცხოვრებისა.

— სწორე გითხრათ, მიპასუხა იმან, ისინი არაფერს არა ჭბაძვენ ძ არც საზოგადოება თხოულობს. საზოგადოება იმას კი არ უყურებს, პიესა როგორ არის შედგენილი; ტაშის გამოწვევა მხოლოდ ცსარე ლაპარაკსა და უეცარს მოქმედებას შეუძლიან. მე ვიცი ერთი პიესა, რომელიც სალხს ძალიან მოსწონს, თუმცა მთელს პიესაში ერთს მოსწრებულს სიტყვას ვერ იპოვნით და მეორეს პიესა კიდევ იმან დაიხსნა, რომ სავსეა უბრალო და უშნო ოხუნჯობით. არა, ბატონო, ჟონგრევისა და ფარქუარის თხზულებებში ბევრი ჯერ სჩანს და ესლა ჯერ ანი თხზულებების მოდა როდილაა.

ამ ლაპარაკში ფურგონი სოფელში შევიდა. სოფლელებს გაეგოთ ამათი მისვლა და გამოლაგდენ გარედ საყურებლად.

ჩემმა თანა-მგზავრმა შენიშნა, რომ თეატრის გარეშე უფრო ბევრი მაყურებლები გვყავს, ვიდრე თვით თეატრშიო. მე ჯერ ვერ შევამჩნიე რომ ჩემის წოდების პირს არ შეჭეროდა ამისთანა სალხში გარევა, ვიდრე გარს მაყურებლების მთელი ხროვა არ შემოგვეხვია. მაშინვე ერთს ტრახტირში შევედი და იქ ერთი კარგად ჩაცმული კაცი მოგვიახლოვდა და მკითხა, მართლა მაგათი მღვდელი ბძანდებით, თუ მღვდლობასა თამაშობთო? მე ვუთხარ, ვინც ვიყავ და გავაგებინე რომ სრულებით არ ვეკუთვნოდი აქტიორების დასსა. მე და ჩემი თანა-მგზავრი მიგვიწვია იმან, ერთი ფინჯანი ფუნჯი დავლიოთო, და დაგვიწყო დალაგებული ლაპარაკი სახელმწიფოს ახალს საქმეებზედ. მე ვიფიქრე, სწორედ პარლამენტის წევრი უნდა იყოსმეთქი და თითქმის დავრწმუნდი რომ ჩემი აზრი ნამდვილი იყო, როდესაც ვიკითხეთ, ვახშმად რა იშოვება ამ სასტუმროშიო, და იმან მეცა და აქტიორიც მიგვიწვია, ჩემთან ივახშმეთო. ჩვენ ჯერ უარზედ დავდეგით, მაგრამ თხოვნა რომ განიმეორა, დავუაბულდით.

თავი XIX

აღწერა ერთის კაცისა, რომელიც არ არის კმაყოფილი ეხლანდელის მართებლობისა და ეშინიან, ხალხმა არ დაჰკარგოს თავისი თავისუფლება.

ჩვენის მასპინძლის სახლი თუმცა სოფელზედ ახლო იყო, მაინც ბოდიში მოითხოვა, კარეტა რომ ვერ მოგვიყვანა, და ფეხით წაგვიყვანა. მალე გამოჩნდა ერთი უმშვენიერესი სახლი, რომლის ბადალი მე იმ მხარეს არ მენახა. შეგვიყვა-

ნეს ერთს ოთახში, რომელიც ჩინებულის გემოვნებით იყო მორთული. ჩვენი მასპინძელი რომ გავიდა ვახშმის საბძანებლად, აქტიორმა თვალი მიყო, ეს კაი ბედს შეეყარეთო. სახლის პატრონი დაბრუნდა; მშვენიერი ვახშამი მოგვიტანეს, ორი ცოტა მსუბუქად ჩაცმული ქალიც შემოვიდა და დავიწყეთ მხიარული ლაპარაკი. ჩვენი მობაასე სულ პოლიტიკაზედ ლაპარაკობდა; ის ამბობდა, თავისუფლება მიყვარს კიდეც და მისი მეშინიან კიდეცაო.

სუფრა რომ აალაგეს, მკითხა, ხომ არ წაგიკითხავთ გაზეთ «მონიტორის» უკანასკნელი ნომერიო? არა-მეთქი.

— მაშ არც «აუდიტორი» წაგიკითხავთ?

— არც ეგ წამიკითხავს, ვუთხარი მე.

— მიკვირს, სწორედ მიკვირს! მე ყველა გაზეთებსა ვკითხულობ. „ოკელ-დღიურს“, „საზოგადო გაზეთს“, „ლეჯერს“, „ხრონიკას“, „ლონდონის საღამოს“, „უაიტჰოლის საღამოს“, ჩვიდმეტს კრებულს და ორს ყურნალს. თუმცა ამ გაზეთებს ერთმანერთი სძულთ, მაგრამ მე ყველანი მიყვარან. თავისუფლებაა, თავისუფლება ბრიტანიელის საკვესური, ჯ ვფიცავ ჩემს კორნვოლის ნახშირის მადნებს, მე პატივსა ვსცემ ოკელს დამცველს თავისუფლებისას.

— მაშ სელმწიფესაც ხომ სცემთ პატივს?

— რასაკვირველია, როდესაც კი იმას ჩადის, რასაც ჩვენ შოვითხოვთ იმისგან, მაგრამ თუ ის კვლავაც ისე მოიქცა, როგორც ამ უკანასკნელს დროს, ჩემს დღეში იმის საქმეებში კარეკით ხაკს აღარ შეკიწუნებ. სხვას აღარას კიტუკი ამის მეტს, რომ ზოგიერთს საქმეს მე იმაზედ უკედ წავიყვანდი. ამას კარდა მრჩეველები საკმარისი არა ჭყავს. გისაც კი რჩევა

შეუძლიან, ყველას რომ მოუსმინოს სიტყვა, მაშინ საქმე სულ სხვაფრივ წავიდოდა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, წარმოვსთქვი მე, ეგ მეტი ჩარა მრჩეველები საქვეყნოდ თავ-ლაფ-დასასხმელნი არიან. ოთველის პატიოსან კაცის ვალია შეეწიოს სუსტს მსარეს ჩვენის წყობილებისას, შეუწყოს ხელი იმ სკიპტრა-გვირგვინის ძლიერებას, რომელიც დღე-და-დღე უფრო მტირდება და ჭკარგავს თავის ღირსეულს მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში. უმეცარნი კი ისევ თავისუფლებაზედ ღაღადებენ და მძიმედ აწერენ ხელს სასწორის იმ მსარეს, რომელიც უიმათოდაც დაბლაა დაწეული.

— მაშ ამასაც მოვესწარი, წამოიძახა ერთმა იმ ქალთაგანმა, რომ ჩემის თვალებით ვხედავ ურცხვს არამზადას, თავისუფლების მტერსა და მტარვალების მფარველსა, რომელიც ებძვის თავისუფლებას, ამ წმიდა ზეციურ ნიჭს, ამ ბრიტანიელთა დიდებულს უფლებას!

— განა შესაძლებელია, დაუმატა სასლის-პატრონმა რომ ესლანდელს დროში იყოს კინმე მომსრე მონობისა! იყოს ისეთი საზიზღარი, რომ მოითმინოს ბრიტანიელთ უფლებათა წართმევა?

— არა, ბატონო, მე არა ვარ მტერი თავისუფლებისა, მაგ მაღალთა არსებათა სვედრისა! იმ დიდებულის თავისუფლებისა, რომელზედაც ასე ბევრსა ლაპარაკობენ. მე მსურს რომ ყველანი სელმწიფენი იყვნენ, მეც თვითონ სელმწიფე ვიყო, ჩვენ ყველანი ღირსნი ვართ სასელმწიფო ტახტისა, ყველანი თანასწორნი ვართ. ეს არის ჩემი აზრი და უსეფე აზრი ჭკონდა იმ პატიოსანს საზოგადოებას, რომელსაც „თანასწორობის საზოგადოება“ ეწოდა. წევრნი ამ საზოგადოებისა ცდი-

ლობდენ ყველანი თანასწორნი და თავისუფალნი ყოფილიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეუსრულდათ სურვილი: ზოგი მათგანი სხვებზედ ღონიერი იყო, ზოგი უფრო ჭკვიანი და ესენი გაუსდენ სხვებს ბატონად. როგორც თქვენი მეჯინიბე ცხენს შემოაჯდება ხოლმე ზურგზედ, რადგან მასზედ უფრო ჭკვიანი არსებაა, ისე თქვენს მეჯინიბეს იმაზედ ჭკვიანები იმსახურებენ. ადამიანებში ზოგი მბძანებლად არის გაჩენილი, ზოგი ბძანების აღმასრულებლად, და რადგან უბატონოდ ყოფნა არ სურსდება, სჯობს, აქვე გვერდით, ჩვენს სოფელში, ბატონის ყოლას, შორსა გვაკვდეს, თუნდა დედა-ქალაქში. მე ისე მეჯავრება ჩემის მბძანებელის სახის დანახვა რომ, რაც უფრო მომაშორებენ, ის მირჩევნიან. სხვა-და-სხვა სალხიც უფრო ჩემს აზრს ადგას, რადგან ერთ-ხმად ირჩევს იგი ერთს სელმწიფეს და ამ ღონით მბრძანებელთა რიცხვსაც ამცირებს და ამორჩეულს ბატონსაც იშორებს თავიდამ.

„მაგრამ დიდებულნი კი, რომელთაც ერთის მბძანებლის ამორჩევამდე ყოველივე უფლება ჰქონდათ მითვისებული, ეურჩებიან ამ ერთის ბრძანებას, რადგან იგი ამცირებს მათს ღირსებას. რასაკვირველია, ისინიც ცდილობენ გარდაუსადონ მაგიერი და აღადგინონ კვალად თავიანთი ძალიერება.

„რომელს ქვეყანაშიაც კი კანონები ისაა დადგენილი, რომ სიმდიდრე მხოლოდ ცოტაოდენთ სელში გროვდება, იქ სელმწიფობას ძირი ეთხრება. ჩვენში ამ კანონების ძალით შესწევდა კავშირი მდიდართა და ღარიბთა შორის, რადგან მდიდარი აღარ ირთავს ღარიბის ქალსა. აქ სწავლულთ არ შეუძლიანთ ურჩიონ რამე თავის ქვეყანას, თუ სიმდიდრე არა აქვთ და ამის გამო სწავლულნიც ნდომულობენ სიმდიდრის შეძენას. მდიდარნი კიდევ მეტს სიმდიდრეს ხმარობენ ძალიერების მო-

სასპობლად; ისინი ართმევენ, ყიდულობენ თავისუფლებას ღარიბთა და ადვილად შესასყიდ ბირთაგან და ეს ღარიბი, შესყიდული სალხი, რომელმაც თავისუფლებისა სახელის მეტი არა იცის-რა და რომელიც მხოლოდ მონობაშია აღზრდილი, გარშემოხვევია მდიდარს ბირს და მზა არის დაემორჩილოს ყოველს მის ბძანებას.

„არის კიდევ ერთი ნაწილი სალხისა, რომელიც მდიდართა არ უგდებს ყურსა ლ იმათა და ღარიბთ შუა არის მოქცეული. ამ ნაწილს, თუმცა იმოდენა სიმდიდრე აქვს რომ უმდიდრესთა ხელში არ ჩავარდეს, მაგრამ ღარიბთა შესასყიდად საყოფიც არა აქვს. აი ამ საშუალო სალხში მოიძებნება ყოველივე ხელოვნება, სიბრძნე და კეთილი საქმენი. ეს არის ნამდვილი მფარველი თავისუფლებისა ლ მხოლოდ ამას ეკუთვნის „სალხის“ სახელი. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ამ საშუალო ნაწილმა საზოგადოებისამ დაჭკვარგოს თავისი ძლიერება და მისი ხმა ჩააჩუმოს ხმამ მდაბალის სალხისამ. მართალია ლ ხმის უფლება რომ უფრო ღარიბებს მიენიჭოთ, ვიდრე ასლაა დაწესებული, მაშინ უფრო მეტი სალხი მიიღებს მონაწილეობას საზოგადო საქმეებში და უფრო მეტი მომხრე და უკან მიმდევი ეყოლებათ უმდიდრესთა ბირთა. აი ამიტომ საშუალო საზოგადოება უნდა ეცადოს ლ ყური უგდოს, რომ ძლიერება ერთის მბძანებლისა დატეულ იქმნას, რადგან ეს მბძანებელი ამტირებს მდიდართა გაგლენას და უშლის, არ შეესონ იგინი მათზედ უფრო დაბლა მდგართა უფლებას. საშუალო საზოგადოებ შეიძლება შეკვადროთ ქალაქს, რომლის აღებასა სწადიანთ მდიდართ და რომლის მოსაშველადაც მოდის მთავარი. ვიდრე ქალაქზედ დატემულ კარს ეშინიან მტრისა, მოქალაქეებს ჭირდებიან სხვა-და-სხვა სიკეთეს, მაგრამ თუ შე-

იძლეს საშველად მოსულის მთავრის დამარცხება, ზღუდენი ქალაქისანი ვეღარ შეაუენებენ მას. მაგალითისათვის შევხედოთ ჭოლანდიას, გენუას, ვენეციას, სადაც ღარიბი კანონს ემორჩილება და კანონი ემორჩილება მდიდარს. მე მომსრე ვარ ხელმწიფოებისა და მის მომსრედვე მოგებდები; გვირგვინოსანი მეფე თაყვან-სცემი უნდა იყოს მის ქვეშევრდომთათვის ვინც შეეხება მის უფლებას ან ომის, ან მშვიდობიანობის დროს, შეეხება მის ქვეშევრდომთა ნამდვილ უფლებასაც. ბევრი ცუდი მოახდინა უბრალო ლაპარაკმა თავისუფლებაზედ, მამულის სიყვარულზედ, ბრიტანიელთ უფლებაზედ; ღმერთმა ქნას რომ ნამდვილმა თავისუფლებამ მოსპოს მათი მოქმედება. მე ვიცნობდი ბევრს ცრუ-მომსრეს თავისუფლებისას, რომელიც გულით სრულებით სხვა იყო ვ თავის ცოლ-შვილსაც მტარვალსავით ეკიდებოდა.“

მე დავატყე რომ ჩემის სიცხარის გამო ეს დარიგება მეტად გაგრძელდა და ჩემი მობაასე ბევრ-ჯერ ეცადა სიტყვა გაეწყვეტინებინა. ბოლოს ვეღარ შეიმაგრა თავი და დაიყვირა:

— რაგორც ეტყობა მე აქამდის იეზუიტს ველაპარაკებოდი, რომელსაც მღვდლის ტანისამოსი ჩაუცვავს, ვეიცავ ჩემს კორნეოლის ქვა-ნასშირის მადნებს, ესლავ აქედგან გაეთრიე, თორემ მე ტყუილად კი არა მქვიან უილკინსონი.

ესლა ვი ცხადი იყო ზომას გადავაცილე და გაცხარებისთვის ბოდიში მოვითხოვე.

— ერთხელ იხდით ბოდიშს! მითხრა იმან საშინლად ბულმოსულმა. ათას-ჯერ უნდა მოიხადოთ ბოდიში მაგისთანა აზრებისათვის. რას ამბობთ მაგას! დავანებოთ თავი თავისუფლებას, საკუთრებას, და მეგაზეთეებისა არ იყოს, წიხლ-ქვეშ

გავეძალვინოთ! გთხოვთ ეხლავე გაბძანდეთ ამ სახლიდამ, თუ არ გინდათ უარესი საქმე დაგემართოთ. გეუბნებით, მიბძანდით მეთქი.

მე მინდოდა საქმე რიგიანად ამესსნა, მაგრამ ამ დროს ლაქიამ გარედამ კარები დააკაკუნა ლ ორიგე ქალებმა წამოიძახეს:

— ეს სწორედ ბატონი და ქალ-ბატონი უნდა იყვნენ.

თურმე ჩემი მობაასე მემარნედ ყოფილიყო იმ სახლში და მოენდომნა, ვიდრე ბატონი შინ არა ყოფილა, ბატონობა ეთამაშნა. მემარნე იყო, მაგრამ ჩინებულად ლაპარაკობდა პოლიტიკაზედ; ნამდვილ მებატონეებსაც კი არ ჩამოურჩებოდა. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, სახლის-პატრონი თავის ცოლით რომ შემოვიდა. არც თითონ ისინი იყვნენ ნაკლებ განცვიფრებულნი, ჩვენ რომ დაგვინახეს და ჩვენს წინ კაი სუფრა-გაშლილი.

— ბატონებო! გვითხრა ნამდვილმა სახლის-პატრონმა მე და ჩემს ამხანაგს. მე და ჩემი ცოლი დიდად დავალებული ვართ თქვენგან რომ გინებებიათ ჩვენს სახლში მობძანება და ეს ბედნიერება ისეთი მოულოდნელია, რომ არ ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

რაც უნდა მოულოდნელი ყოფილიყო ჩვენი იქ დახვედრა სახლის-პატრონისათვის, მე დარწმუნებული ვარ იმათი ნახვა ჩვენთვის კიდევ უფრო მოულოდნელი, იყო და თითქმის ენა ჩამივარდა, როცა წარმოვიდგინე ჩემი სასაცილო მდგომარეობა. უეცრად, სახლის-პატრონების შემდეგ, შემოვიდა ოთახში ჩემი ძვირ-იასი არაბელა, უილმოტის ქალი, სტოლო ჩემის გეორგისა, რომლის ქორწილიც ზემოდ ნათქვამის შიზეზის გამო მოიშალა. დამინახა თუ არა, მაშინვე მოშვარდა გახარებული და გადამეხვია.

— ჩემო ძვირ-ფასო მოძღვარო! წარმოსთქვა იმან. რას უნდა დავაბრალო, რომ ასე მოულოდნელად გელირსე თქვენს ნახვას? ბიძა და ძალუა-ჩემი დიდად ისიამოვნებენ, როცა შეიტყობენ რომ სტუმრად დოქტორი ბრიმროზი ჰყავთ.

ჩემი სახელი რომ შეიტყეს მოხუცებული სახლის-პატრონი და მისი ცოლი მოგიასლოვდენ და დიდის პატივისცემით მოგიკითხეს. ბევრიც იცინეს, როცა ვუამბე როგორ მოვსდი იმათ სახლში, მაგრამ საცოდავს მემარნეს გაგდებას უპირებდენ, მე რომ არ შევწეოდი.

არნოლდმა, ამ სახლის პატრონმა და მისმა ცოლმა დიდის თხოვნითა მთხოვეს, რამდენიმე დღე ჩვენს სასლში ინებეთ დარჩენა, და როცა მათ თხოვნას იმათმა ძმის-წულმა, ჩემმა სულიერმა მოწაფემ არაბელამაც თავის თხოვნა ზედ დაურთო, უარზედ აღარ დავდეგ.

იმ ღამეს ჩინებული ოთახი მოგვცეს დასაძინებლად, და მეორე დღეს დილა-ადრიან არაბელამ დამატარა ბაღი, რომელიც სასლს წესზედ იყო გაკეთებული. ჯერ მაჩვენა რაც რამ თვალ-საჩინო სანახავი იყო და შემდეგ მკითხა, ვითომ და უგულოდ, თქვენის შვილის გეორგის ამბავი სომ არა მიგიღიათ-რა ამ უკანასკნელს დროსა.

— ეს სამი წელიწადია, მივუგე მე ამოსუნთქვით, რაც წავიდა და ჯერ ერთი წერილი არ მოუწერია არც ჩემთვის და არც თავის მეგობრებისათვის. არც კი ვიცი სად არის. ვინ იცის, იქნება საუკუნოდ გამოვესალმე იმას და ჩემს ბედნიერებასაც. ჩემო ძვირ-ფასო არაბელა, ჩვენ ვეღარ მოვესწრებით იმ სასიამოვნო დროს, კეკტილდში რომ ბუსართან ვატარებდით. ჩემი პატარა სასლობა მალე დაიშალა და სიღარიბემ, ნაკლებულებამ გარდა, უნამუსობაც მოგვაყენა!

ამ სიტყვებზედ კეთილმა არაბელამ ცრემლები ჩამოჰყარა და მეც რომ დავატყე ეს გულ-ჩვილობა, აღარ ვუამბე დაწვრილებით, რაც ტანჯვა გამოვიარეთ. ესეც დიდი ნუგეში იყო ჩემთვის, რომ დრეს არ ამოერეცხა სიყვარული ამის გულიდამ და ბევრ საქმროსთვის ეთქვა უარი მას შემდეგ, რაც ჩვენ იმ მსარეს თავი დავანებეთ. ბალში სეირნობის დროს მაჩვენა რაც კი რამ შესანიშნავი იყო, დამატარა სხვა-და-სხვა სეივნები, დამათვალიერებინა ყვავები, ბუჩქები და ყოველს შემთხვევაში სტდილობდა, სიტყვა ჩამოეგდო და ეკითხა რამე ჩემს შვილს გეორგზედ.

მთელი დიღა ასე გავატარეთ. შუა-დღის დროს სადილის ზარის ხმა მოგვესმა. შინ რომ დავბრუნდით, იქ მოგზაურ აქტიორების უფროსი დაგვიხვდა, რომელსაც ბიღეთები მოეტანა ასალის კომედიისათვის: „მომნანიებელი ლამაზი ქალი“, რომელიც იმ საღამოს უნდა ეთამაშნათ, ამ კომედიაში ჭორაციოს როლი ერთს უმაწვილ-კაცს უნდა ეასრულებინა და ჯერ სცენაზედ არასად გამოსულიყო. ძალიან ცხარედ აქებდა იმ ასალ აქტიორს, მაგისთანა იმედი არავისგან არა მქონია.

— სცენაზედ თამაშობა ერთსა და ორს დღეს არ შეითვისებს, დაუმატა იმან, მაგრამ ეგ თითქო სტენისოვის არის დაბადებული. საკვირველი ხმა, სახე და მისვრა-მოსვრა აქვს; საღლაც შეგხვდით შემთხვევით მოგზაურობის დროს.

ეს რომ გავიგონეთ, მოგვინდა ნახვა იმ წარმოდგენისა და ქალებმა იმდენი მთხოვეს, წაყოლილვიყავ, რომ მეც დავთანხმდი და წავედით თეატრში; წარმოდგენა ერთს საბმელში იყო გაჭართული. ჩვენს სახლის-ბატონებს იმ მხარეს ბირველი ალაგი ეჭირათ, და რასაკვირველია, დიდის მოწიწებით მიგვიღეს, ბირველს ალაგს დაგვსხენ. მოუთმენლივ მოველოდით

ჭორაციოს გამოსვლას სცენაზედ და როცა გამოვიდა, ვნახე რომ ეს ჩემი უბედური შვილი, გეორგ იყო. წარმოიდგინონ ყველა მშობლებმა, როგორ უნდა ავეღელვებინე ამ უეცარს შეხვედრას. ის იყო დაავირა ლაპარაკი, მოავლო თვალი მაყურებლებს და მე და არაბელა რომ დავგვინახა, ენა ჩაუვარდა და უძრავად გაჩერდა. სხვა აქტიორები სცენის იქიდამ აქეზებდენ, სმა ამოიღეო, ეგონათ შეკრთა და იმიტომ ასე დაემართაო, მაგრამ ლაპარაკის მაგივრად, მდუღარება ცრემლი გადმოყარა და გავიდა სცენიდამ.

მე ვერ შემიძლიან გიამბოთ, რასა ვგრძნობდი მაშინ, რადგან ერთს გრძნობას მეორე, ელვის უმალესად მოსდევდა; ამ უსიამოვნო სიზმრიდამ მალე გამომარკვია არაბელას მკრთოლვარე სმამ, რომელსაც აგრეთვე ფერი წასვლოდა ლ მთხოვდა, საჩქაროდ წამიყვანე შინაო.

შინ რომ მივედით არნოლდი ჯერ კიდევ განცვიფრებული იყო ჩვენს უმართებულო ქცევაზედ და როცა შევატყობინეთ, რომ ახალი აქტიორი იყო ჩემი შვილი, მაშინვე კარტა გაგზავნა მოსაყვანად. აქტიორებს ბევრი ეთხოვნათ გეორგისათვის სცენაზედ გამოსულიყო, მაგრამ ის თურმე დიდს უარზედ დადგა, ლ სხვა აქტიორი უნდა მოენახათ იმის მაგივრად. თითონ კი მაშინვე ჩემთან წამოსულიყო.

არნოლდმა ძალიან მხიარულად მიიღო იგი და მეც ჩვეულებისა-მებრ აღტაცებაში მოვედი. მაინც მე ჩვეულებად არა მაქვს განგებ სახის მოჭმუხვნა. არაბელა თითქო უგულოდ დაუხვდა, თუმცა შევატყე, რომ ეს უგულობა მხოლოდ ქვეყნის საჩვენებლად იყო ხმარებული. ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო იმისი აღელვება: სიხარულისაგან ვინ იცის რამდენი უთავბოლო სიტყვა არა სთქვა და მერე თითონვე იცინოდა, ამას

რას ვამბობო. ხანდისხან ჩუმად სარკისკენ იყურებოდა, თითქო უნდოდა დარწმუნებულიყო რომ მის მშვენიერებას ვერაფერი ვერა დაუმაგრდებოდა-რა; ხშირად კითხულობდა ხან რას, ხან რასა და ბასუხს კი ყურს არ უგდებდა.

თავი XX

ამბავი ერთის მოწანწალე ფილოსოფოსისა, რომელიც ახალს ბედს დაეძებს, მაგრამ ამ ძებნაში ჰკარგავს კმაყოფილებას.

ვასშმის შემდეგ არნოლდის ცოლმა ორის მსახურის გაგზავნა დააბირა, გეორგის ბარგს მოვატაინებო. ჩემმა შვილმა ჯერ უარი სთქვა, ნუ შესწუხდებითო, მაგრამ რომ ალარ მოეშვნენ, გაგვიტუდა და გვითხრა, მთელი ჩემი ქონება ეს ჯოხი და ეს სამგზავრო ბგა არისო.

— მე ვხედავ, შვილო, ვუთხარი მე, რომ როგორც ღარიბად წასველ, ისე ღარიბადვე დაბრუნებულხარ; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ბევრს ქვეყნებს მაინცა ნახავდი.

— ქვეყნები ბევრი ვნახე, მომიგო იმან, მაგრამ დავრწმუნდი კი, რომ ვინც ბედს დაეძებს, ის უფრო ძნელად შეეყრება; და ამიტომაც დავანებე თავი ამ ბოლოს დროს იმის ძებნას.

— მე მგონია, წარმოსთქვა არნოლდის ცოლმა, რომ თქვენი თავ-გარდასავალი სასიამოვნო გასაგონი იქნება; ტოტოდენი რამ ჩემის მაზლის-წულისაგანაც გამიგონია, მაგრამ ეველას დიდად დაგვაგვალებთ, თაკიდამ-ბოლომდე რომ გვიამბოთ.

— გარწმუნებთ, ბატონო, მიუგო ჩემმა შვილმა, რომ თქვენ

ჩემის ამბის მოსმენით ისე არ ისიამოვნებთ, როგორც მე მოსსენებით; მაგრამ ჩემს თავ-გარდასავალში ერთს შესანიშნავს შემთხვევასაც ვერ გაიგონებთ; მე უფრო ნასწავლი უნდა გიამბოთ, ვიდრე ჩემი ნამოქმედარი.

„როგორც მოგეხსენებათ, პირველადვე დიდი უბედურება მეწვია და თუმცა ძლიერ შემაწუხა, მაგრამ მიწასთან კი არ გაუსწორებიავარ; ჩემისთანა მოიმედე გული ძვირად თუ ვისმე ექნება. პირველში არა მქონდა იღბალი, მაგრამ იმედი მასუგეშებდა, რომ მასუკან კი იღბალს შევეურები–მეთქი. მე ბედის ჩარხის-ქვეშ ვიყავ მოქცეული, ჯ თუ გადატრიალდებოდა, დაბლა ხომ ვეღარ დამწევდა, უთოოდ მაღლა უნდა ავეყვანე.

„ჩემის უბედურების შემდეგ ერთს მშვენიერს დილას გავემგზავრე ლონდონისკენ. სრულებით არა ვფიქრობდი მომავალზედ ჯ ვიყავ მხიარული იმ ფრინველებსავით, რომელნიც გზის პირზედ დამჯიკჯიკებენ. ვიმედებდი ჩემს თავს, ლონდონი ისეთი ალაგია, სადაც ყოველივე ნიჭიერი თავის შესაფერს ღირსებასა და პატივის–ცემას მიიღებს–მეთქი.

„რამწამს შევედ ქალაქში, მოვნახე ჩემი ბიძა-შვილი, რომელიც ჩემზედ უკეთესს მდგომარეობაში არ იყო და მიკვეტ თქვენგან გატანებული წერილი. სომ გახსოვთ, რომ პირველად აზრად მქონდა პანსიონში შესულვიყავ ზედამხედველად და აი ამის თაობაზედ ვკითხე რჩევა ჩემს ბიძა-შვილს. იმან დაცინვით შემომხედა და მითხრა, სწორედ კი გზა ამოგირჩევიაო. მეც ვიყავ მასწავლებლის თანაშემწედ ერთს პანსიონშიო, და ღმერთი გამიწყრეს, თუ ამ ხელობას, ჯალათის ხელობა არ მერჩიოსო: დილიდამ შუალამემდე სულ ფეხზე ვიდგეო, პანსიონის პატრონი მე მაგინებდაო, იმის ცოლი მე მაგინებდაო, უშნო სახისა რადა ხარო, ბავშვები მე მაწვალებ-

ლენო, და ნება არა მქონდა ერთს წუთს სხვაგან წასულვიყავ და ტებილი სიტყვა მაინც სადმე გამეგონაო. აბა ვნახოთო, დაუმატა იმან, გამოდგები თუ არა სკოლისთვისაო. იცოდე ჩემგანაო თუ განგებ მაგ საქმისთვის მომზადებული არა ხარ, თუ ბავშვების თმის გაკრეჭა არ იცი, თუ უვავილ-ნასადი არ ხარ, თუ ორთან ერთს ლოგინში ძილი არ შეგიძლიან, ან თუ მადა კარგი გაქვს, სკოლაში ვერ გამოდგებიო. არა ძმაო, თუ ადვილი საქმის შოვნა გინდა, ისევ დანების მლესავს შვიდის წლით მიებარე, ჩარხის ტრიალი ისწავლე და სკოლას, როგორც კი შეიძლო, ერიდეო. იცი რა გითხრაო: შენ, როგორც გატყობ, ჭკვიანი უმაწვილი ხარ და ცოტა ნასწავლიცაო. მგონი, ურიგო არ იყოს, რომ ჩემსავით მწერლობას ხელი მიჰყოო. შენ წაგეკითხება, რომ უწინ დიდად ნიჭიერნი პირნი შიმშილით იხოცებოდენ, რადგან მწერლობა პურს არ აჭმევდაო. ახლა მე ორმოცზედ მეტს უტვინოს გიჩვენებ, რომელნიც მწერლობის წყალობით განცხრომითა სცხოვრებენო. ეს პირნი სვინიდისიანად იქცევიან. ნელ-ნელა მიფოფხვენ, სწერენ ისტორიაზედ, პოლიტიკაზედ და ქების ღირსნიც ხდებიანო. ისინი რომ ხარაზთან მიებარებინათ, ახალის წაღების შეკერვასაც ვერ ისწავლიდენ, მთელს სიცოცხლეს მეჯღანად გაატარებდენო.

„რა კი სასწავლებელში განწესება ასეთი ღირსების დამამცირებელი იყო, ისევ ჩემის ბიძა-შვილის რჩევას მივყევ: მედიდი პატივის-მცემელი ვიყავ ლიტერატურისა და მოწიწებით შევდგი ფეხი იმ ქუჩაში, რომელზედაც ლიტერატორები სცხოვრობდენ. მე მწადდა დრაიდენისა და ოტვეის კვალს გავყოლოდი, და მწერლობა კაცის ბუნების გამამშვენიერებელი მეგონა. თუმცა ბევრი მწერალია სიღარიბეში, მაგრამ სიღარიბეც

ჩემის აზრით, სწორთნის და ამზადებს კაცს დიდებისათვის. ამ მოთვიქრების შემდეგ, მე განვიზრახე ერთის დიდის წიგნის დაწერა, რომელშიაც მხოლოდ ახალი აზრები ეოთვილიეო. მე განვიზრახე კეთილ საქმეთა ცუდის მსარეს გარჩევა ჯ რამდენიმე ახალი პარადოქსი (ასირებული აზრი)! წარმოვსთქვი მოსწრებულის სიტუვებით. ჭეშმარიტება ისე ხშირად იყო სხვებისაგან წარმოთქმული, რომ მე სხვა ალარა დამრჩენოდა-რა, უნდა ასირებული აზრები წარმომეთქვა, რომელნიც შორიდამ აგრეთვე ჭეშმარიტებად სჩვენებოდათ. ღმერთო, როცა დავიწყე წერა, რა ძვირ-თასი აზრები იყო ჩემის კალმის წვერზედ მომდგარი! ეჭვი არ იყო, ყველა სწავლულები ჩემს სისტემას წინალუდგებოდენ; მაგრამ მაშინ მე მზა ვიყავ მთელის ქვეყნის სწავლულებისთვის პასუხი გამეცა. მაშინ ძლარბსავით ვიჯექ და ყოველს მოპირდაპირესკენ ჩემი კალამი მქონდა მიქცეული.

— ეგ კარგად სთქვი, შვილო, წარმოვსთქვი მე. რაზედ იყო შენი წიგნი დაწერილი? იმედი მაქვს უეურადღებოდ არ დასტოვებდი ერთ-ცოლობის დიდს მნიშვნელობას. ჭო, სიტუვა შეგაწუვეტინე; შენ ხომ გამოაცხადე შენი საკვირველი აზრები, რა სთქვეს სწავლულებმა?

— სწავლულებმა არაფერი არა სთქვეს-რა, სრულებით არაფერი. ყოველი მათგანი აქებდა ან თავის მეგობრებს, ან თავის-თავს და მტერს კი ლანძღავდა. რადგან საუბედურო მე არც მტერი მყავდა, არც მოყვარე, გამოვცადე ყოველს სატანჯველზედ საშინელი სატანჯველი, ეეურადღებოდ დაგდება.

— ერთს დღეს ყავახანაში რომ ვიჯექ და ვფიქრობდი ჩემის წიგნის ხვედრზედ, შემოვიდა ერთი დაბალის ტანის კაცი, დაჯდა ჩემს პირ-და-პირ და ლაპარაკი დამიწყო. პატარა-ხანს უკან,

რა ნახა რომ ბევრი წიგნები მეკითხა, ამოიღო ჯიბიდან სია ხელის-მომწერთა და მითხრა, პროპერტიუსის თხზულებების ასლად დაბეჭდვას ვაპირებ შენიშვნებით ლ თქვენც ხელი მოაწერეთო. მე, რასაკვირველია, გუპასუხე რომ ფული არა მაქვს-მეთქი. მაშ რის იმედითა სცხოვრობთ ლონდონშიო. მე გავუტუდი რომ იმედსაც ისე მოკლებული ვიყავ, როგორც ჩემი ჯიბე ფულსა. მე ვატყობო, მითხრა იმან, რომ თქვენ ამ ქალაქს სრულებით არ იცნობთ და მე გაგაცნობთო. ხომ ხედავთ ამ სიას? თორმეტი წელიწადი მე ეს სია ჩინებულად მაცხოვრებსო. დიდი-კაცი დაბრუნდება ვინმე მოგზაურობიდან, კრეოლი მოვა ვინმე იამაიკიდან, ქვრივი ჩამოვა ვინმე სოფლიდან ლონდონში საცხოვრებლად, მაშინვე თავს დაუგრავ ხოლმეო. ჯერ პირ-მოთნეობით მათ გულს მოვიგებ და მასუკან ამ სიასაც ხელში მივცემო. თუ ხელს სიამოვნებით მოაწერენ, ვთხოვ, მომცენ ნება ეს თხზულება მათ უძღვნაო. თუ ამასაც არ დაიშურებენ, ხელ-ახლავ ვთხოვ ფულს, პირველს გვერდზედ მათის გერბის დასახატავადაო. ასე ვცხოვრობ სხვის პატივ-მოყვარეობის წყალობით და მათვე მასსარად ვიგდებო. მაგრამ, ჩვენში კი დარჩეს და, მე ახლა უველგან კარგად მიცნობენ და კარგი იქნება პატარა-სანს თქვენ შემეწიოთო. ახლა ერთი დიდი-კაცი დაბრუნდა იტალიიდანაო. იმის მეკარე ჩემს სახეს იცნობს და თქვენ კი რომ მიუტანოთ ეს ლექსები, დამერწმუნეთ უფულოდ არ გამოგისტუმრებთ, და ნაშოვნ-ნაპოვნი შეა გავიყოთო.

— რას ამბობ, გეორგ, დაყიყვირა მე. ნუ თუ პოეტები ახლა მაგისთანა ხელობას მისდევენ?! ნუ თუ მათის ნიჭის მქონენი გლახაკობითა სცხოვრობენ! ნუ თუ აგრე ამტირებენ

თავიანთ წოდებას და პირიმოთნეობენ, ქლესაობენ ლუკმა-პურის მოსაპოვებლადა!?

— არა, ბატონო, მიპასუხა ჩემმა შვილმა. ნამდვილი პოეტი ეგრეთი სულ-მდაბალი თავის დღეში არ იქნება; არა ნიჭიერს კაცს სიამაყე არ აკლია ან რომელნიც მე აგიწერეთ, ესენი მოშაირე ვლასაკები არიან. ნამდვილი პოეტი სახელისათვის ოდესღაც გაჭირებას აიტანს, გარდა თავის დამტირებისა და მხოლოდ იმისთანანი ცდილობენ მეაჩვენი იშოვნონ, რომელნიც არ არიან ღირსნი მეაჩვენლობისა.

„იმდენი სიამაყე მქონდა, რომ ამისთანა სამარცხვინო საქმისათვის არ მომეკიდა ხელი, მაგრამ შეძლებაც იმდენი არა მქონდა, მარტო სახელისათვის მეშრომა. ამის გამო შეათანა გზა ამოვირჩიე და დავიწყე წერა ლუკმის საშოვნელად. ამ საქმეშიაც ვერ გამოვდეგ, რადგან აქაც სერხი იყო საჭირო ან მე ხერხს მოკლებული ვიყავ. ვერ მოვიკალ გულში ჩამარხული ქების სურვილი და წერის დროს ვცდილობდი, კარგი რამ დამეწერა და ბევრი იქნებოდა, თუ ცოტა, არ დავდევდი. ის არ ემჯობინებოდა სხვებსავით მეწერა, რაც მომხვდებოდა, ოღონდ კი ბევრი ყოფილიყო. ჩემი პატარა სტატიები რჩებოდენ უყურადღებოდ, შეუნიშნავნი, ს

რომელნიც ერთმანერთს აქებენ, მაგრამ ეცოდებათ და ეზიზღებათ კიდეც ერთმანერთი. რაც უფრო ნაკლებად ღირსი იყო ქებისა რომელიმე გამოჩენილი მწერალი, ჩვენ ის გვიხარდა. სხვის ნიჭი აღარავისი მომწონდა; ჩემმა ბედ-შავმა ბარადოქსებმა სრულებით მომისპეს წიგნების კითხვით სიამოვნება. კმაყოფილებით ველარცა-რასა ვკითხულობდი, ველარცა-რასა ვწერდი: სხვის სიკეთე მე მტანჯავდა, რადგან ხელობად მეც წერა მქონდა არჩეული.

„ამ შავ-ფიქრებით მოცული ვიჯექ ერთს დღეს ჭაიდპარკში (ლონდონში სასეირნო ალაგია) საკმეიკაზედ. ამ დროს მომიახლოვდა ერთი რიგიანად ჩაცმული უმაწვილი-კაცი, რომელსაც კარგად ვიცნობდი უნივერსიტეტში. ჯერ მორიდებით დავუკარით ერთმანერთს თავი; იმას თითქო რცხვენოდა გაბოროტებულებოდა ისე ტუდად ჩაცმულს და მეც ამისთანა კაცებთან საქმეს შორს ვიჭერდი. ეს ეჭვი ტყუილი გამოდგა. თურმე ის კაცი, სასულად ნედ ტორნჭილი, ძალიან კეთილის გულისა იყო.

— ეგ რა სთქვი, გეორგ? გაკაწუვეტინე მე სიტყვა. მართლა ტორნჭილი ერქვა? ის სწორედ ჩვენი მებატონე იქნებოდა.

— რაგორ, განა ტორნჭილი თქვენი ნაცნობია? მკითხა არნოლდის ცოლმა. ის ჩვენის ოჯახისა დიდი მეგობარია და ამ ცოტას ხანში აქ მოგველით.

ჩემმა შვილმა განაგრძო თავისი ამბავი:

— ახლად გაცნობილმა ამხანაგმა პირველად ერთი ხელი თავისი ტანისამოსი ჩამაცვა და თავის სუფრასაზედ ადგილი მომცა; არც თუ მეგობარი გავსდი იმისი, არც თუ ხელიქვეითი, ჩემი კალი იყო მხოლოდ, წაყოლილვიყავ, რაცა საკაჭრად წა-

ვიდოდა, გამერთო, როცა მსატვარი იმის სურათსა სატავდა, მჯდარვიუავ იმის მარცხნივ კარეტაში, როცა სხვა არავინ ეყოლებოდა და იმის სხვა-და-სხვა შექცევაში მონაწილეობა მიმეღო, როცა კი შექცევის ქეიფზედ იქნებოდა. სხვა საქმეც კიდევ ბევრი მქონდა, რომელიც უთქმელად უნდა შემესრულებინა: უნდა ბოთლებიდამ ბრობკები ამომეღო ხოლმე, მოსამსასურების შვილები მომენათლა, მემღერა, როცა მეტყოდენ, ყოველთვის კი ქეიფზედა ყოფილვიუავი, თავ-მდაბლობა გამეწია, და თუ შემეძლებოდა, ბედნიერადაც მეჩვენებინა თავი.

„ამ პატიოსან ადგილის შემცილებელიც გამოიჩნდა. ეს იყო ერთი ზღვის სამსახურის კაპიტანი და ჩემის მფარველის გული ადვილად მოიგო, რადგან სწორედ ჩემის ადგილისათვის იყო გაჩენილი. იმისი დედა ვიღაც დიდ-კაცთან მოსარეცხედ ყოფილიყო და თითონ იმას ბავშვობიდამვე კარგად ესწავლა მაჭანკლობა და გვაროვნობის შტოები. უმაწვილობიდამვე ეს კაპიტანი სცდილობდა თურმე ლორდები გაეცნო, და თუმცა ბევრს ჭკუა-ნაკლებობისათვის დაეთხოვნა, მაგრამ იმისთანანიც ეპოვნა, რომელნიც იმასავით ჭკუა-ნაკლებნი ყოფილიყვნენ და სიამოვნებით მიეღოთ. იმისი ფარ-ხმალი პირ-მოთნეობა იყო და ამ ფარხმალს საკვირველის სიმარჯვითა ხმარობდა. მე კი ხერხი სრულებით ვერა გამოვიჩინე-რა. დღითი-დღე ჩემს მფარველს ემატებოდა ქების გაგონების სურვილი, და რა კი საკმაოდ გავიცანი იმისი ნაკლულევანება, მე ქება ვეღარ შევიძელ. ის იყო, ვაპირებდი, დამეთმო ჩემი ასპარეზი კაპიტნისთვის, მაგრამ უეცრად ჩემს მფარველს ჩემი შველა დასჭირდა: უნდა დუელში გასულვიუავი ერთ კაცთან, რომლის და ვითომ ჩემმა მფარველმა შეურაცხ-ყო; მეც ვიკისრე ეს ვალდებულება. ვხედავ რომ არაფრად მოგწონთ ჩემი ქცევა, მაგრამ მე

მისგან მეგობრულად დავალებული ვიყავ და ეს ვალი უნდა გადამესადა. გავედი დუელში, ჩემს მოპირდაპირეს ორრული სელიდამ დავაყრევინე და სიამოვნებით შევიტყე, რომ ის ქალი, რომელსაც დას უძახოდა, გარეგნილი ქალი ყოფილიყო, იმ არამზადას საყვარელი. ეს ერთგულება მეტად ტკბილის სიტყვებით გადამისადა ჩემმა მფარველმა, ⁂ რადგან მალე ქალაქიდამ უნდა წასულიყო, სხვა ღონე ვერა ისმარა-რა მადღობის გარდახდისა, გარდა იმისა, რომ მოგცა რეკომენდაციის წერილი: ერთი თავის ბიძა, უილიამ ტორნჰილთან და მეორე სხვა დიდ-კაცთან, რომელსაც შესანიშნავი ადგილი ეჭირა სახელმწიფოში.

„ქალაქიდამ რომ გავიდა, მე მაშინვე იმის ბიძასთან წავედ და რეკომენდაციის წერილი მივართვი. ამ კაცის კეთილი გული და საქმე ყოველგან ღირსეულად გათქმული იყო. მსასურებმა ღიმილით მიმიღეს: მანიც ასეა: ბატონების გული მსახურების ხასეზედ არის აღბეჭდილი. ერთს ზალაში შემიყვანეს, და თითონ უილიამიც მალე გამობძანდა; მე დაბარებული მოვასსენე და წერილი მივართვი. წაიკითხა, პატარა-სანს შეჩერდა და მკითხა: რა შემწეობა გაუწიეთ, ბატონო, ჩემს ნათესავს, რომ ასე კარგად მაცნობებს თქვენს თავსა. მაგრამ მგონი მივსვდი, ალბად იმის მაგიერად დუელში გახვედითო. თქვენა გგონიათ, რომ მე დაგაჯილდოებთ, რა კი იმის ავს საქმეს სელი გაუმართეთო. გულითა მსურსო, რომ ჩემმა უფრის-თქმამ დაგსაჯოს თქვენ და ცოტა მაინც შეგანანებინოთ თქვენი დანაშაული.

„ეს ცხარე საუბედური მოთმინებით ავიტანე, რადგან ღირსიც ვიყავ. ესლა ჩემი ბედი იმ წერილზედ იყო დამოკიდებული, რომელიც დიდ-კაცთან მიმიწერა ჩემმა მფარველ-

მა. დიდ-კაცთა კარებზედ ყოველთვის ბევრი სალსია მოგრო-
ვილი: ზოგი რასა თხოულობს, ზოგი რასა, და ამიტომ
ძალიან გამიკვირდა შინ შესვლა. მეტი გზა არ იყო, დავური-
ჯე მსახურებს სასეკარი ჩემის ქონებისა და ამ ქრთამის წყა-
ლობით შემიყვანეს ერთს დიდს ზალაში, წერილი კი თვითონ
მის ბრწყინვალებას მიართვეს. გულის ძგერით ვუცდიდი მის
გამოსვლას და თან იქაურობასა ვშინჯავდი. ყოველის-მკერი
დიდებული და ჩინებული იყო; მსტვრობამ, ავეჯეულობამ, ყო-
ველგან ოქრის ვარაყმა განცვიფრებაში მომიყვანა, და დიდი
ეზრი შემადგენინა მეფლობელზედ. რა დიდებული კაცი უნდა
იყოს იგი, ვფიქრობდი მე, რომლის გონებაც ზრუნავს მთელს
სასულმწიფოზედ ! რომლის სახლში ამ ქვეყნის ნასეკარი სიმ-
დიდრეა მოგროვილი. სწორედ იმისი ნიჭი განუსაზღვრელი
უნდა იყოს-მეთქი.

„ამ ფიქრებში რომ ვიყავ, ვიღასიც ფეხის-ხმა შემომესმა.
ეს თითონ უნდა ბძანდებოდეს-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი,
გოგოს ფეხის-ხმა ყოფილიყო. კიდევ მომესმა ფეხის-ხმა. ეს
კი სწორედ ის მეგონა, მაგრამ ძის მაგიერად მსახური შემო-
ვიდა. ბოლოს შემობძანდა თვითონ მისი ბრწყინვალება. შენა
სარ ამ წერილის მომტანიო, მიბძანა იმან; მე თავი დავუკარ.
მე მატყობინებენ რომ.... ამ დროს მსახურმა რაღაც ბარათი
მიაწოდა და ისიც ისე გავიდა ზალიდამ რომ სიტყვა აღარც
კი დაასრულა. დავრჩი ზალაში და ვფიქრობდი, ეს რა ბედ-
ნიერებას შეგეყარე-მეთქი. ბევრი კიცადე, მაგრამ ალარ დაბ-
რუნდა. ბოლოს ერთმა მსახურმა მითხრა, კარეტაში ჯდებაა და
სხვაგან აპირებს წაბძანებასაო. მაშინათვე ქვეით ჩავიჭერ და
სამის, თუ ოთხის ჩემსავით მოსულ მთხოვნელების სკეწნას
ჩემი სკეწნაც ზედ დაგურთე, პასუხი მიბძანეთ რამე-მეთქი. მი-

სი ბრწყინვალება მიეშურებოდა ჯ მალე მიაღწია კარტაგენამდის; მუც უკან მივდევდი და ბასუსსა ვთხოვდი. ის ჩაბძანდა კარტაგენაში და ბასუსის მაგივრად რაღაც წაიტუტუნა. ნასევარს კი ეური მოვკარ, მაგრამ ნასევარი კარტის თვლების ხმაურობამ არ გამაგებინა. რამდენსამე ხანს კიდევ გაჩერებული და კისერი წინა მქონდა წაშვერილი, ეგება კიდევ გავიგონო მისი დიდებული ხმა-მეთქი. ბატარა ხანს უკან მივისედ-მოვისედე ჯ ვნახე რომ მარტო კიდევ მის ბრწყინვალების სასახლის კარებზედ.

„ამდენმა თავის დაძცირებამ სრულებით მოთმინებიდამ გამომიყვანა და ეხლა მხოლოდ იმაზედ ვფიქრობდი, გადაკარგულვიყავ სადმე, მხოლოდ არ ვიცოდი, რომელს კუთხეში. ჩემი თავი ესლა უვარგისი ქმნილება მეგონა, რომელიც სადმე უფსკრულში დასაღუბავად არის გაჩენილი და რომლის თავგარდასავალი არავის რას აწუხებს.

„ნასვეარ გისკა მედო მხოლოდ ჯიბეში და იმედი მქონდა ბედი ამას მაინც ტყუილად არ წამართმევდა, მაგრამ მინდოდა გული დამეკერებინა, რომ აბ ეულს სწორედ ჩემს თავზედ მოვიხმარებდი: გავიყიქრე მაშინვე დამესარჯა და მასუკან ჩემს ბედ-იღბალს მივსდობოდი. ამ გახზრასვით რომ მიკდიოდი, გზაზედ ერთი გაჩერებადა ვნახე, გამვლელ-გამომვლელს იწვევდა იმ სახლში შესასვლელად, რომელზედაც ეს გაჩერებადა იყო გაკრული. ამ სახლის ბატრონი ატეობინებდა ინგლისის მეფის ფოგელ ძვეშევრდომს. რომ წელიწადში ოცდა-ათ გირვანქა სტერლინგს მიიღებთ, თუ სამუდამოდ უარჰყოფთ თქვენს თავისუფლებას და ამერიკაში მონობას იკისრებთო. გამესარდა რომ ვიპოვნე იმისთანა ადგილი, რომელსაც შეეძლო ჩემი გაწყვიტულებიდამ დაბსნა, და შეკუდ იმ სენაკში,

მართლაც რომ სწორედ მონასტრის სენაკსა ჰგავდა, ისე პატარა იყო. ამ ოთახში ბევრს სხვა ღარიბ-ღატაკთაც მოეყარათ თავი; ეტყობოდათ, ისინიც ჩემს ყოფაში ჩაცვინულიყვნენ. ყველანი სასლის-პატრონს ელოდებოდენ და წარმოგვიდგენდენ მაგალითს ინგლისელთ მოუთმენელობისას. ყოველი მათგანი ემდუროდა თავის ბედ-იღბალს და უშვერის სიტყვით ილანძღებოდა. სასლის-პატრონი მალე შემოვიდა და ყველამ შესწყვიტა ხმაურობა. მე სხვებზედ უფრო კარგის თვალით შემომსედა, და სწორე გითხრათ, იმ ერთს თვეში იმის გარდა არავის ღიმილი არ მოსვლია სასეზედ, ჩემთან ლაპარაკის დროს. ზოგიერთი რამ გამომკითხა, დარწმუნდა რომ ყოველისფერში გამოვდგებოდი და პატარა-ხანს ჩაფიქრდა რაში გამოვეყენებინე. უცებ შუბლს ელი შემოიკრა, თითქო ჩემი შესაფერი საქმე იპოვნაო ჯ მითხრა, ამ ტოტას ხანში ჰენსილვანიის სინოდი ელჩსა გზავნის ჩიკაზოელ ველურ ინდიელებთან და ვეცდები შენ ელჩის სეკრეტრად დაგნიშნონო. ცხადი იყო, ტუილს ამბობდა, მაგრამ მაინც ამ დაპირებამ ძალიან მასიამოვნა; ისეთი დიდი რამ იყო ჩემთვის ელჩის სეკრეტრობა. სიამოვნებით შუა გავუავ ჩემი ქონება, ნახევარ-გინეა ბედ მიეცი და იმის ოც-და-ათი-ათასს გირვანქა სტერლინგს ეს ფულიც მივუმატე. მეორე ნახევრის დახარჯვა კი ტრახტირში დავაპირე; მინდოდა ტოტა ხნობით მაინც იმ მდიდარს კაცზედ უფრო ბედნიერად მჩვენებოდა ჩემი თავი.

„კარებზედ ერთი ჩემი ნაცნობი გემის-კაპიტანი დამხვდა და ერთს ფინჯანს ფუნჯზედ დავპატიჟე. მე ჩვეულებად არა მაქვს, ჩემი ამბავი დავუმალო ვისმე და ამ კაპიტანსაც ვუამბე ჩემი ახალი განზრასულება. იმან დამარწმუნა, რომ თავს დაიღუპავ, თუ მაგ საქმეს არ მოეშვებიო; შენი დამქირავებელი

წაგიყვანს და ამერიკაში მონად გაგყიდისო. მე თუ დამიჯერებ, უფრო მოკლე გზით კაი ბედს შეეურები და შენს საყოფს სარჩოს ადვილად იშოვნიო. სვალ ჩემი გემი ამსტერდამში მიდის და ურიგო არ იქნება, შენც იქ წამოსვიდეო. რამწამს იმ ქალაქში მისვალ, მაშინვე შეგიძლიან ჭოლანდიელებს ინგლისურის სწავლა დააწყებინო, და გარწმუნებ, შეგირდებიც ბევრი გეყოლება და თუ სულსაც ბევრსა იშოვიო. მე ვგონებ, ინგლისური კარგად იცი და იმის სწავლება როგორ უნდა გაგიჭირდესო. ინგლისური კი ვიცი, მაგრამ [illegible] ოანა ჭოლანდიელებმა ინგლისურის სწავლა მოინდომონ-მეთქი. იმან შემომთიცა, დიდის სიამოვნებითა სწავლობენო. მე დავთანხმდი ამ რჩევაზედ და მეორე დღესვე წავედი ჭოლანდიაში ინგლისურის ენის მასწავლებლად.

„კარგმა ქარმა დაჭბერა ჩვენს გემს, და მალე მივედით დანიშნულს ადგილს. კაპიტანს ჩემის მოძრავის ქონებიხ ნახევარი მივეც ქირად, და უცებ, თითქო ზეციდამ ჩამოვარდიო, ამსტერდამის ერთს უდიდესს ქუჩაში მოვექეცი. მე არ მინდოდა, მცირედიც არის დრო ტუვილად დამეკარგა და ქუჩაში ორს თუ სამს კაცს, რომელთაც უფრო მიმზიდავი სახე ჭქონდათ, დაველაპარაკე, ინგლისურს ხომ არ ისწავლით-მეთქი; მაგრამ სამწუსაროდ, ერთმანერთს ვერაფერი ვერა გავაგებინეთ - რა. მხოლოდ ესლა მომაგონდა, რომ ვიდრე ჭოლანდიელებს ინგლისურის სწავლას დავაწყებინებდი, ჯერ საჭირო იყო იმათ ჩემთვის ჭოლანდიური ესწავლებინათ. საკვირველია, როგორ არ მომიგიდა ეს აზრი თავში, ჭოლანდიისკენ რომ გავემგზავრე!

„ეს განზრახულებაც რომ გამიტუდდა, დავაპირე ისევ ინგლისში დაბრუნება. ამ დროს ერთს ირლანდიელ სტუდენტს შევხვდი, რომელიც ლუვენის უნივერსიტეტიდამ იყო ლ ლიტერატუ-

რაზედ დავუწყე ლაპარაკი. თუმცა ძნელს ეროვნაში კი ვიყავ, მაგრამ მაშინვე მავიწყდებოდა ჩემი მდგომარეობა, როცა ლიტერატურაზედ, ან სხვა ამის მზგავსს საგანზედ შემხვდებოდა ლაპარაკი. იმ სტუდენტმა სხვათა შორის მითხრა, მთელს ლუვენის უნივერსიტეტში ორს კაცს ვერ იპოვი, რომ ბერძნული იცოდესო. ამან ძალიან გამაკვირვა და მაშინვე დავაწყე, წასულვიყავ ლუვენში ეს ბერძნული მესწავლებინა. სტუდენტმაც გული გამიმაგრა, იქნება დიდი ქონებაც შეიძინო მაგ გზითაო.

„ბოლო დიღასვე დავადეგი გზასა. ეოველ-დღე ბარგი მიმსუბუქდებოდა, როგორც ეზოს მის საგძალის კალათი, რადგან მოგზაურობის დროს, თუ რომ არა მქონდა, ჭოლანდიელებს ბარგს ვაძლევდი ბინასა და სასმელ-საჭმელში. ლუვენში რომ მივედი, უბრალო პროფესორებთან კი არ წავედი და თხოვნით თავი დავიმცირე, პირ-და-პირ იმათ უფროსს მივმართე და ვუთხარი, მე შევიტყე რომ აქ ბერძნულის ენის სწავლებას ვერავინ ახერხებს და თუ გსებავთ, მე ვიკისრებ-მეთქი. უფროსმა ჯერ იჭვნეულად შემომხედა, მაგრამ მე დავუმტკიცე რომ კარგად ვიცოდი ბერძნული, და ჩემისავე სურვილით, სადაც კი დამისახლა, გადავუთარგმნე ბერძნულიდან ლათინურად ერთის ბერძენთა მწერლის აზრი. რა კი ნახა რომ მართლა ბერძნულის სწავლება მედო გულში, ასე მითხრა: ხომ სედავთ, უმაწვილო-კაცო, რომ მე ჩემს დღეში ბერძნული არ მისწავლია, მაგრამ დაჭირებითაც ეგ ენა არასოდეს არ დამჭირებია. უბერძნულოდ მივიღე მეცნიერების დოქტორის ქუდი და მანტია; უბერძნულოდ მაქვს ათი-ათასი ფლორინი წელიწადში, და სწორე გითხრა, ბერძნულის უცოდნელობით არც ძალა მაკლია. ერთის სიტყვით, რადგან ბერძნული არ ვი-

ცი, არც ის ვიცი, იმის ცოდნიდამ სიკეთე გამოვა რამე, თუ არა.

„ესლა ისე დაშორებული ვიყავ ჩემს ქვეყანას რომ უკან დაბრუნება აღარა სურდებოდა. ისევ სხვა მსარეს წასვლა ვამჯობინე. ცოტა მუსიკა ვიცოდი, ჩემს სმასაც არა უჭირდა-რა და მოვყევ მემუსიკობას. რითაც სიყმაწვილეში მხოლოდ დროს ვატარებდი, ესლა თავის სარჩენლად გამომადგა. დავყავ რამდენიმე სანი. ფლანდრიის გლეს-კატებში და საფრანგეთშიაც იმისთანა სალხი გავიცან, რომელიც ისე ღარიბია რომ სულ მუდამ მსიარულობს. მართლაც და მათი მსიარულება სიღარიბეზედ არის დამოკიდებული. როცა დაღამებაზედ რომელიმე გლეს-კაცის სახლს ვუახლოვდებოდი, დავიწყებდი სოლმე მსიარულის სმის დაკვრას, და ეს არამც თუ ბინას მაშოვნინებდა, მეორე დღის სარჩოც მზად იყო ჩემთვის. ერთ-სელ თუ ორჯერ დიდ-კაცების წინაც დავუკარ, მაგრამ ჩემი მუსიკა მათ არ მოსწონდათ და მცირედიც რამ არა უჩუქებიათ-რა. ეს მე ძალიან მაკვირვებდა, რადგან უწინ, როდესაც ჯერ კაი შეძლება ბჭქონდა და მხოლოდ შესაქცევად ვუკრავდი, ბევრი აღტაცებაში მოჰყავნდა ჩემს მუსიკას, მეტადრე ქალები. ესლა კი მხოლოდ ეს იყო ჩემის ცხოვრების ღონე და არავინ ყურს აღარ უგდებდა. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ რომელი კაციც კი თავის ნიჭითა სცხოვრობს, იმას სხვებზედ მეტი მოეთხოვება საზოგადოებისაგან.

„ნელ-ნელა სიარულით მიკაღწიე ბარიკამდის. სხვა აზრი არა მქონდა-რა, მინდოდა ეს ქალაქი მენახა ჯერ მერე ისევ სხვაგან წასულვიყავი. ბარიკის სალხს უფრო ფულიანი უცხო ქვეყნელები მოსწონს, ვიდრე ჩვენიანები და მე არც ფული მქონდა ბევრი, არც ჩვენა, და ვის რად მოვეწონებოდი. ოთხს თუ

ხუთს დღეს მოვიარე მთელი ქალაქი, საუკეთესო სასლები ავათ-ვალიერ-ჩავათვალიერე და დავაპირე ამ ფულიან-სტუმრის მოყ-ვარე ქალაქიდამ გასვლა. ერთს უდიდესს ქუჩაზედ რო მივდიო-დი, შემომხვდა ჩემი ბიძა-შვილი, რომელთანაც თქვენ წერილი მიმიწერეთ. იმის ნახვა ძალიან მიამა, და მგონი, არც იმას ეწ-ყინა. მკითხა, პარიკში რამ მოგიყვანა, მიამბო რასაც აკეთ-ბდა: სურათებს, მედალებს, მოჭრილ ქვებს და სხვა ძველს ნაშ-თებს ვაგროვებ ერთის ლონდონელ დიდის-კაცისთვისაო, რო-მელმაც ესლა-ხანს დიდი ქონება შეიძინა და თან ამ გვარ ნივ-თიერების სიყვარულიცაო. მე გამიკვირდა, რომ ჩემს ბიძა-შვილს ამისთანა საქმეს ანდობდენ; თითონვე რამდენჯერ მითხრა, მაგ საქმეში არაფერი მესმისო. ვკითხე, როგორ ისწავლე ასე მა-ლე მაგ საგნებში კარგისა და ავის გარჩევა-მეთქი და მიპასუხა, მაგაზედ ადვილი არა არის-რაო. მთელი სწავლა ეს არის რომ ორს ჩვეულებას არ გადაუდგეო: სთქვი ხოლმე, ეს სურათი უკეთესი იქნებოდა, მხატვარს რომ შრომა არ დაეზოგა-თქო ან ეოველთვის აქ პიეტრო პერუჯინოს მხატვრობაო. იცი რა გითხრა? როგორც ლონდონში მწერლობა გასწავლე, ისე ეხლა მინდა გასწავლო სურათების ყიდვის დროს საჭირო ხერხიო.

„დიდის სიამოვნებით მივიღე ჩემის ბიძა-შვილის რჩევა, რადგან ამ ღონისძიებით ლუკმის შოვნა შემეძლო და ამაში ლუკმის შოვნა იყო მხოლოდ ჩემი ოცქრი და დარდი. წავუყვე იმის სადგურში, იმისვე შემწეობით ტანთსაცმელი უფრო ლა-ზათიანი ჩავიცვი, და პატარა-ხანს უკან წავედით იმ ადგილას, სადაც სურათების ვაჭრობა იყო გამართული. ბევრი ინგლი-სელი დიდ-კაცები იყვნენ თავ-მოყრილნი. ძალიან გავცვიფრდი, რომ ისე კარგად გაეცნო ჩემს ბიძა-შვილს დიდ-კაცები და ეოველთვის იმას ეკითხებოდენ რომელიმე სურათის, ან მედა-

ლის ყიდვაზედ, თითქო შეუცდომელად შეეძლო ყოველივე ძველის ნივთის დაფასება. ასე გაშინჯეთ, იქ დგომით, მეც კი შემწეობა გავუწიე. როდესაც იმის აზრსა ჭკითსავდენ, განზედ გამისმობდა, მსრებს აიწევდა, წარბებს დასჭიმავდა, მიუბრუნდებოდა და ეტყოდა ხოლმე, მაგისთანა ძნელს საგანზედ არ შემიძლიან გადაწყვეტილი ვსთქვაო. სანდისსან კი დაურიდებლად ამბობდა თავის აზრს. ერთ-ორ რაღაცა სურათზედ სთქვა, ფერადები ტოტა მუქი აქვსო, მარდად ფთა აიღო, ამოაწება იქვე შემთხვევით მდგომს ლაქში და ისე წა-უსვ-წამოუსვა სურათს, რომ ხელიც არ არეკია. შემდეგ იკითხა, ანა ესე შეხამებული არა ხარ-ოთ.

„ბაათავა პარიეში თავისი საქმე, წასვლა დაუპირა და მერამდენსამე წარჩინებულ პირთან რეკომენდაცია გამიგეთ, მინაურ მასწავლებლად ძალიან გამოდგებაო. მალე ამ ხელობაშიაც გამოვიცადე. ერთს კაცს მოეყვანა თავისი შვილი პარიეში და ამასუკან მთელის ევროპის შემოტარებას უპირებდა; მიმიწვიეს ამ უმაწვილის მომვლელად, იმ პირობით რომ როდესაც მოისურვებდა, თავის-თავის მომვლელი თითონვე ეოფილიყო. ფულის მოგება მართლაც ჩემმა შაგირდმა ჩემზედ უკეთ იცოდა. იმას დარჩენოდა ორასი ათასი გირვანქა სტერლინგი თავის ბაბისაგან, რომელიც დასავლეთის ინდოეთში მომკვდარიყო, და პატრონებს ეს უმაწვილი ადვოკატისთვის მიებარებინათ, ეფრო კარგად ისწავლის თავის ქონების ეურის გდებასა. საშინელი ძუნწი რამ იყო. გზაზედ მხოლოდ იმასა მკითხავდა, ფული როგორ გამოვიზოგოო; რა გზით ეფრო ნაკლები დამესარჯებაო; არ შეიძლება იმისთანა რამ ვიყიდოთ, რომ ლონდონში დაბრუნების შემდეგ მოგება გვაჩვენოსო. რაც კი რამ შესანიშნავი სანახავი ეფასოდ ისახვებოდა, ეყურადღე-

ბოდ არა სტოკვებდა, მაგრამ თუ ფასის მიცემა იყო საჭირო, მე მითხრესო, ამბობდა ხოლმე, რომ მანდ შესანიშნავი არა არისრაო. არც-ერთს ანგარიშზედ ისე არ გასწორებია, არ ეთქვას, რა საშინლად ძვირადა ჯდება მოგზაურობაო. ჯერ ოც-და-ერთის წლისა სრული არ იყო და ასეთს სიძუნწეს იჩენდა; რა იქნებოდა მასუკან! ლივერნოში რომ მივედით, წავედით ნავთსადგურისა და გემების სანახავად; მეგემეებს ჰკითხა, ინგლისში ზღვით რომ წავიდე, რა დამიჯდებაო. იმათ უპასუხეს, ბევრით უფრო იაფად დაგიჯდებათ, ვიდრე მშრალის გზით დაბრუნებაო. ეს რომ გაიგო, მომცა ჩემი პატარა ჯამაგირიდამ, რაც მერგებოდა, გამომეთხოვა, და ერთის მსახურის ამარა ლონდონისკენ გაემგზავრა. დავრჩი კიდევ მარტო იმ უცხო ქვეყანაში. მაგრამ მარტო დარჩენას ესლა შეჩვეული ვიყავ. მნელი ეს იყო, რომ იქ მუსიკა მე არას მარგებდა; ყოველი გლეხ-კაცი ჩემზედ უკეთესი მემუსიკე იყო; მაგრამ ამ მოგზაურობაში ერთი სხვა ხელობა ვისწავლე, რომელიც მუსიკაზედ საკლებ არ გამომადგებოდა. ეს ხელობა იყო ბაასის გაწევა. ყოველს უცხო ქვეყნის უნივერსიტეტში და მონასტრებში ჩვეულებად არის შემოღებული დანიშნულს დღეს ფილოსოფოსურის საკის გამართვა და ბაასი იმასთან, ვინც კი მონაწილეობის მიღებას ისურვებს. თუ რიგიანად გამოიჩენს ვინმე თავსა, სახუქარსაც მიიღებს, სადილსაც და ერთს ღამეს ბინასაც მისცემენ.

„ამ საშუალებით გავაკვლიე გზა ინგლისისკენ. გზაზედ ბევრი ქალაქები ვნახე, კარგად გავიცან სხვა-და-სხვა ხალხი, ერთის სიტყვით, სურათის ორსავე მხარეს დავაკვირდი და მხოლოდ ორიოდ რამ შევნიშნე: მე ვნახე რომ ღარიბისათვის საუკეთესო სახელმწიფო წყობილება მონარქია და მდიდართა-

თვის რესპუბლიკა; მე ვნახე რომ ყოველს ქვეყანაში თავისუფლება მხოლოდ მდიდართა აქვთ მინიჭებული და არც-ერთს თავისუფლების მომხრეს ისე არ უყვარს თავისუფლება, რომ სხვების დამორჩილება არ მოინდომოს.

„ინგლისში რომ მოვედი, ჯერ მინდოდა თქვენ მენახეთ, მასუკან ჯარში შესულვიყავ ლ რომელსამე ომში მონაწილეობა მიმეღო; მაგრამ გზაზედ ერთი ჩემი ძველი ნაცნობი შემომხვდა, რომელიც აქტიორად შესულიყო და იმან მითხრა მთელი დასი ზავსულობით სოფლით-სოფლად მოგზაურობასა და წარმოდგენების გამართვას ვაპირებთო. მეც სიამოვნებით აქტიორად მიმიღეს, მაგრამ ყველანი კი მაოცთხილებდენ, ძალიან მძიმე საქმეა ჩვენი საქმეო; პუბლიკა მრავალ-თავიანი დევია და მხოლოდ კაი სახის მოთამაშეები მოსწონსო; სცენაზედ თამაშობა ადვილი ასწავლებელი როდია და თუ ზოგიერთი მისვრა-მოსვრა არ შეითვისე, რომლის სწავლა მხოლოდ სცენაზედ შეიძლება და რომელიც ეს ასი წელიწადია მიღებულიაო, იმედი ნუ გაქვს მოეწონო ვისმეო. ძნელი ეს იყო, რა როლი ამოერჩიათ ჩემთვის; ყოველს როლს თავისი პატრონი ჰყავდა; სან ერთს როლს მაძლევდენ, სან მეორეს; ბოლოს ჭორაციოს თამაშობას ვაპირებდი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, თქვენ გნახეთ ლ აღარ მომიხდა იმ როლის თამაშობა.“

თავი XXI

ბიწიერთა შორის კავშირს დიდი ღონე არა აქვს.

ჩემის შვილის ამბავი ისე გრძელი იყო რომ ერთბაშად გათავება ვერ შეიძლო: საღამოზედ დაიწყო და მხოლოდ მეორე

დღეს, შუა-დღის უკან, მოუღო ბოლო. უეცრად შემოვიდა ეზოში ტორნჭილის ეკიპაჟი და დაგვირეკვია ჩვენი მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრება. ტოტა-სნობით ნაბატონარმა მსასურმა, რომელიც ესლა ძალიან დამიმეგობრდა, წამამჩურჩლა, ტორნჭილი არაბელას შერთვას აპირებს და ქალის ბიძა-ძალუასაც ძალიან მოსწონია სასიძოო.

ტორნჭილი რომ შემოვიდა, და მე და ჩემი შვილი დაგვისაა, თითქო უკან დაიწია; მაგრამ ეს უფრო გაოცებას დავაბრალე, ვიდრე ჩვენის ნასვის უნდოძლობას. მართლაც და მიგესალმე თუ არა, დიდის სიამოვნებით მოგვიგითხა და პატარა-სანს უკან, იმის იქ ყოფნით არამც თუ არ მოვიწყინეთ, უფრო დაც გავმხიარულდით.

ჩაის შემდეგ, გამისმო ტორნჭილმა და მკითხა, თქვენი ქალისა რა ამბავი იცითო, და როცა ვუთხარ, ვერაფერი ვერა გავიგე-რა.მეთქი, თითქო ძალიან გაიკვირვა და მითხრა, თქვენის წამოსვლის შემდეგ, ხშირად დავდიოდი თქვენს ოჯახში და თქვენს სახლობას ვანუგეშებდიო; ყველანი მშვიდობით და კარგად არიანო. მასუკან მკითხა, არაბელასთვის, ან თქვენის შვილისთვის ხომ არაფერი შეგიტყობინებიათ-რაო, და როცა მივუგე ჯერ არაფერი-მეთქი, მეტად აქო ჩემი კეთილ-გონიერება და სიფთხილე და დაუმატა, ძალიან კარგი იქნება, ეგ კვლავაც საიდუმლოდ დარჩესო. რაც უნდა იყოს მაგითი თქვენს უპატიურობას გამოაცხადებთ, ტოლივია ეი იქნება ისეთი დამნაშავეც არ იყოს, როგორც ჩვენა გვგონია.

ამ დროს ერთი მსასური შემოვიდა და ლაპარაკი გაგვაწყვეტინა: ტორნჭილს სთხოვა, გამობძანდით, აქაურ სოფლელების შეძცევის ნასვა ინებეთო. მე ძალიან მადლობელი

დავრჩი ტორნჭილისა რომ ასე რიგად გული სტკივოდა ჩვენის ოჯახისთვის.

ცხადი იყო, რომ ტორნჭილს უნდოდა არაბელას შერთვა, მაგრამ არაბელას კი ეს ამბავი არავერად მოსწონდა, და თუ ზდილობიანად ეძტეოდა, უფრო იმიტომ, რომ თავის ბიძაძაღუასთვის არ ეწყენინებინა. სიამოვნებით შევნიშნე, რომ იგი ხშირად ჩემს უბედურს შვილს ტკბილად შეჭხედავდა ხოლმე, ⁄ ტორნჭილი კი ვერც სიმდიდრით, ვერც მეტის-მეტის ჩაცმებით, ვერ იზიდავდა იმის გულს.

საშინლად მიკვირდა ტორნჭილის ყოფა-ქცევა; ჩვენ არნოლდის თხოვნით კიდევ ერთის კვირით დავრჩით იმის სახლში, და რაც უფრო ეტყობოდა არაბელას ჩემის შვილის სიყვარული, იმდენი მეტად უმეგობრდებოდა ტორნჭილი გეორგს.

უწინ რამდენჯერმე დაგვპირებია ტორნჭილი, ყოველთვის მზა ვარ, თქვენს ოჯახს შემწეობა გავუწიოო, და ახლა თავისი სიტყვა საქმედ აქცია. იმ დილით, როდესაც მე წასვლას ვაპირებდი, შემოვიდა ჩემთან მხიარულის სახით და მითხრა, ჩემს მეგობარს გეორგს ერთი კაი საქმე უნდა ვუყოვო. მე მაგას პირველი ჩინი ვუშოვე ერთს პოლკში, რომელიც დასავლეთ-ინდოეთში წასვლას აპირებსო. თუმცა საამისი გირვანქა სტერლინგი იყო ამ ჩინის საყიდლად *) საჭირო, მაგრამ ისე მოვახერხე, რომ ასს დასჯერდებიანო. ეს საქმე მადლობად არა ღირსო, მე მინდოდა მხოლოდ ჩემის მეგობრისთვის მეგობრული საამსახური გამეწიაო, და თუ იმ ასის გირ-

*) ინგლისში წესად იყო საამხედრო ჩინების ფასით შესყიდვა.

მთარგმნელი.

ვანქა სტერლინგის შოვნა გაგიჭირდებათ, იმასაც მე მოგიხერხებთ და მასუკან მომტემთ როდისმეო.

ეს ისეთი სიკეთე იყო რომ პირველში მადლობის თქმაც კი ველარ მოვახერხე; მივეცი თამასუქი და მასუკან იმდენი მადლობა ვუთხარ, რომ სხვას ეგონებოდა, ფულის მიტემას ღარ აპირებს და მადლობით იხდის ვალსაო.

მეორე დღეს გეორგი უნდა ქალაქში წასულიყო და ჩაბარა ჩვენის კეთილის-მყოფელისაგან ნაშოვნი ალაგი. ტორნჭილმაც დაგაშურა, მალე წადი, თორემ სხვამ უფრო ბევრი არ შეაძლიოს იმ ჩინშიო.

დილა-ადრიან მოემზადა ჩვენი ახალი მეობარი ქალაქში წასასვლელად; გამოსალმებამ ველას გული მოსწყვიტა; თითონ ჩემი შვილი კი უფრო გულ-მაგრად იყო. ვერც ომში ყოფნის დროს მოსალოდნელმა ჭირვამ და შიშმა, ვერც მეგობრისა და საყვარლის გაჩშორებამ, ვერ შეარყია იმისი ვაჟ-კაცური გული. მე ვამბობ საყვარლისა-მეთქი, რადგან არაბელას უყვარდა. გამოეთხოვა ველას ჩემი შვილი, და მე გამოთხოვების დროს მივეცი ერთად-ერთი ჩემი ქონება—ჩემი ლოცვა-კურთხევა.

— ახლა მიდიხარ, შვილო ჩემო, ვუთხარი მე, შენის ქვეყნისთვის საომრად. გახსოვდეს, როგორ იბრძოდა შენი მამაცი წინა-პარი თავის გვირგვინოსან ხელმწიფის გულისთვის, როდესაც ბრიტანიელთ შორის ერთ-გულება კეთილ საქმედ მიაჩნდათ. წადი შვილო და ყოველისფერში ბაძვიდე მას, ნუ მიჭბაძავ მხოლოდ მის უბედურს სვეს, თუმცა მამაცური სიკვდილი უბედურებად არ ჩაითვლება. წადი და თუ სიცოცხლეს შენს ქვეყანას შესწირავ, შორს სადმე, შენს ნათესავებსა და მეგობრებს გაჩშორებული, მაგან დაუტირალი, ნუ დაივიწ-

ყებ რომ საუკეთესო ცრემლი ის ცის ნამია, რომელიც დაეცემა მამულისთვის მკვდარ მეომრის გულსა.

ჩემი შვილი რომ გავისტუმრე, მეორეს დღეს მეც გამოვეთხოვე იმ კეთილს ოჯახს, რომელმაც იმდენს ხანს თავი შემათვარებინა და ტორნჰილსაც დიდი მადლობა განვუცხადე გულის-ტკივილისათვის. მე დავტოვე ისინი მხიარულნი და ბედნიერნი, როგორც შეეფერება მდიდართა, რიგიანად აღზდილთ პირთა, და წავედი ჩემის სასლისაკენ; აღარა მქონდა იმედი ჩემის ქალის პოვნისა, მაგრამ მაინც უფალს ვევედრებოდი იმის დაფარვას და ცოდვათა მიტევებასა.

რადგან ჯერ კიდევ სუსტად ვიყავი, ცხენი ვიქირავე, და რომ დავუახლოვდი ჩემს სასლსა, მიხაროდა, მალე ვნახავ იმათ, ვინც კი ჩემთვის უძვირფასესნი არიან-მეთქი, მაგრამ ჩამოღამდა და ღამე უნდა ერთს ტრახტირში, გზის პირას, გამეტარებინა. ვახშმად მეტრახტირესაც ვთხოვე, პური ერთადა ვჭამოთ-მეთქი. ჩვენ დავსხედით სამზარეულოში, ბუხრის წინ, რადგან ამაზედ უკეთესი ოთახი მთელს ტრახტირში არ იყო, და დავიწყეთ ლაპარაკი პოლიტიკაზედ და სხვა-და-სხვა ასალს ამბებზედ. სიტყვა ტორნჰილზედაც ჩამოვარდა და მეტრახტირემ დამარწმუნა, ამ მხარეს ის ყველასა სძულს და იმისი ბიძა უილიამი კი, რომელიც ხანდისხან მოვა ხოლმე, ყველას საყვარელიაო. რომელი დედ-მამაც კი ტორნჰილს სახლში მიიღებს, თავის ქალების ნამუსს გამოესალმოსო. ორსამ კვირას კი ქალს თავისთან იყოლიებს, და შემდეგ უპატრონოდ, უარარაოდ, კარში გააგდებს ხოლმეო.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, შემობრუნდა მეტრახტირის ცოლი, რომელიც ცოტას-ხანს წინ ფულის დასახურდავებლად გავიდა, და რა შენიშნა, რომ იმისი ქმარი შეეჭცევოდა და

იმას კი წილს არ უდებდა, გაჯავრებულმა ჰკითხა, რას აკეთებ, მანდ რო ზიხარო! ქმარმა პასუხის მაგიერად იმისი სადღეგძელო დალია.

— შენ ძალიან თავს გახვედი, მიუგო ცოლმა, მე მაგდენს ვეღარ მოვითმენ, ოჯახში ყოველისფერს მე ვაკეთებ და თუ რასმე უური ვერ ვუგდე, გაუკეთებელი რჩება; შენ მთელი დღე ზიხარ და ღვინის სმის მეტი არა სარ-რა, და მე კი ერთ ცვარს წამლადაც არ ვირგუნებ ხოლმე.

მე მივხვდი, რად იყო ის დედა-კაცი ისე თავ-გამოდებული და ერთი სტაქანი ღვინო დავუსხი. აიღო ზდილობიანად, ჩემი სადღეგძელო დალია და მითხრა:

— მე ხომ, ბატონო, ღვინო არა მშურს და არც მაგისთვისა ვჯავრობ, მაგრამ მოდი და ნუ გაჯავრდები, რომ ოჯახს ოჯახობა აღარ ეტყობა. მუშტარი მოვა, მე უნდა დავუსვდე, სტუმარი მოვა, მე უნდა დავუსვდე, მე უნდა გავუსწორდე; მთელი ოჯახი ჩემს სელთ არის; მაგას კი ოღონდა ღვინო ასვი, თორემ რა ენაღვლება, ადგილიდამაც არ დაიძვრის. აი ესლაც, მაღლა ოთახში ერთი უმაწვილი-ქალი გვიდგია და დარწმუნებული ვარ, თვული არ უნდა ჰქონდეს, რადგან მეტის-მეტად ზდილობიანად გვეძცევა. სწორედ ვერას ავიღებთ ჩვენ იმისაგან, და კარგი იქნება შეატყობინოს კინმე, რომ უფულოდ ცხოვრება არ შეიძლება.

— რა შეტყობინება უნდა, წამოიძახა მეტრასტირემ, თუ ესლა არ იძლევა, მასუკან მოგვცემს.

— არა მგონია, მიუგო ცოლმა. მე მხოლოდ ეს ვიცი, აგერ ორი კვირაა აქა დგას და ჯერ არ გვინახავს, მაგისი თვული რაფერია.

— რა ვუყოთ? ერთბაშად მოგვცემს.

— ერთბაშად! დაიყვირა ცოლმა. რაც უნდა იყოს არ შეკარჩენ იმ ფულსა, და თუ ამაღამვე არ მოუტია, ბაღურს ამოგკრავ და ბარგს გადაგუყრი. მიბძანდეს, სადაც უნდა.

— ის მაინც ითქვიქრე, ჩემო კარგო, რომ პატიოსანს ქალსა ჭკვავს და მეტის თავაზის ღირსია; უპასუხა ქმარმა.

— პატიოსანია, თუ უპატიოსნო, ეგ ჩემი საქმე არ არის; უიფულოდ მე ვერავის დავაყენებ. სხვაგან იქნება გამოადგეს ეგ პატიოსნება. ბაბრამ მე კი პატიოსნებისგან კარგი არა მინახავს-რა.

სთქვა თუ არა ესა, აიჭრა ზემო-ოთახში. მაღალს ლაპარაკზედ და მწარე საყვედურზედ შეკატეე, რომ მდგმურისგან ფული ვერა გამოიტანა-რა, მე კარგად მესმოდა მეტრახტირეს ცოლის ლანძღვა-გინება.

— წადი, აიბარგე, იძახოდა იგი, ეხლავ აქედამ გაეთრიე, შე უნამუსო, თორემ ისე მიგბეგავ რომ სამს თვეზედ სული ვეღარ მოიდგა. არა, შე გომბიო, გროში ფული არ გებადა, და აქ კი მოდიოდი, პატიოსანს ხალხთანა დგებოდი!

— გთხოვთ, ბატონო, შეცოდება იქონიოთ; ეუბნებოდა მდგმური. შემიბრალეთ ერთი საცოდავი, ყველასაგან განდევნილი; ერთი ღამეც დამაცადეთ და მაღე სიკვდილი თითონ მომიღებს ბოლოს.

მაშინათვე ვიცან ხმა ჩემის უბედურის ოლივიასი. გავექანე იმის გამოსახსნელად; ის იყო მეტრახტირეს ცოლი თმებით თრევას უპირებდა, როცა წავართვი ხელიდამ და ჩავიკარ გულში ჩემი დაკარგული შვილი.

— მოდი, ჩემო ძვირ-ფასო, დაკარგულო შვილო, ჩემო საუნჯეო, მოდი და მიეურდენ შენის მოხუცებულის მამის მკერდსა. თუმცა იმ ბიწიერს შენგან ხელი აუღია, მაგრამ არის

ქვეყანაზედ ერთი ქმნილება, რომელიც არასოდეს არ აიღებს შენგან სელსა. ითა-ათასი ცოდვაც რომ ჩაგედინოს. ყველას გაპატიებს იგი.

— ოს, ჩემო ძვირ-ფასო მამა... რამდენსამე წუთს იმან სმა ველარ ამოიღო. ჩემო საყვარელო, კეთილო მამა, დავიჯერო, ანგელოზები თქვენზედ კეთილნი იყვნენ. განა მე თქვენი ღირსი ვარ! მე მაგს ესლა ის საზიზღარი, რომელმაც ეგრე დამაკოდვინა თქვენი გული. თქვენ ვერ მაპატიებთ მე, ვერა, ვერა!

— სულითა და გულით მიპატიებია, შვილო. ოღონდ შეინახე შენი შეცოდება და ორნივ კიდევ ბედნიერნი ვიქნებით; კიდევ ვნახავთ სიმოვნების დღეებს ჩვენს სიცოცხლეში.

— არასოდეს, მამა, არასოდეს. მთელი ჩემი სიცოცხლე იქნება შინ სირცხვილი და გარედ უნამუსობა. ამას რას ვსედავ! რამ დაგაკარგვინა, მამა, ეგრე უეცრად თვერი? განა ჩემისთანა ქმნილებისათვის ეგრე უნდა შესწუხდეს ვინმე. თქვენ იმდენი გონიერება გაქვთ, რომ ჩემმა დანაშაულმა უვნებელად უნდა დაგტოვოთ.

— ჩემი გონიერება, ქალო....

— ოს, რად მელაპარაკებით ეგრე ცივად. მამა, შემომყვირა იმან. ბიერკელია ეგრე ჩემდამი სიტყვის მომართვა.

— მომიტევე, საყვარელო შვილო, მივუგე მე, ძისდოდა მსოფლოდ მეთქვა, რომ გონიერება ძნელად დაიცავს კაცს უსიამოვნობისაგან, თუმცა ბოლოს უსიამოვნობასაც კი გაუმაგრდება იგი.

მეტრასტირეს ცოლი დაბრუნდა და გვკითხა, უკეთესს ოთახს სომ არ ინებებთო. ჩვენ დავთანხმდით და ერთს ოთახ-

ში შეგვიყვანა, სადაც უფრო თავის-უფლად შეგვეძლო ლაპარაკი. პატარა რომ დავმშვიდდით, ვუთხარი ჩემს ქალს, მიამბე, რამ ჩაგაგდო ამ საშინელს ყოფაში-მეთქი.

— ის ავი-სული, მომიგო ჩემმა ქალმა, პირველის დღიდამვე ჩვენის ნახვისა არ მეშვებოდა, საიდუმლოდ მელაპარაკებოდა ხოლმე და ცოლად შერთვასა მპირდებოდა.

— მართლა რომ ავი-სული ყოფილა! მაგრამ მიკვირს, როგორ ჩაიდინა მაგისთანა აშკარა უნამუსობა და მთელს ოჯახს უპატიურობა მიაყენა ბორჩელისთანა გონიერმა, და ერთის შესედვით პატიოსანმა კაცმა.

— სცდებით, ძვირ-ფასო მამა, მიპასუხა ჩემმა ქალმა. ბორჩელს თავის-დღეში არ განუზრახავს ჩემი შეცდენა. შეცდენა კი არა, ის ყოველთვის ჩუმად მირჩევდა ხოლმე, არ გავბმოდი ტორნჭილის ბადეში, რომელიც უფრო ბოროტი-სული ყოფილა, ვიდრე ბორჩელი მეუბნებოდა.

— რაგორ თუ ტორნჭილი, განა ეს დასაჯერებელია!

— დიახ, ტორნჭილმა შემაცდინა მე; იმან მოიყვანა განგებ ის ორი დიდ-კაცთა ცოლი, რომელნიც დიდ-კაცთა ცოლები კი არა, უბრალო, გარეგნილი ქალები იყვნენ; იმათ უნდოდათ უწყალოდ მოვეტყუილებინეთ და წავეყვანეთ ლონდონში. ხომ გახსოვთ, რომ კინაღამ შეასრულეს თავიანთი განზრახულება, ბორჩელს რომ ის წერილი არ მიეწერა, რომელშიაც ის იმათა ჭკიცხავდა, და ჩვენ კი ჩვენს თავზედ მივიღეთ. დღესაც არ ვიცი, ისე რაგორ იმოქმედა იმისმა წერილმა, რომ თავიანთ განზრახვისთვის თავი დაანებებინა; ამაზედ კი დარწმუნებული ვარ, რომ ბორჩელისთანა გულ-წრფელი და ერთგული მეგობარი ჩვენ ჯერ არა გვყოლია.

— სწორედ გამიკვირვე მაგ ლაპარაკით, მაგრამ ესლა ვხედავ

რომ ჩემი პირველდელი ეჭვები ტორნჭილის ცუდ-კაცობაზედ უსაფუძვლო არა ყოფილა; ძნელი ეს არის, ის მდიდარია, ჩვენ ღარიბნი, და რას დავაკლებთ ჩვენ იმას. ერთი ეს მითხარი, რა ეგეთის ძლიერის იარაღით იყო შენს საცდენად აღჭურვილი, რომ ამოშალა ოკვალიკე დარიგება შენის სათნო გულიდამ? რითი გაიმარჯვა?

— იმითი გაიმარჯვა, რომ მე მხოლოდ იმის საიმოვნებასა ვცდილობდი და არა ჩემის თავისას. მე ვიცოდი რომ ჩვენს საიდუმლო ჯვარის-წერას კათოლიკე მღვდლისაგან, არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდა-რა და მხოლოდ იმის პატიოსნებას მიუენდე.

— რას ამბობ მაგას? მართლა მღვდელმა წესიერად ჯვარი დაგწერა?

— დიაღ მამა, მაგრამ ორთავემ დავიფიცეთ, რომ იმ მღვდლის სახელი არასადა ვსთქვათ.

— მაშ მოდი, შვილო, კიდეკ მოგეხვიო; ეხლა ერთი-ათასად უფრო მაგრად ჩაგიკრავ ამ გულში. ეხლა შენ იმისი ტოლი ყოფილხარ, როგორც წესი და რიგია. მაგ წმინდა ულელს ვერა კაცთა კანონი ვეღარ დასთრგუნავს, თუნდა ალმასის ფიცარზედ იყოს იგი ამოჭრილი.

— ვაიმე, რომ არ იცით სრული იმისი ავ-კაცობა. იმავე მღვდელს იმისთვის შვიდ-რვა სხვა ტოლზედ დაუწერია ჯვარი, და ეხლა ის ტოლები იმისაგან ჩემსავით თავ-დანებებულნი არიან.

— მაშ თუ ეგრეა, ეხლავე შეიტანე საჩივარი და ჩამოვაღრჩობინოთ ის მღვდელი.

— მერე მე რომ ფიცი მივეცი, არ გავსთქვა იმისი სახელი. მითხრა ჩემმა ქალმა.

— თუ მაგისთანა ფიცი მიგიცია, მე არ შემიძლიან და არც მინდა გაგატეხინო ეგ ფიცი. თუმცა სხვებს კი სიკეთეს უზამდი, მაგრამ მაინც არ უნდა დაებეზღო შენ იგი. კაცის ოჯოლის დაწესებულებაში შეიძლება მცირე მსხვერპლს დიდი სიკეთე მოჰყვეს: შეიძლება გაიცეს ერთი მხარე მთელის სახელმწიფოს დასახსნელად; ექიმობის დროს, შეიძლება მოიჭრას ერთი ნაწილი სხეულისა მთელის გვამის მორჩენისათვის; მაგრამ სარწმუნოებაში კი ეს კანონი შეურეველი უნდა დარჩეს: ავს საქმეს ნურას-ოდეს ნუ იქო. ეს კანონი, შვილო ჩემო, სამართლიანი კანონია. მართლაც და ცუდი რამ საქმე რომ მოვიქმედოთ დიდის კეთილის მოსაპოვებლად, შემცოდე შევიქნებით და სამაგიეროს კეთილს ვეღირსებით, თუ არა, ვინ იცის? თუნდაც რომ კეთილი ნამდვილად მოჰყვეს ჩვენს ცუდს საქმეს, მაინც იმის მოლოდინში ჩვენ ცოდვილად ჩავითვლებით, და რა გვეშველება ამ დროს რომ მოისპოს ჩვენი ქვეყნიერი ცხოვრება, ჩვენს ქვეყნიერს მოქმედებაზედ პასუხის გაცემა მოგვინდეს. მგონი, სიტყვა გაგაწყვეტინე, შვილო, განაგრძე, განაგრძე.

— მეორე დღეს მივხვდი მე, რას უნდა მოვლოდებოდი მის გულ-წრფელობისაგან. იმავე დილით შემიყვანა ორს უბედურს ქალთან, რომელნიც ჩემსავით იმისაგანვე იყვნენ მოტყუებულნი, მაგრამ კმაყოფილნი კი იყვნენ თავიანთ უნამუსო ცხოვრებისა. მე ისე ნაზად მიყვარდა იგი, რომ მოტილეების ატანა ვერ შემეძლო და ვცადე: ეგებ განცხრომაში ცხოვრებით დავიგიწყო ჩემი გაუპატიურება-მეთქი: მოვუეგ ტანცაობას, კარგს ჩაცმა-დახურვას, ოხუნჯობას, და მაინც კი ვგრძნობდი რომ უბედური ვიყავ. ბევრი სტუმრები მოდიოდენ, მელაპარაკებოდენ ჩემის სილამაზის ძლიერებაზედ, მაგრამ ამ სიტყვებით უფრო

მიკლავდენ გულსა; ამ სიტყვებით მაგონებდენ რომ ფუჭად ჩაიარა ჩემთვის ყოველმა სიღამაზემ.

„დღე-და-დღე მე უფრო დავფიქრიანდი, იმან კი ურცხვობას უმატა. ერთის დღეს იმ არა-კაცმა მოინდომა ერთის თავის ნაცნობისათვის დავეთმე. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დაეკოდა ჩემი გული ამ უმადურებას. კინაღამ გავგიჟდი, ეს რომ გავიგონე. წამოსვლა დავაპირე და რომ მოვდიოდი, ფული შემომაძღია, მაგრამ ზიზღით თავშიკ ვახალე და ცოფიანსავით კარში გამოვიჭერ. პირველში არა ვგრძნობდი ალალვებისაგან, რა საშინელს ყოფაში ვიყავი. მხოლოდ მასუკან დავფიქრდი ჩემს მდგომარეობას და ვნახე რომ ეხლა მე ცოდვილი, საზიზღარი ვიყავი, და ქვეყანაზედ ერთი ადარა ვინა მყავდა გულის შემატკივარი.

„ამ დროს გვერდით დილიჟანსმა გამიარა; ჩავჯექი შიგა და წამოვედი; სადა, არ ვიცი. მინდოდა მხოლოდ ჩქარა გავშორებოდი იმ საზიზღარს არსებას. აქ ჩამოვხდი და მასუკან ვარ ასე გულ-ხელ-დაკრეფილი. მხოლოდ მაგ დედა-კაცის აყალ-მაყალი მატარებინებს დროსა; მწარედა ვლონდები, როცა დედა-ჩემთანა და ჩემს დასთან სიამოვნებით გატარებული დრო მაგონდება. ისინი ალბად ძალიანა სწუხან ჩემს ბედზედ, მაგრამ ჩემი მწუხარება იმათს მწუხარებაზედ კიდევ მეტია: ჩემსას გაუპატიურებაც ზედ ემატება.

— მოთმინება იქონიე შვილო ჩემო, და იმედი მაქვს, საქმე კარგად დაბოლოვდეს. ამაღამ მოისვენე და ხვალ წაგიყვან დედა-შენთან, შენს დასა და ძმებთან. მერწმუნე, კარგად მიგიღებენ. საწყალი დედა-შენი! გული კი დაუჩაგრე, ოლიკა, მაგრამ მაინც უყვარხარ და მოგიტევებს შენს შეცოდებასა.

(შემდეგი შეოთხე ნომერში.)

ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ.

(დასასრული *).

XVIII

ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!...
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო ⁂ წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოეკლოს ⁂ სრულიად მტკვრად არ აღგვილიეოს?
შენ სარ, მარტო შენ!... მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეჭსძლებიეოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჭდვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავისწინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა,
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა:
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ უკელა მათ ანაცვალა.

---

*) «ივერია» № 2, 1881 წ.

XIX

თვალ-წინა მიდგა ის კირთების ბედ-შავნი დღენი,
როს შენ დაგიშურო მაკედონის გმირის ლაშქარმა,
და შეგირეია დიდ-ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი
შენმა მოძულემ და მოლალემ უცხო მთავარმა.
ჭსძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეშურა სალმა,
ჭსძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა ვერ ჭმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწუნარება.
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ ჭქელვიდა,
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმსურველი
თვით ერის ენას,—მაგ ერის განძს იგი ჭსდევნიდა.
ჭსძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიცა ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიცა იყო მის დიდება, პატიოსნება,
რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და სელი.
მას ჭმოარჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,
დევნულებისა და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,
და მონებრივის თვალთ-მიმქცევის კრძალულებითა
ზღვეკისა წადილს გულ-დაკეტით დღე-და-ღამ ჭზრდიდა.

XX

მოვიდა ის დღეც შურის-გებისა,
მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა...

მართალი არის ხმალი ზღვეგისა,
რომ მას ხელს ჭკიდებს მამულის ტრფობა.
მახსოვს თვარნავაზ ჭაეროვანი,
გულ-მტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან იდვა თავსა სასელოვანი
ის დიდი საქმე შურის-გებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხ-ყოფას
ველარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ველარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დაჭსცა თავ-ზარი მტერსა,
დაამხო პირ-ქვე ყმობა, მონება
და უცხოთ ხელთ-ქვეშ დაჩაგრულს ერსა
ვით მზე მოჭვინა თავის-უფლება,—
და შენ, ჭე ქართლო, მტრისგან რღვეული
კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართველის სახელი დამტირებული
კვლავ შეჭმოსა მან პატიოსნებით.

XXI

მას აქვთია, ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმაძღარი და ხარბი თვალი.
მას აქვთია ოთხ-კუთხივ მტერნი
შენს თავსა შენვე გეცილებოდენ,

მაგრამ კაჟ-კაცნი შვილები შენნი
გულ და გულ მტერსა წინ უდგებოდენ.
იყო დრო, რომ შენს ძასილზედ, სმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა
და ჭაბუკთ რაზმი შენს მოწვევაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.
იყო დრო, როცა შენის გულისთვის
თვითონ სიკვდილსაც ღსინად ჭსადოდენ
და თავ-დადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდენ.
ესლა რაღაა!... განჭრენ ის დღენი,
გაჭრა იგიცა ძალ-გულოვნება
და საკვირველნი მამათ საქმენი
ესლანდელ შენს შვილს არც აგონდება.

XXII—XXV

XXVI

„დედაკ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს სალსსა;
სამღვთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ სალხს ეღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვათ ეუოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ფოფა,
ქამა-პაპური სული, გული მოჭმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ჭბრძოდეს ქართლისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან რა არს მშვიდობა,
იკმარე სამღვთოდ მათ პატიჟნი ჯ სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჭმადლე ქართველს ქართველის ნდობა ჯ სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...
ჭოი სასიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარსტოცო სალსსა.“

XXVII

მსწრაფულ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდ-ფერიანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მასარობელად ტკბილ-იმედისა.
ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულის-თქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

ილია ჭავჭავაძე.

ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ.

ძლიერებითა და დიდებით მოსილს ინგლისის სახელმწიფოს წილად ჰხვდა ეჩვენებინა დანარჩენ ქვეყნებისათვის, შეუძლიან თუ არა, თვით განათლებითა და თავისუფლებით თავმომწონე ხალხს, გადასწყვიტოს ჩვენი დროის ერთი უმძიმესი პოლიტიკურ საქმეთაგანი.

იღბალმა ინება, რომ დიდ-ბრიტანიის კუნძულთან ყოფილიყო მეორე მცირედი კუნძული, სულ სხვა გვარ-ტომობის ხალხით დასახლებული. ამ კუნძულსა ჰქვიან ირლანდია, ანუ როგორც პოეტები უწოდებენ, მწვანე ერინი. „მწვანე ერინის“ მცხოვრებნი არიან ჩამომავალნი ევროპაში თავდაპირველად მოსულის ტომის—ცელტებისა. ქრისტეს მოსვლის ორიოდე საუკუნის წინად ცელტები უველგან ევროპაში განდევნილ ანუ ამოწყვეტილ იქმნენ აზიიდამ ახლად მოსულ მძლავრს თევტონებისაგან. მეოთხე და მეხუთე საუკუნეში, ქრისტეს შობის შემდეგ, თევტონების ანუ გერმანების ერთმა ტომმა—ანგლო-საქსებმა—დაიპყრეს დიდი-ბრიტანიის კუნძულიც. მხოლოდ ატლანტის ოკეანეში განმარტოებულს ირლანდიის კუნძულზედ გვიანობამდის ვერ ეწივნენ ცელტებს მათი მოსისხლე მტერი—გერმანები. ცელტებს დიდ-ხანსა ჰქონდათ ირლანდიაში რამოდენიმე თავისუფალი სამთავროები.

მეთექვსმეტე საუკუნეში უველა ჩრდილოეთ - ევროპაში გერმანებისაგან დაფუძნებულ სახელმწიფოებმა და მათ შორის

ინგლისმაც მიიღეს პროტესტანტობა. პროტესტანტის სჯულის მაღიარებელ სახელმწიფოებმა ბევრგან განდევნეს რომის კათოლიკე მღვდლები და ამ მღვდლებმა თავ-შესაფარი იპოვეს ირლანდიის კუნძულზედ. ეს იყო მიზეზი, რომ ირლანდიელები სამუდამოდ დარჩნენ რომის პაპის უმორჩილეს თაყვანისმცემელ კათოლიკებად.

დროთა-ბრუნვამან მოიტანა, რომ ინგლისს დაეკარგა თვის მორჩილების ქვეშ ირლანდიის კუნძული და ეს მხარე ბრიტანიასთან შეერთებინა. ამ სახით ინგლისისის სახელმწიფოს ერთს შემადგენელს ნაწილად შეიქმნა ქვეყანა, რომელიც სრულებით სხვა გვარ-ტომობისა და სხვა რჯულის მაღიარებელის ხალხით იყო დასახლებული.

რა რიგად შეიფერა ინგლისმა ეს უცხო-ტომის ხალხი? რა რიგად გაუძღვა მის ადგილობრივ მოთხოვნილებათ? რა რიგად მოიგო გული ახალ-მოკავშირე ხალხისა?

ისიც ვიკითხოთ, ირლანდიელებმა როგორ შეითვისეს თავისი მფლობელები? რა გულის წამალი იპოვეს განათლებულს და მძლავრს მეპატრონეებში? რა მოიგეს დაკარგულ თავისუფლების სამაგიერო დიდებულ სახელმწიფოსთან შეკავშირებით?

რა თვალით უყურებდა ინგლისი ირლანდიის უცხო ეროვნობას?

თავი დავანებოთ მას, რაც ინგლისის მმართებლობას უმოქმედნია უწინდელს ბარბაროსულს დროს ჯ გამოვიკვლიოთ მისი მოქმედება განათლებულს მეცხრამეტე საუკუნეში. ნურც იმაზედ გავკიცხავთ ეხლა ინგლისელებს, რომ ირლანდიის დამორჩილების შემდეგ, დიდ-ძალი მამულები ჩამოართვეს ადგილობრივს მცხოვრებთ და ინგლისელ ჩინოვნიკებს დაური-

ბეს, ასე რომ ირლანდიელები გასდნენ თავიანთ მამა-პაპეულს ძველეანაში თავ-შეუფარებელ სიზნებათ. ეს ბარბაროსული ქცევა უწინდელს ბარბაროსულს დროს დავაბრალოთ.

ინგლისელებმა ევროპის სალსთა შორის ყველაზედ ადრე გადიგდეს კისრიდამ თვით-მეფეობელობის უღელი და შეიქმნენ პოლიტიკურად თავისუფალ ერად. მას შემდეგ ინგლისი საგარეო პოლიტიკაშიაც ყოველთვის მომსრედ იყო თავისუფლების მეძიებელ სალსისა.

მაგალითად, როდესაც იტალიის სალსი გარიბალდის წინამძღოლობით გადაუდგა თავის მეფეებს, ინგლისის სალხმა და ინგლისის საზოგადოებამ აჯანყებულების მხარე დაიჭირა. ინგლისის გაზეთები ამბობდენ მაშინ: „ევროპამ საქვეყნოდ აღიარა და დაამტკიცა ის პრინციპი, რომ თავის მმართველების ამორჩევა შეადგენს თვით სალხისაგე უფლებასაო.“

ამაგე აზრებს ჰქადაგებდენ ინგლისის მინისტრები, სხვათა შორის ჯონ როსსელი, და თვით ინგლისის დედოფალი თავის სატასტო სიტყვაში.

სწორეთ ამაგე დროს ირლანდიაც ფხოულობდა ინგლისისაგან თავისუფლების მონიჭებას. რა უთხრა ირლანდიელებს ინგლისმა მათ თხოვნაზედ? „Times“-ი, უპირველესი ინგლისური გაზეთი, სწერდა: «თავისუფალს სალხს არავითარი პატივის-ცემა არა აქვს იმ დაპყრობილ სალხისა, რომელიც მხოლოდ კენესის თავის ტკივრთ-ქვეშა. იტალიელები არა კმაყოფილდებიან მარტო თავისუფლების ნატვრით, მათ მტკიცედ გადასწყვიტეს ხელში იარაღით დაკარგულის თავისუფლება, მოპოვების“

განათლებულმა და თავისუფლების მოყვარე სალხმა საქვეყნოდ აღიარა, რომ იგი მხოლოდ ძალ-ღონით ნაშოვნს უფ-

ლებასა სტემს პატივს. ამის შემდეგ ირლანდიელებს საბრძოლად მომზადება უნდა დაეწყოთ თავისუფლების მოსაპოვებლად. მართლა და ჩვენი დროის პოლიტიკა ჯერ იქამდის არ მისულა, რომ იდეალური საბუთებითა სულ-მძღვანელობდეს. ყოველი სალხის უფლება მხოლოდ ფაქტიკურის ძალის შეწყობებით მოიპოვება. ნურც ერთს სალხს, ანუ წოდებას ნუ აქვს იმედი, რომ სხვის გულ-შემატკივრობით წარიმართოს თავისი ყოფა-ცხოვრება.

ამ სახით ირლანდიელებს ცხადად ჯ აშკარად ედვათ წინ თავიანთი პოლიტიკური პრობლემა: ან სმა-ამოუღებლივ დამორჩილებოდენ ინგლისს, ან სიმძლავრით შეეძინათ მათგან მოწადინებული პოლიტიკური უფლება. ვნახოთ, რა რიგად შეუდგნენ ირლანდიელები თავისუფლების მოპოების საქმეს?

თუ გვინდა, რომ რომელისამე სალხის მოქმედებაზედ ჯეშმარიტი აზრი ვიქონიოთ, უნდა ბეჯითად გავშინჯოთ მისი პოლიტიკური და ეკონომიური გაწყობილება. რა ხაირს წყობილებასა ვხედავთ ჩვენ ირლანდიაში იმ დროს, რომელზედაც ესლა ლაპარაკი გვაქვს?

უმთავრესი წესი ირლანდიის საზოგადოებისა არის უწესური განაწილება მიწა-წყლის საკუთრებისა. უძველესს დროიდგან უველა ქვეყნებში, სადაც კი რომანიული კანონი სუფევდა, ანუ სადაც კი მიღებული იყო ეს კანონი ევროპაში ბარბაროსების შემოსევის შემდეგ, მაგალითად, საფრანგეთში, ინგლისში, მიწა იყო სამკვიდრო ბატონებისა (თავადებისა), რომელნიც მას თავის ხიზნების შორის ანაწილებდენ. ხიზნები ვალდებულნი იყვნენ შეემუშავებინათ მათი ხვედრი მიწა, ეძლიათ შებატონეებისათვის გადაწყვეტილი გადასახადი, და დანარჩენი შემოსავალით თვითონ ესარგებლათ. ხიზანის სრული ნება

იყო დარჩენილიყო თავის შემუშავებულს მამულზედ, რამდენს ხანსაც ისურვებდა. ხიზნის მამული მამიდამ შვილზედ გადადიოდა მემკვიდრეობის წესით. როდესაც ხიზანი სხვაგან გადავიდოდა, მას ნება ჰქონდა გარეშე პირისათვის მიეყიდა მამულის სმარების უფლება, ოღონდ ბატონისათვის კი მიეცა გაყიდვის ჯარიმა, სწორედ ისე, როგორც ეხლა ჩვენში ნასყიდობის ფურცლის დამტკიცებისათვის სახელმწიფო გარდასახადი დადებული. აი რა წესით იმართებოდა საფრანგეთშიაც მამულის მფლობელობა, იმ დრომდის, ვიდრე ფოველ-გვარი მებატონობის უფლებანი გაუქმებულ იქმნენ. და ხიზნები გახდნენ თავის ნაჭერ მიწის შეუცილებელ მეპატრონედ, რადგან თვით სახელმწიფო ჩადგა მებატონეების ადგილს.

მაგრამ ირლანდიაში კი დღეგანდლამდე ხიზანი ვერ გახდა მამულის მოსაკუთრედ. გარდა ამისა, ირლანდიელი მებატონე უცხოეთიდამ შემოსეულია და პროტესტანტის სჯული უჭირავს, ირლანდიელი ბლეხი კი კათოლიკეა და ამ ორს წოდებას შორის არავითარი სულიერი კავშირი არ არსებობს. კანონი ირლანდიელს ბლეხს არავითარს უფლებას არ აძლევს მისგან შემუშავებულს მამულზედ. რაც უნდა ოფლი დაღვაროს ბლეხმა, რაც უნდა ამაგი დასდოს, რაც უნდა გაუმჯობესოს და გაანაყოფიეროს თავისი ნაჭერი მამული, ზედ რაც უნდა ნაშენობა ჰქონდეს, მაინც მამულიც და ნაშენობაც ეკუთვნის მებატონეს. რომელსაც ნება აქვს როდესაც მოინდომებს გაამეკოს ბლეხი მამულიდამ, ან წლიური გადასახადი თუნდა ერთი-ორად ასწიოს. ამ ნაირი გარემოება ირლანდიელს მით უფრო სამძიმოდ უნდა მიაჩნდეს, რომ მას გარდმოცემით სხვა უკეთესი წყობილება ახსოვს. ცელტების კანონი ამბობს, რომ მიწა არა თუ

ვისმე მებატონის საკუთრებაა, იგი გაუნაწილებელი უნდა იყოს თემის ყოველ წევრთა შორის. ანგლო-საქსონების ირლანდიაში დამკვიდრების წინად, მიწები ყოველს წელიწადს გაიყოფებოდენ სოლმე სოფლელებს შორის, და სოფლის თავს მხოლოდ რომელსამე ნაწილს აძლევდენ მოსავლიდამ; ამის მიცემაცა ნება-მოფლობაზედ იყო.

იქნება ეს საშინელი მდგომარეობა გლეხებისა თან-დათან გაუმჯობესებულიყო, რომ ირლანდიის მებატონეები უცხოტომისა არა ყოფილიყვნენ. ირლანდიის მემამულე თავის-დღეში თავის მამულში არა სდგას, სცხოვრებს ინგლისში და მხოლოდ იმასა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა იქონიოს თავის საკუთრებიდამ. მის მაგივრად მამულს მისი მოურავი განაგებს, რომელიც, რასაკვირველია, გლეხების შეწუხების დროს თავის ჯიბესაც არ ივიწყებს.

ამ სახით გლეხი ყოველთვის თავის მებატონის შიშშია, და თუნდაც რამ შეეძლოს, კერა ჭბედავს თავისი საცხოვრებელის სახლის გაწყობას, თავის ბაღის გამშვენიერებას. მან იცის, რომ რაც უფრო მეტს შეძლებას შეამჩნევს მისი მებატონე, მით უფრო მამულს მომეტებულს ქირას დაადებს.

ამის შემდეგ წარმოიდგინეთ, რა ყოფა-ცხოვრებაში უნდა იყოს ინგლისისაგან ამ შემაძრწუნებელ მდგომარეობაში ჩავარდნილი ირლანდიის გლეხი, ესე იგი ხალხის უმეტესობა!

ეერი დავუგდოთ როგორ აგვიწერენ ირლანდიელების ცხოვრებას თვით მმართებლობის ოფიციალური დოკუმენტები:

1838 წელს ინგლისის მმართებლობამ დანიშნა კომისია ირლანდიის მდგომარეობის გამოსაძიებლად. თავსმჯდომარე ამ კომისიისა—ბურგოენი თავის მოხსენებაში ამბობს: «...გლე-

ხუბს ისე წვრილად დაუყვიათ ერთმანერთში დიდრონის მეპატრონეების მამულები, რომ გუთნის მოტრიალება აღარ შეიძლება. კი-კაგლახით ნაშოვნი გლეხის ორიოდე გრო-ში მიდის სასელმწიფო სარჯის გადასახადად და ბატონის გასასტუმრებლად. მთელს ოჯახობას გამოსაკვები საჭმელიც ძლივსა რჩება. მთელი ხალხი კართოფილის მეტს არას სჭამს; ბურს, ან სორტს ძვირად თუ შესვდებით სადმე. სასმელად მარტო წყალი აქვსთ და თუ როგორმე გლეხს ორიოდე გროში შერჩენია, ისიც დუქანში არაყის თასში მიდის. გლეხის სამეოთი ტალახითა და ნამჯით რაღაც მოკოკოლავებული საძრომელია, რომელსაც არც ბუხარი აქვს და არც ფანჯარა. ხახლის ავეჯეულობასაც ვერსადა ნახავთ. ტანსაცმელის მაგიერ ძონძის ნაფლეთები აკრავთ ტანზედ. ირლანდიის ხალხი მთელს ევროპაში უველაზედ ცუდად იკვებება, უველაზედ ცუდად დასახლკარებულია, უველაზედ ცუდად ჩაცმულია; მას არც შენახული სარჩო აქვს, არც ფული;—დღითი-დღე ძლივს გამოდის...» ასაცილოდ კი იქნება რომ ამ აღწერის შემდეგ ვიკითხოთ, თუ განათლების საქმე როგორ მიდის ირლანდიელების შორის.

ახლა, როდესაც შევიტყეთ ირლანდიელების უმრავლესობის მდგომარეობა ეკონომიურისა და სოციალურის მხრით, შეგვიძლიან უეცრო თვალ-ახილულის მსჯელობით მოვისმინოთ მათის პოლიტიკურის პარტიების მოქმედება სამშობლოს კეთილდღეობის ასაწევად. როგორ შეუდგნენ ირლანდიის უკეთესნი შვილნი თავის მამულის ბედ-იღბლის მოპოვებას? ინგლისმა თვითონ უჩვენა ირლანდიელებს მძლავრობის გზა. მაშ რაგორ დაირაზმნენ თავისუფლებისათვის მებრძოლნი პარტიები ინგლისი ბატონობის დასამხობლად? სად უნდა ეპოვნათ მათ

თავის ქვეყანაში დამხმარებელი ძალა? საშინელის სიღარიბით სულით ღონე-მისდილს საზოგადოებაში ვინ უნდა ეოფილიყო მათი თავ-გამოდებით თანამგრძნობელი? რომელს საზოგადო გრძნობისათვის უნდა მიემართნათ პოლიტიკურ პარტიებს? სასოწარკვეთილს ირლანდიელებს მხოლოდ ერთი გრძნობა ჰქონდათ: ინგლისის სიმძულვარე და მამულის მეპატრონების ამოწყვეტის სურვილი.

მაშ ნუღარ გავიკვირვებთ, რომ უპირველესი ღონე დაჩაგრულებმა იდუმალ საზოგადოებათა დაარსებაში იპოვნეს.

არც ერთს ქვეყანაში არა ეოფილა იმდენი იდუმალი საზოგადოება როგორც ირლანდიაში, მას აქეთ რაც ეს კუნძული ინგლისს შეუერთდა. 1820-დამ 1870 წლამდინ ამ ნაირი საზოგადოებანი საშინლად გამრავლდენ ირლანდიაში. მოკლედ განვისილოთ მათი ისტორია უკანასკნელ დროამდისინ და თვალი ვადევნოთ მათის განვითარების მსვლელობას: საიდან დაიწყეს და სად მივიდენ თავის მოქმედებაში? რა გზითა მოქმედებდენ პირველად და რა ნაირი მოქმედება არჩიეს ბოლოს?

როგორც ყველაფერი ბუნებაში, ისე პარტიებიც პოლიტიკაში მისდევენ დროთა-ბრუნვასა და ვითარებას. გამოტდილებით ნასწავლი პარტია დღეს უკეთესს იარაღს ირჩევს, ვიდრე გუშინ და უკეთესადაცა ხმარობს. ამ მხრით ირლანდიის უკანასკნელ დროინდელი ისტორიის შესწავლა ძლიერ საინტერესოა, როგორც თეორეტიკულად, ისე პრაკტიკულადაც...

ყველა იდუმალ საზოგადოებაზედ მძლავრი ესრედ წოდებული «სარტყლის საზოგადოება» იყო (Ribbon Confede-

racy), მაგრამ დარწმუნებით ამ საზოგადოების მოქმედების პროგრამმა არავინ იცის. რა უნდოდა მას: პოლიტიკური თავისუფლება, თუ სოციალური თავის დაღწევა (მებატონეების განდევნა)? უფრო საეჭვოელია, რომ ეს საზოგადოება სხვა-და-სხვა მაზრაში სხვა-და-სხვა გვარად მოქმედებდა. სადაც მებატონეები მეტის-მეტად აწუხებდენ ხიზნებს, იქ საზოგადოება მათ ამოწყვეტას შესდგომოდა; და სადაც ინგლისის მომხრეების უმრავლესობა სცხოვრობდა, იქ ამათ ემტერებოდა. ამ საზოგადოების წევრნი საქმეების გასარჩეველად სოფლის დუქნებში იყრიდნენ თავს. თუ რომ საქმე ძალიან სამძიმო გადასაწყვეტი იყო, მაშინ ერთს საზოგადოების დასთან შეიყრებოდა სხვა დასებიც და ერთად ადგენდენ განჩინებას. როდესაც რომელსამე დამნაშავე მებატონეს სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტდენ, მაშინ ამ გადაწყვეტილების ასასრულებლად მსურველებს შორეულ მაზრიდამ მოიწვევდენ, რომ უფრო აერიათ მმართებლობისათვის კვალი. ხალხიც დიდის პატივის-ცემით უყურებდა ვინც თავ-გამომეტებით სდევნიდა ხალხის წინ დამნაშავე პირთ და მოუსწრაფებდა სიკვდილს. ხშირად მომხდარა, რომ ირლანდიის გლეხები ულოცავდენ ერთმანერთს, როგორც დიდი-ხნიდამ ნატრულს განთავისუფლებას, როცა რომელსამე სასტიკ მებატონეს მოჰკვლიდენ «სარტყლის საზოგადოების» გადაწყვეტილობის ძალით.

მალე დადგა ირლანდიელებისათვის ძლიერ სახსოვარი 1845 წელიწადიც. შუა ზაფხულს გლეხებმა უცებ შენიშნეს, რომ კარტოფილის ღეროები დამჭკნარიყო მინდორში, თითქოს მსუსხავს დაშხამულ ქარს დაეჭრელოსო. ცოტა-ხნის შემდეგ სატკივარი კარტოფილის თავებსაც ეწვია, მაგრამ მოსავალი მაინც კიდევ საკმარისი იყო გაზაფხულამდის. უეცრ-

რად, შუა ზამთარში, მომეტებული ნაწილი შენახულის კარტოფილისა რალაც გაუგებარის ჭირისაგან დაულეთ ირლანდიელებს. ეს კიდევ არაფერი. ამისთანა შიმშილობა ირლანდიის ხალხს ბევრ-ჯერ აუტანია. როგორც იყო კალითა და ვაჩჩით გლეხკაცობამ მიალწივა ზათეხულს. მაგრამ რა ზათეხულს! შარშანდელზედ უარესად იზარალა წელს შეუწუნარებელის ჭირისაგან კარტოფილმა. მაშინ გაჩნდა მთელს ირლანდიაში საშინელი შიმშილი: ხალხი ერთიანად მოკლებული დარჩა თავის უპირველესს საზრდოებას.

რა უნდა ექმნა ცხრა მილიონს წინა წელიწადსაც დამშეულს ირლანდიელებს? ნუ თუ ინგლისის მმართებლობის ვალი არ იყო მოჭშველებოდა ამ ხალხს, რაწამსაც კი შეიტყო ამ უბედურების ამბავი? მაგრამ ბრიტანიის პარლამენტმა ძალიან გვიანობამდის არ ათხოვა ყური ამ გარემოებას. ბოლოს, როდესაც საქმე უკიდურესობამდის მიალწივა და ალარაფერი ალარ მოგვლებოდა, პარლამენტმა დანიშნა 600 მილიონამდის შესაწეალი თანხა, მაგრამ რალა დროს? შესაძლებელი საქმე იყო რომ ამოდენა ხალხისათვის დღიური საჭმელი ურიგებინათ? მოიპოვებოდენ კი იმდენი კეთილ-სინდისიანნი პირნი, რომ სრულის სიმართლით და უანგაროთ აესრულებინათ მმართებლობისაგან მონდობილი მოვალეობა? ახლა მთავრობამ ის ითქვა, რომ დაეწყო რომელიმე საჭეეფნო სამუშაო და თვასით ემუშავებინა ირლანდიის გლეხ-კაცობა. მაგრამ შიმშილით ლონე-გამოლეულს ხალხს სრულებითაც არ შეეძლო ასეთი მუშაობა.

ირლანდიელი მებატონეების უმეტესობა დამშეულ ხალხის დახმარებას კი არა ჭეიქრობდა, ის თავის ჩიოდა შემოსავლის დაკლებასა. მხოლოდ ზოგიერთ პროტესტანტის

სულის მაღიარებელი სექტები ესმარებოდენ ხალხს გაჭირვებაში, და ნუგეშს აძლევდენ სასოწარკვეთილ უბედურებს. აგრეთვე ძალიან შეეწივნენ თავიანთ მეამულეებს ამერიკაში გარდასახლებული ირლანდიელები. ამ უკანასკნელებისა ირლანდიელები ძლიერ მადლობელნი იყვნენ. მათი ცოტა ინგლისის მთავრობის ბეგრს ერჩივნათ, მით უფრო, რომ მთავრობა თავის დროზედ არ მოეშველა ხალხს.

ამ შიმშილობის შემდეგ ირლანდიელებში უფრო გაძლიერდა ინგლისის სიძულვილი.

ამ უკიდურესმა უბედურებამ მხოლოდ მცირე ჯამს შეაჩერა ირლანდიაში პოლიტიკური მოძრაობა სამშობლოს თავისუფლების მისაღწევად.

1842 წელიწადს აქეთ ირლანდიის საზოგადო ცხოვრების ასპარეზზედ გამოვიდა ახალი პარტია უნივერსიტეტების მოსწავლე ყმაწვილ-კაცობისაგან შემდგარი. თავ-და-პირველად ამათ დაარსეს ახალი გაზეთი „Nation“ (ერი), რომელიც დღეგანდლამდე პირუთნველ მქადაგებელად დარჩა ირლანდიელების პოლიტიკურ უფლებათა აღდგენისათვის. „Nation“-ის რედაქციაში იკრიბებოდენ ყველანი, ვისაც მამულის ადორძინების მსურვალე სურვილი გამოიწვევდა პოლიტიკურს მოედანზედ.

«ახალის ირლანდიის» პარტიამ თავის დროშაზედ დაიწერა ოქროვანი ამა სიტყვის დიდების უარ-ყოფა მამულის სადიდებლად. ამას იქით მათ კარგი ადგილები კი არ უნდა ეძებნათ, არამედ ეკლოთ სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის მოღვაწეობის გზაზედ. თავის იარაღად მათ აღიარეს მხოლოდ ქვეყნმოქმედება და ჭეშმარიტების ქება. ეგენი არ არჩევდენ კათოლიკებსა და პროტესტანტებს, და ქადაგებდენ ყველა თანამემამულეებს შეერთებას, საერთო მიზნის მისაღწევად.

«ახალის ირლანდიის» მოთავედ გახდა ბრიტანიის პარლამენტში ირლანდიის ერთი წარმომადგენელი (დეპუტატი) ჟილლიამ სმით ო' ბრიენი, კაცი კეთილ-სინდისიანი და ლიბერალურის მიმართულებისა.

1848 წ. მთელს ევროპაში ასტუდა რევოლიუციები. სალხის მომხრეებმა ნაპოლიდამ ბერლინამდის ყველგან კაიმარჯვეს. გაზეთს „Nation"-ს ამ დროს სამი მოთავე ჰყვანდა: გავან დიუფფი, დარსი მაკ-კი და ჯონ მიჩელი. ორნი ამათგანნი, დიუფფი და მაკ-კი, უფრო კანონიერს ნიადაგზედ მოქმედებას ჰქადაგებდენ; ჯონ მიჩელი კი თავ-გამოდებულ რევოლიუციის, აჯანყების მომხრე შეიქმნა. მისის აზრით ზომიერების პოლიტიკა სალხს მხოლოდ ჰქანცავს და სწყვეტს ღონეზედ, ნაყოფი კი არა მოაქვს-რა. ირლანდიის განთავისუფლება ცეცხლითა და სისხლით უნდა ყოფილიყო. სმით ო' ბრიენმა უარ-ყო ეს ახალი პროგრამა. ჯონ მიჩელი გადუდგა თავის ამხანაგებს და დააარსა ცალკე ახალი გაზეთი „The United Irishman" (ირლანდიელების ერთობა), რომელიც ყოველს სტრიქონში და ყოველს სიტყვაში სალხს შეიარაღებასკენ უქადაგებდა. წინა-წლებში გამოვლილმა ტანჯვამ ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა ამ ნაიმს ქადაგებას. შიმშილობისაგან ღონეგამოწყვეტილი ირლანდიელები ადვილად ერწმუნებოდენ იმ აზრს, რომ შიმშილისაგან თავის კარზედ სიკვდილს ისევ ხელში იარაღით სიკვდილი სჯობია მაგრამ ამ ტერრორ ბრძოლაშიო. მაგრამ ხალხი უიარაღობის გამო ვერ დაემზადა ასაჯანყებლად. იქნება ესეც კი ვისმე გაეძრა ხელი, მთავრობას რომ ეითხონ არ მოეხდინა საზოგადოებაში შფოთი თავისის უადგილო მკაცრობით.

21 ივნისს, მთავრობამ დააპყრობინა ო' ბრიენა, მიჯარი

და მიჩელი. სამსჯავრომ გადაუწყვიტა მიჩელს 15 წელიწადი სამშობლოდამ გაძევება, დანარჩენი ორი ტუსაღი კი გაანთავისუფლეს. ამ ამბავმა ისე აღელვა ირლანდიის საზოგადოება, რომ ვინც აქამდინ ერთმანერთის მოქიშპენი იყვნენ, შეერთდენ და ჭეიცეს ხალხის აჯანყებით გადაესადთ ინგლისის მმართებლობისათვის მისი უსამართლობა. ეხლა კი ო' ბრიენმა და მისმა პარტიამაც გადასწყვიტეს ირლანდიელების აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ. ესენი მხოლოდ შემოდგომის დადგომას უყურებდენ, როდესაც სარჩო მოიკრიბებოდა მინდვრებიდამ, რომ ბოლო-კაცობა გამოეყენებინათ ჯარად.

მმართებლობას არ გამოეპარა ეს მოძრაობა. მან მიიღო თვისი ზომები. ირლანდიაში გამოცხადებულ იქმნა სამხედრო დებულება; მთელი ქუნძული გარს შემორტყმული იყო სამხედრო ხოსტდებით. ო' ბრიენის მეცადინეობამ მაინც იმდენი ჭქნა, რომ შეჭყარა რამდენიმე ათასი აჯანყებული ბოლო-კაცობა და გაუძღვა მათ წინ. ირლანდიის სამღვდელოება არ ურჩევდა ხალხს აჯანყებას, და მისმა ქადაგებამ ძალიან გაუნელა აჯანყებულებს სიმხურვალე, მით უფრო, რომ ბოლოსები თვი თონაც კარგა ჭგრძნობდენ თავის დაუმზადებლობას და ამის გამო უდონობას. ბოლოს ო' ბრიენს სსიოდელა თავ-გამოდებული მომხრე დარჩა. ამასობაში ო' ბრიენი ერთს ადგილს შეეტაკა პოლიციას სალდათების პატარა გუნდს. სალდათები ასლო ტერმაში შეეყარნენ, და იქიდამ დაიწყეს სროლა. ო' ბრიენმა გერ გამოიმეტა ტერმის გადწვა და შესიზნულების ამოწყვეტა. ეს შეტაკება იმით გათავდა რომ ო' ბრიენს მოუკლეს რამდენიმე კაცი, დანარჩენები კი დაიფანტენ. ბევრმა ამათგანმა თავს ამერიკაში გადასახლებით უშველა. ო' ბრიენი და რამდენიმე სხვა მოთაკეები ჩაუარდენ მთავრობას ხელში

და სამუდამოდ გაიგზავნენ ავსტრალიაში. ასე გათავდა 1848 წლის «ახალის ირლანდიის» მომხრეების მოძალეობა, სამშობლოს დასახმარებლად. ირლანდიის ხალხი უარესს დღეში ჩავარდა, სამის წლის შიმშილობის შემდეგ, იგი ვეღარ გაიმართა წელში. ინგლისმა უარესად მოიძულა ირლანდია. მთავრობამაცა და ინგლისის ეკონომ-გაზეთებმაც გადასწყვიტეს რომ საქმეს ირლანდიელების სხვა ქვეყნებში გადასახლების მეტი არა ეშველება-რა. მებატონეებმაც ტაში დაუკრეს ამ ნაირს გადაწყვეტილებას: მათ რაღა ხელს მისცემდენ ირლანდიელი, სიღარიბით გაწყალებული ბლეხები. ირლანდიელებს ძალიან ათასობით ჭერიდენ თავთანთ მიწა-წყლიდამ და ასახლებდენ ამერიკაში. მრავალი მათგანი შიმშილისა და სატკივარისაგან გზაშივე დაიხოცნენ. ერთის სიტყვით, შიმშილისა და ემიგრაციისაგან ირლანდიას ათის წლის განმავლობაში სამი მილიონი მცხოვრები დაკარგდა.

დარჩენილი მებატონეების ხიზნები თან-და-თან უარესს დღეში ცვიგდებოდენ. ამათაც ჯავრის ამოსაყრელად გაახშირეს ბატონების ხოცვა. მთავრობას ძალიან გაუჭირდა დამნაშავეების ამოჩენა. რადგანაც ბლეხები დიდის სერსიათა ჭეშარავდენ ძათ.

რა ექმნა სასოწარკვეთილებამდის მიყვანილს ხალხს? სად უნდა ეძებნა თავისი დამქოფაგებლები? იდუმალ საზოგადოებით შეაჩვიეს ხალხი თავიანთის მჩაგვრელების ფარულად ჯავრის ამოყრას. ხალხის თვალში ეს საზოგადოებანი იყვნენ მათი მფარველნი და მხსნელნი.

ეი ეგ ნაირს ნიადაგზედ დაიბადა ყველასაგან ცნობილი ფენიანების შეთქმულობა.

ო? ბრიენის გუნდის პოლიტიკელებთან ბრძოლების დროს 1848 წ. დაიწერა ერთი ემაწვილი-კაცი, ხელობით ინყენერი,

ჯემს სტეფენსი. დაჭრილობისაგან მორჩენილი სტეფენსი რამ-დენსამე თვეს ემალებოდა მმართებლობას თავის საქმობლოში და შემდეგ მოახერხა ფარიაში გაპარვა, სადაც სხვა ირლანდიის პატრიოტები შეეფარიყვნენ. მათ შორის შესანიშნავი იყო ჯონ ო' მაჰონი. სტეფენსმა და ო' მაჰონიმ გაიცნეს პარიაის იდუმალ საზოგადოებათა მოთაყვანენი, და სწავლობდენ მათგან პოლიტიკურ რევოლიუციების წარმოებას, რომ უკედ მომზადებულიყვნენ თავის განზრახულ ირლანდიის აჯანყებისათვის.

ამ ორმა ემიგრანტმა არჩიეს, რომ საერთო საქმისათვის შეეუღლებინათ ერთმანერთთან თვით ირლანდიაში მცხოვრებნი თანამემამულენი და ამერიკაში გადასახლებული ირლანდიელები. ამისათვის, რასაკვირველია, საჭირო იყო ორი მოთავე: ერთი ირლანდიაში და მეორე ამერიკაში. სტეფენსი დაბრუნდა თავის საქმობლო კუნძულზედ და ო' მაჰონი წავიდა ამერიკაში.

ირლანდიის პატრიოტებმა სისრულით მიიღეს სტეფენსი. სტეფენსი მალე შეუდგა აღელვებულის პატრიოტებისაგან იდუმალ საზოგადოების შედგენას. თავადა-პირველადვე ახალგაზდა ჯანღის-მოთავემ შორს დაიჭირა დიდ-კაცობასთან საქმე. იგი ყველგან თავის-თავს მდაბალი სალხის მოტიქულად აცხადებდა. ფენიანების შეთქმულობაში არც-ერთს «კეთილ-შობილს» და არც-ერთს საქმეულობა არ მიეღია მონაწილეობა. ო' მაჰონიმაც მალე იშოვნა ამერიკაში მომხრეები. ამ შემთქმელების სახელი „fenians" (ფენიანი) ო' მაჰონის მოგონილია.

სტეფენსმა ფულიც მალე იშოვნა თავისის საქმისათვის. ყოველი წევრი „ირლანდიის ძმობისა" ვალდებული იყო საზოგადო კასსაში შემოეტანა ყოველი წლიური გარდასახადი. ამ სახით სტეფენსს კარგა ფული შეუგროვდა. ფენიანების

პროგრამმა იყო: საშობლოს განთავისუფლება ინგლისის უფლებისაგან; რესპუბლიკის დაარსება; უცხო ტომელ მეანტონეების მსმენელების ჩამორთმევა და გლეს-კაცობაში განყოფილება, როგორც მათის ქონებისა, აგრეთვე ეკლესიის საკუთრებისა. არც-ერთს საკულს ახალს სახელმწიფოში არ უნდა ჰქონოდა სხვებზედ უპირატესობა.

ამერიკაში გამდიდრებულ ირლანდიელების შორის საქმე ვერ მიდიოდა ასე სწრაფად. ამაში ზოგი თითონ ო' მჰონის ბრალი იყო. დიდ-კაცობის ჩამომავლობისა და ამპარტავნულის სასიათის პატრონი ო' მჰონი ადვილად არ იგებდა გულს თავის სულ-ქვეით მომხრეებისას. მთელს ამერიკაში რამდენიმე ასი ფენიანი ძლიგს მოიპოვებოდა. 1858 წ. მიგიდა იქ ირლანდიიდამ სტეფენსი, და საქმის წარმოებას მაღლე მისცა უფრო თვართო მსვლელობა. ფენიანების რიცხვმა ამერიკაში ერთი ათად იმატა. ამის შემდეგ სტეფენსი ისევ დაბრუნდა ევროპაში.

ეს ამბავი რომ ხდებოდა იდუმალად, ირლანდიაში გარეგანი შესვლულობით სრული მუდრობა სუფევდა. მაგრამ ვინც ჯი ჩაისედავდა ირლანდიელების გულში, მიხვდებოდა, რომ ეს მშვიდობიანობა ძალიან მაცდურია. ინგლისელები ტუვილად იყვნენ დაიმედებულნი, რომ ირლანდიაში სამუდამოდ მოისპო ყოველი შფოთი: ირლანდიელების დაწყნარება უსაფუძვლოდ მიაჩნდათ დამორჩილებად.

საქმე იმაშია, რომ ამ დროებაში ირლანდიელ პატრიოტებ შორის მოხდა განხეთქილება. ზოგი მათგანი შეიქმნა სტეფენსის მიმეოლი და ჭკადაგებდა პირ-და-პირს აჯანყებას, ზოგი კი ისევ ერთგული დაურჩა „ახალ ირლანდიის“ დროშას და მშვიდობიანობის წესით მოქმედებას ურჩევდა.

ხალხს. უკანასკნელებ შორის იყო ს

ვიანთ სამშობლო კუნძულზედ, რათა იქაც მიეღოთ მონაწილეობა ირლანდიის თავისუფლებისათვის განზრახულ ომში. ზოგიერთი გაზეთები ამბობდენ—200,000 კაცმა ჭეშეცეს თვითონ, რომ დანიშნულ დღეს, როგორც ერთი კაცი, სულში ირლანდიით ამდგარიყვნენ მამულის განთავისუფლებისათვის. ირლანდიის ადგილობრივ მთავრობა ასლიან დაშინდა ამ ამბებზედ.

15 სექტემბრის საღამოს, დუბლინის პოლიციამ მიიღო მთავარ-მმართველისგან ბრძანება, გაეჩხრიკა „Irish people"-ის რედაქცია და დაეტუსაღებინა უმთავრესი სეენიანების მოთავენი. სტეფენსმა აქაც დაიღწია თავი პოლიციას, მაგრამ რამდენიმე თვის უკან მაინც დაიჭირეს და ჩასვეს დუბლინის სასჯელმწიფო საპყრობილეში. სტეფენსს სრულებითაც არ შეეშინდა ინგლისის მთავრობისა, რადგანაც მტკიცე იმედი ჭქონდა თავისის მომხრეების მოშველებისა. მართლა და რამდენიმე კვირის შემდეგ სტეფენსი გამოეპარა, არავინ კი იცოდა, როგორ, საპატიმროს მცველებს და გასწია ამერიკაში.

შეიტყეს რა ამერიკელ ფენიანებმა დუბლინის ოანამოძმეების დატუსაღება, მაშინვე გადასწყვიტეს, რომ რაც შეიძლებოდა საჩქაროდ უნდა მიჭშველებოდენ ირლანდიის ასალსა. მაგრამ როგორ? ბევრის რჩევის შემდეგ, მათ განიზრახეს ინგლისის ამერიკელ კოლონიებში — კანადაში და ახალ-ბრანუნშვეიგში შესვლა, რომ მმართველობის თვალ-უური იქით გამოეტუუებინათ, და ამით გაეადვილებინათ ირლანდიის მებრძოლ პატრიოტების საქმე. ეიდენ შეჭყარეს რამდენიმე კაცი, შეესივნენ დანიშნულს მხარეებში, მაგრამ მაშინვე დაიმარცხებულ იყვნენ ინგლისელებისაგან ან გაიფანტნენ აქეთ-იქეთ. ატეხილი მღელვარება მაინც ამით არ დაწყნარდა. მეტი ლო-

დინიც აღარ შეიძლებოდა და სტეფენსმაც გამოაცხადა, რომ 1866 წლის დამლევამდის ირლანდია უთუოდ გადუდგება ინგლისსა. ვარის მოთავედ მან მოიწვია ერთი თვრანციელი ლენერალი კლიუზრე. კლიუზრე დაჰპირდა სტეფენსს სარდლობას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ფენიანები მას მოსცემენ 10,000 შეიარაღებულს კაცს. მანამ სტეფენსი და კლიუზრე გაათავებდენ მოლაპარაკებას, მოთმინებიდამ გამოსულმა ამერიკის ფენიანებმა მოასდინეს ერიდობა, რომელზედაც გაჰკიცხეს სტეფენსი, რომელიც ვერ პარიჟში იკრიბებოდა და მასუკან ლონდონში, გადასწყვიტა რომ ინგლისის სხვა-და-სხვა ქალაქებში ეოთი მუშა ირლანდიელები უნდა შეეკრიბიენენ დანიშნულს დღესა და დასცემოდენ ჩესტერის არსენალს იარაღის ასაკლებად. მაგრამ მთავრობამ წინათვე შეუტეო დანაპირები და ფენიანებმა ვერ ასრულეს თავისი მოწადინება. კლიუზრემაცა ნახა, რომ შეიარაღებელ და დაუმზადებელ ხალხით ვეღარას ვაწყობდა ინგლისის ვარის წინააღმდეგ, დანება თავი ფენიანებს. ამათ მაინც არ დაიშალეს თავისი და 5 მარტს 1867 წ. რამდენსამე ადგილს ერთად აჯანუდა ხალხი, მაგრამ პოლიციელებმა მალე დაამშვიდეს. მმართებლობამ რამდენსამე დაიმნაშავეს სასტიკი დასჯა გადაუწყვიტა, და შემდეგ ამათაც აპატიეა.

ასე დასრულდა ფენიანების შეთქმულობა. წადილი მხურ-

ვალე ჭქონდათ და ცოდნა, გამოცდილება და სერხი კი ნრა-ფერი.

მაშ რომელს პოლიტიკურს პარტიას დარჩა დღეს ირ-ლანდიის ბედ-იღბალის ხელმიწ წარმატება?

„ახალის ირლანდიის“ მოთავენი 1848 წლის დამარცხე-ბას შემდეგ დაბრუნდენ თავის სამშობლოში და ეტიერო მოძე-ტებულის გულ-მოდგინებით შეუდგნენ ირლანდიის კეთილ-დღეობისათვის მოღვაწეობას. ფენიანების შეთქმულობის დამ-ხობის შემდეგ, „ახალის ირლანდიის“ პარტიის მომხრეების რიცხვი ეოველ-დღე მატულობდა. მათ გაზეთსა „Nation“ და ფენიანების გაზეთს „Irish people“ შორის გამუდმებული ამბოხება იყო, შესახებ ამ ლონის-ძიებათა, რომელიც უნდა ეხმარნენ პატრიოტებს თავის პოლიტიკურს მოქმედებაში. დღი-მი-დღე ნაციონალისტებსა და ფენიანებს შუა განხეთქილება მატულობდა.

მეგრამ შეხედეთ, გამოცდილებამ და სწავლის გავრცელე-ბამ ხალხში, როგორ მოაწია მათი პოლიტიკური ჭაბრიკანე-ბა (ტაქტი)! როდესაც საერთო საქმე ჭქონდათ ეველა ირლან-დიელებს ინგლისის წინააღმდეგ, ორივე პარტია მაშინვე იყენ-ებდა შინაურს უთანხმობას და როგორც ერთი კაცი უგებდა პასუხს საზოგადო მოწინააღმდეგეს. ფენიანების ინგლისელე-ბისაგან შეურაცხყოფა ნაციონალისტებს თავის-თავის შეურაცხ-ეოფად მიაჩნდათ და გამოდიოდენ მათ მაგიერ მოპასუხედ. — რა უნდოდათ ნაციონალისტებს (სმით ო' ბრაიენის პარ-ტიას)? მათი პროგრამმა საქვეყნოდ იყო გამოცხადებული: საგანგებულოს �rosobis (მაიორატის) კანონის გაუქმება, *)

*) მაიორატი — კანონია, რომლის ძალითაც მებატონეების მამე-

რომლის ძალითაც დიდრონი მამულები თითო კაცის ხელში რჩებოდა; ასალი პირობების დადგინება სიზნებსა და მებატონეების შორის; მიწის განაწილება გლეხებში; ერთის სიტყვით მიწისა და სარწმუნოებათა თავგასუფლება.

ამ მიზნის ასრულება ნაციონალისტებს ბრიტანიის პარლამენტის საშუალობით უნდოდათ. მაშ ესლა საქმე იმაში იყო, რომ ამ პარტიას პარლამენტში ბლომად მომხრეები ეშოვნათ და მათის დახმარებით გაეყვანათ სასელმწიფო კანონ-დებულებაში თავისი მოწადინებული რეფორმა. ამ ნაირად პოლიტიკურის გამოცდილებით ნასწავლი ირლანდიელები იდუმალ საზოგადოებათა შემწეობას კი ადარ ელოდენ, არამედ საქმეს ნოდ და აშკარად მოქმედება შრჩიეს.

1870 წელს მაისში ირლანდიელი პატრიოტები შეიყარნენ ირლანდიის სატახტო ქალაქს დუბლინს, რომ შეედგინათ საერთო პოლიტიკური პროგრამმა. ამ საქმეში ირლანდიელებს შორის ადარ იყო გარჩევა; კაცოლიკებმა, გლეხებმა, კათოლიკებმა, პროტესტანტებმა, ნაციონალისტებმა, ფენიანებმა — ყველამ ერთნაირი საზოგადო პროგრამმა დაადგინეს. კრების ორატორებმა სსვათა შორის წარმოსთქვეს: „ჩვენ ხნგლისისაგან არც ძალით გადგომა გვინდა და არც მშვიდობიანი გაცალკევება. ეს კარგად იცოდეს ქვეყანამ. მაგრამ ჩვენ ხმა-მაღლივ ვამბობთ, ჩვენთვის ძალიან საკვნებელია, რომ მთელი დიდ-ბრიტანიის სახელმწიფოსათვის ერთად-ერთი პარლამენტი იყოს. ნუ დავარღვევთ ინგლისთან ერთობას, მაგრამ ნურც იმას მო-

---

ლი. არ უნდა გაუოფილიყო მემკვიდრეების შორის და მხოლოდ საგვარეულოში, ვინც ყველაზედ პირმშო იყო, სულ მთლად იმას უნდა დარჩენოდა.

ვრთმენთ, რომ ჩვენი საკუთარი შინაური საქმეები ლონდონში ირჩევოდნენ.“

კრებამ ერთ-ხმით დაადგინა შემდეგი გადაწყვეტილება: „კრება იმ რწმენებისაა, რომ წამდვილი წამალი ირლანდიის ტკივილებისა ადგილობრივის პარლამენტის დაარსებაა, რომელსაც უნდა სრული უფლებანი ჰქონდეს ირლანდიის საკუთარს საქმეებში.“

ამ ახალ პარტიამ დაირქვა ახალი სახელი „homerule“ („ჰომ-რულე,“ ავტონომიის ანუ თვით-მმართველობის მსურველნი).

1874 წ. უცებ დაიშალა ბრიტანიის პარლამენტი და ახალი დეპუტატები უნდა ამორჩეულიყვნენ. ჰომ-რულები არ იყვნენ დამზადებულნი ახალის არჩევანისათვის, მაგრამ 103 ირლანდიელს დეპუტატებში ინგლისის ახლად ამორჩეულ პარლამენტში 60 კაცი ჩაინც მათი მომხრე იყო. ამას აქეთ ირლანდიის პატრიოტებმა თავიანთ წადილის მისაღწევად პარლამენტურის წესით მოქმედება არჩიეს. თვით ინგლისის ლიბერალურ დეპუტატებს შორის მრავალი მომხრე ამოჩნდა ირლანდიელების წადილისა. მაგრამ პარლამენტის უმეტესობა და ნამეტნავად პალატა ლორდთა არავითარს ყურადღებას არ აქცევდა მათს საქმეს. ეს იყო მიზეზი, რომ ამ უკანასკნელს დროს ჰომ-რულებს შუაჯ ახალი განუოთვილება შესდგა, რომელსაც ობსტრუქტივისტები (დამაბრკოლებელნი)*) დაარქვეს. მათ დას-

*) ინგლისის პარლამენტში წესად არის დადებული, რომ ვიდრე რომელსამე საგანზედ ყოველივე დეპუტატი, რომელიც კი ლაპარაკს ისურვებს, არ წარმოსთქვამს თავის აზრს, ამ საგანზედ სდა ვერ მოისპობა.

დვეს თავის მიზნად, რომ აქამდის ებრეოლებინათ ინგლისის პარლამენტში სხვა საქმეების გარჩევა, ვიდრე არ მოაქცევინებდენ ირლანდიის საქმეებზედ უურადღებას. მართლა და ირლანდიის მდგომარეობა პარლამენტის სრულს უურადღებას მოიმოსოვდა. უწესური დამოკიდებულება მებატონებსა და ხიზნებს შუა არ მოისპო. შარშან ოქტომბერში ირლანდიაში რამდენსამე ადგილს შეტაკება მოხდა ბატონებსა და ხიზნებს შორის. მას აქეთ ამ მღელვარებამ იმატა და ესლა ინგლისის პარლამენტმა არ იცის, როგორ დაამშვიდოს ეს შფოთი. ბითქმის მთელი ირლანდიის ხიზნები უარს არიან, რომ მისცენ მებატონეებს გადასახადი, საქმე ჯერ არ გათავებულა. ინგლისის პარლამენტში ამის შესახებ დიდი განხეთქილება სუფევს. შემდეგ სტატიაში განვიხილოთ ეს უკანასკნელი ირლანდიელების მოთხოვნილება, ინგლისის პარლამენტი, რომელიც მებატონეებისა და მდიდრების ვაჭრებისაგან არის შედგენილი, ოკუელთვის ირლანდიელ გლეხ-კაცობის საძართლიან მოთხოვნილების წინააღმდეგი იყო. აბა, რას ეტყვის ეს პარლამენტი ირლანდიელების «ფაკტიკურს ძალას», 103-ს ესლა საბრძოლად კარგა დარაზმულს და მტკიცე პოლიტიკურ პროგრამმის მქონე ირლანდიელ დეპუტატებს.

ნ.

შინაური მიმოხილვა.

რუსეთი და მისი საპოლიტიკო საგანი—სახელმწიფო და ეროვნობა—მოხელეთა ერთგულება—სახელმწიფო ერთობას არ უშლის არც რჯულის და არც ენის სხვა-და-სხვაობა.—ეროვნობის საქმე რუსეთის ლიტერატურაში—Вѣстникъ Европы და მისი წერილი Восточная политика и обрусѣніе.—ახალი მოძრაობა აზრისა ეროვნობის შესახებ—სპასოვიჩი 2-ს თებერვალს—იქ უფრო ბნელა, საცა ნათელი გვეგულება.—სამოსწავლო გეგმა ბ-ნ იანოვსკისა—ახირებული დასკვნა—ერთის თქმა და მეორის ქმნა.

რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვა-და-სხვა ტომისა და ენის ერნი ჭსცხოვრებენ და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა და შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვა-და-სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში საკუთარითად და მერე რაგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან. დიდი სანია მოსალოდნელი იყო ყველა ფეალ-ახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფერიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგძით და სიგანით წინ აეუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეჭიერსდებოდა. ყველას უნდა წინასწარ ჭსცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალ რუსეთი იძულებულ შეიქმნებოდა, დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვ-

ნობისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეკრბოდა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორ-მხედველობა დამკვიდრის ჭკუისა, არამედ თვითონ სახელმწიფოს პირ-და-პირი ინტერესიც. თუ რამ საძდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩიგილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ კრებულის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა და ერთვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულხელ-დაკრეფილი იყო და ხმა-ამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედა-აზრი მასზედ—თუ სად თავდება უფლება ერთვნობისა და სად იწყობა სახელმწიფოსი.

მოხელეობა, რომელიც ხშირად მოკლებულია არამც თუ საზოგადო დედა-აზრებს, არამედ უმეცარია იმისიც, რაც ხშირად ბეიქრად, თუ საგნად აქვს უმაღლესს მთავრობასა,—ამ უდიდესს საგანს ისე ეპყრობა, როგორც მისი ქვეშევრდომი. ეგონა რომ ერთვნობის დეკნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მოქმედის კაცისა, საჭირო სახელმწიფოს წარმატებისათვის და თვითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მცდელია. ამ მხრით არავის ისეთი ვნება არ მოუტანია რუსეთისათვის, როგორც თავის ქვეშეგზედ მოარულთ მოხელეებსა: ორგულობას შვრებოდენ და ერთგულობად კი მიაჩნდათ. და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაც ჰსდებდენ. მათის მოქმე-

დების შემდეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებული იყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილ-დღეობა და წარმატება.

რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი სელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელსამე მოხელის სელს ამ შემთხვევაში აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, სადაც ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენო. უგუნურება ამ აზრისა ცხადია. იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების სხვა-და-სხვაობასაც ამასავე ჭსწამობდენ. იყო დრო, როცა ჭფიქრობდენ, რომ იქ, სადაც ერთისა ლ იმავე სახელმწიფოს ერნი სხვა-და-სხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვა-და-სხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირს საძირკველიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის. მოვა დრო და გვგონია დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრძანიცა და თვალ-ხილულნიც ამბობენ ერთხმად. მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალად-მაცხონე მოხელეებიც კი დაინახვენ, რომ ჩვენს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისის დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განამტკიცდეს.

რომ ეს აზრი თან-და-თან ფეხს იდგამს, და ფერთასა ჭშლის თვითონ რუსეთშიაც, ამას გვიმტკიცებს თვითონ რუ-

სეთის ლიტერატურაცა. პირველი მესვეური ამ საქმეში იყო და არის რუსული, ყველაზედ უფრო ბეგა-დამგდარი ყურნალი «Вѣстникъ Европы», რომელმაც ეროვნობის დეენას წინააღმდეგ საფუძვლიანად ხმა ამოიღო. სხვათა წერილთა შორის დავასახელებთ ერთს საბუთიანს წერილს, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „Восточная политика и обрусѣніе.“ თუმცა ამ წერილში არ არის განსაზღვრული ეროვნობის და სახელმწიფოს საძოქმედო მოედანი, თუმცა არ არის ნაჩვენები სად უნდა დაიდვას ამ ორთა შუა მიჯნა, მაგრამ აღიარებულია, რომ ეროვნობის უფლებას სახელმწიფოში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, თავისი ცალკე მოედანი ეჭიროს. მას შემდეგ რუსულს ლიტერატურაში კანტი-კუნტად ისმოდა ხმა იმავე საგანზედ, მაგრამ ერთ-სელ ასე თუ ისე გაფანტული ჩართული აზრი უნაყოფოდ არ ჩაუგლის ხოლმე ადამიანს. ამ აზრმა იარა, იარა და ამ ჟამად ბოდენად მომწიფდა, რომ თითქმის ყველა, დაწინაურებულმა ყურნალ-გაზეთობამ რუსეთისამ ამ აზრს მიაქცია თავისი განათლებული ყურადღება. „Молва“. „Порядокъ“, „Голосъ“, „Вѣстникъ Европы“, „Слово“ და თვითონ, ყველაზეერში ეგრ ჩამოარჩიეთ, «Петербургскія Вѣдомости»-ც კი ამ საგანზედ ბჭობენ და ლაპარაკობენ და ესენ შორის ერთიც არ არის, რომ არ ჰქადაგობდეს ეროვნობის უფლების აღდგენასა ასახელმწიფოში, რაგორც ენის შესახებ, ისეც შესახებ შინაურის საქმეების გამგეობისა. არამც თუ მარტო ლიტერატურაში, არამედ ლიტერატურის გარეთაც, ასოციაციებში ისმის ეგეგე ხმა და ეფცელდება ეგეგე აზრი რუსეთის ეგეგეთა წარმომადგენელთა მეოხებით.

ბ-ნ ასპასოვიჩის სიტყვას, თქმულს ამ საგანზედ თერიდიგულ სოზოგადოებაში 2ს თებერვალს, ასეთი ზედ-მოქმედება

მოუსდენია მსმენელებზედ, რომ ტაშის-კვრას ბოლო არ ჰქონია. ცხადი ნიშანია, რომ თვითონ რუსეთის საზოგადოებასაც შეუთვისებია ეს მოხელეებისაგან დეკნული აზრი. სპასოვიჩს უთქვამს, რომ საჭიროა სამართალი იმ ენაზედ ჰსწარმოებდეს, რომელზედაც თვითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნობა, როგორც თვით საწმუნოებაცა პირადი, გრძნობაა. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვა-და-სხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო. «თქვენი სელმწიფეებ», უთქვამს სპასოვიჩს, დაამკვიდრეთ თქვენის კულტურითა და კეთილის გამგეობითა, და მაშინ სელმწიფეებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება რაო. რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა ისე დაიპყრა ერნი, რომ მათთვის პირიდამ ენა არ ამოუგლეჯნიაო.» რუსეთის ლიტერატურის და საზოგადოების უკეთესნი წევრნი აღტაცებით და დიდის ქებით მიეგებნენ ამ სიტყვას, რომელიც ჩვენ ესე მოკლედ მოვიყვანეთ.

ამ სახით ეროვნობის საქმე რუსეთში ეხლა იმ მორიგ საგნად გახდა, რომელსაც რუსეთის დაწინაურებული საზოგადოება, თავისის მწერლების და ოდვაწეების შემწეობით, წინ უყენებს მთავრობასა განაჩენის დასადგენად ეროვნობის სასარგებლოდ. თუმცა ჯერ მარტო ენის თაობაზედ არის ლაპარაკი და სხვა მხარეს ეროვნობის საქმისას ბეჯითად არ წაჰსწიდებიან, მაგრამ ენის შესახებაც ვსდავთ, რომ რუსეთის აზრმა ეროვნობის საქმეში ერთის ბიჯით კიდევ წინ წადგა ფესი. წინად ენის უფლების აღდგენას მარტო სკოლის საქმეში თხოულობდენ და ეხლა ეგ აზრი იმოდენად განვითარდა და გაიკვლო,

რომ ერის შინაურ საქმეთა წარმოებასა და გამგეობაშიაც ითხოვენ.

აქ საკვირველი ის კი არ არის, რომ ეროვნობის საქმემ ეგრე სამართლიანად თავსი მოიკიდა და მომსრეობა მისი გავრცელდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებაში. ეს დღესა თუ ხვალ განათლებას უსათუოდ უნდა მოეხდინა. ამისათვის მარტო სანი და დრო იყო საჭირო, რომ ჭკუა-გონება გაზდილიყო, ასაკში შესულიყო. ჩვენ მარტო ის გვიკვირს რომ იგი წრე რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც სწავლა-განათლების მიმდინარეობაში განათლების ლამპარი და წინამძღვარობა ხელთ უპყრია, სწორედ ის წრე ყველაზედ მეტად და ხან-გრძლივ ეურჩებოდა და დღესაც ეურჩება მას, რაც განათლებას ეგრე აუცილებლად დღესა თუ ხვალ უნდა ზედ-მოჰყოლოდა. ეს ისე ცხადად და თვალ-საჩინოდ არსად არ აღმოჩენილა როგორც რუსეთის იმპერიის განაპირებულ ადგილებში, სადაც ენის თაობაზედ სკოლის საქმეში წაჯეგ - უკუჯეგის თამაშობა გამართეს სწავლა-განათლების მოხელეებმა. დიდხანს ითამაშებენ კიდევ ამისთანა სასაცილოს თამაშს თუ არა, ეგ ჯერ ღმერთმა იცის.

აქ უნდა შევწუვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწუვეტინებენ. ახლა იქნება მკითხველმა მკითხოს: ან ეგ რაცა ჭსთქვი, რადა ჭსთქვიო. რადა ვჭსთქვი!... პირველი, იმიტომ-რომ ენა ცოტად მექაკებოდა, მეორე, იმიტომ-რომ... მეორეს კი უკაცრავოდ, ვერ მოგახსენებთ და იცით რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ ჩვენც თვითონ არ ვიცით ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც უკელაფერი ოთხკედელ - შუა თავდება ჩვენში. ამას კი ვიტყვით, — ამ წერილს თირკმელები განგებ ამოკაცალეთ და შუა წელი გამოგს-

ჯერით რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა. საკვირველი დრო ეს ჩვენი დრო. იტყვი რასმეს, მაშინვე პირში მოგვარდებიან, რად ამბობ და არ იტყვი კიდევ, გიკიჟინებენ, რატომ არას ამბობ. აი ამაზედ არის ნათქვამი: გავიქეცი ქარიანი მქვიან და დავდგები—ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთი-სოფელსა.

ნუ თუ იმაზედაც ბოდიშის მოხდას მომთხოვთ, რომ «შინაურ მიმოხილვას» დაგპირდით და ლაპარაკი კი გარეულზედ გაგიბიო. მაგრამ თუ ის საგანი, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი, შინაურ საქმედ არ მიაჩნია მკითხველს, მაშინ მგონია ბოდიში თვითონ მკითხველმა უნდა მოიხადოს ჩვენის ქვეყნის წინაშე და წინადვე გულ-დადებით დაჯერებული იყოს, რომ თავს ვერას გზით ვერ იპატიებს. შინაური საქმეა, ბატონებო, მერე ასეთი, რომ მაგ საქმეზედ არის დამოკიდებული იმისი პასუხი, რასაც ჭამლეტი თავის-თავსა ჰკითხავდა: ყოფნა, თუ არ ყოფნაო...

თუმცა შორი-შორს სიტყვა კია, მაგრამ ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ. ბატონმა იანოვსკიმ, რომელიც სწავლა-განათლების წინამძღვარია ჩვენს ქვეყანაში, ხომ მოგეხსენებათ, თავისი დედა-აზრი გამოაცხადა საერო სკოლების შესახებ და აღძრა სწავლების ენის თაობაზედ ბასი, თუმცა კი აქ საბაასო არა იყო-რა. მეცნიერებას ეგ საქმე დიდი ხანია გაურჩევია და თავისი უტყუარი განაჩენი დაუდგენია. ესლა ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი პატარა დაბეჭდილი წერილი*). ღირს-საცნობი წერილია, ჯერ იმითი, რომ დამტკი-

*) Объ учебномъ планѣ начальной школы въ средѣ туземнаго населенія и о постановкѣ въ ней русскаго языка.

ცებულია და მეორე იმითი, რომ დღეის ამას იქით საერო სკოლის საქმემ იმ გზაზედ უნდა იარეს, რაც იმ წერილშია ნაჩვენები და აღნიშნული. ბატონი იანოვსკი ამ წერილში ბძანებს, რომ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ბავშვები სამსა და ოთხს წელიწადში ძღიავს სწავლობენ კითხვას, წერას, ოთხს პირველს მოქმედებას არითმეტიკისას, მოკლე კატესიზმოს და სამღვთო წერილსა, *) ამიტომაც... ამატომაც ჩვენში რუსულის ენის სწავლებას საღდა მოასწრობენ, იტყვით თქვენ. რა ვუყოთ რომ იტყვით? თქმა ყველაფერისა შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, თქმულში ლოღიკაც იყოს და ამაზედ ვინა ბძანდება უკაცრაოდ, თქვენა, თუ ჩვენა, არ ვიცით. ეს კი ვიცით, ჩვენს საერო სკოლას გარდა იმისა, რაც მისი პირდა-პირი საქმეა, ერთი ტვირთი კიდევ მოუმატეს. განა არ იცით, რომ ვინც ერთს თვუთს ძღიავსა ჭაზიდავს, იმას მეორე თვუთიც რომ ზედ დაადოთ, უფრო სუბუქად ივლის!

ზემო თქმულს წერილში ერთი ყურადღების ღირსი აზრიც არის გაუკანილი ბ-ნ იანოვსკის სასკოლითა, სასკოლდობრ ისა, რომ საერო სკოლის მესამე განყოფილებაში სწავლება უფრო უმეტესად რუსულს ენაზედ უნდა მიდიოდეს. ეს

Протоколъ засѣданія попечительскаго совѣта Кавказскаго учебнаго округа 12 Декабря 1880 г.

*) რადგანაც ამათ გარდა საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე მოკლე ისტორიის, გეოგრაფიის და სამშობლოს შესწავლაც არის, მაშასადამე საერო სკოლას სამსა და ოთხს წელიწადში ბ-ნ იანოვსკისავე სიტყვით, თავისი ნახევარი საქმეც ძლივს შეჭსძლებია. დიამც იყოს ის რაც «დროებამ» თავის პასუხში მოახსენა ბ-ნს იანოვსკის, ამ საბუთით ამბობდა «დროება», რომ აქაურ საერო სკოლებისათვის სამის წლის კურსით, რუსულის ენის დამატება მეტი საპალნეაო.

უბძანებია ბ-ნს იანოვსკის 12 დეკემბერს, Попечительскій совѣтъ-ს, რასაკვირველია, მიუღია და 22-ს დეკემბერს თვითონ ბ-ნს იანოვსკის წარუდგენია და მთავრობისაგან დამტკიცებულა. იგივე ბ-ნი იანოვსკი 28 დეკემბერს გაზეთს „Кавказъ"-ში № 348 ამბობს: „ოთველს კეთილად განწყობილს პირველ-დაწყებითს სკოლაში სწავლება უნდა მიდიოდეს უფრო უმეტესად დედა-ენაზედაო". ამას ამბობს საზოგადოდ და მესამე განყოფილების შესახებ არა ჭსცვლის ამ თქმულსა, მხოლოდ უმატებს, რომ რუსულად წაკითხული სტატიები დედა-ენაზედ არც უნდა ითარგმნებოდეს ამ განყოფილებაშიო, და საგნები და სტატიები შესწავლული დედა-ენაზედო, რუსულადაც უნდა ითქვასო. აქედან ის გამოდის, რომ 12 ⁄ 22-ს დეკემბერს უპირატესობა საერო სკოლის სწავლებაში, მესამე განყოფილებაში მაინც რუსულ ენას დარჩენია და 28-ს დეკემბერს კი—დედა-ენასა. რომელი ერთი ვიწამოთ? რასაკვირველია, 12 და 22 დეკემბრის განჩინება, რადგანაც იგი თქმულიც არის და შეკვე ქმნულიცა და 28-ს დეკემბრისა კი,— მარტო თქმულია და „Кавказъ"-ის № 348-ში დარჩება სასსოვრად იმისა, რომ ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე.

რომ არევ-დარევა ზრებისა არავინ დაგვწამოს, ამ ორსავე საქმეს ბ-ნ იანოვსკისას ქმნულსა და თქმულსა, რუსულადვე ამოვსწერთ ერთმანეთის პირ-და-პირ.

ქმნული 12 და 22 დეკემბერს	თქმული 28-ს დეკემბერს.
«И наконецъ, въ III отдѣленіи преподаваніе должно вестись *преимущественно на ру-*	«На основаніи этихъ положеній, въ каждой благоустроенной начальной школѣ преподаваніе должно быть ведено *преимущественно на родномъ языкѣ.*

скомъ языкѣ съ переводомъ всего изучаемаго на этомъ языкѣ на родной.»

მეს შემდეგ:

Въ третьемъ отдѣленіи учебныя занятія продолжаются при такомъ же распредѣленіи числа уроковъ на родной языкъ и русскій, съ тѣмъ чтобы статьи, читаемыя на русскомъ языкѣ, были излагаемы и на родномъ языкѣ, и чтобы предметы и статьи, изучаемые на родномъ языкѣ, излагались, по возможности, и на русскій.

ესე, ჩემო მეგობრო,
ხან ასე და ხან ესრეთ.

ორიოდე სიტყვა ბ.—თ—მ—ის სტატიის „შარ-შანდელ რუსეთი“-ს თაობაზედ.

(წერილი რედაქციისადმი).

წელს „ივერიის“ პირველს წიგნში დაბეჭდილია სტატია «შარშანდელი რუსეთი». ის საგანი, რომელსაც ავტორი შესება, სწორედ ღირს-შესანიშნავია და ამისათვის მეც ჩემის მხრივ მსურს წარმოვსთქვა ჩემი აზრი ამავე საგანზედ და მით შემლებისა-მებრ ავტორის აზრი შევავსო. ეს იმიტომ უფრო საჭირო, რომ ჩვენს ყურნალ-გაზეთობაში, თუ არა ვცდებით, ამ საგანზედ პირველად არის ლაპარაკი და ამის გამო საზოგადოებისგან იგი ნაკლებად ცნობილია.

უმთავრესად ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას რევოლიუციონერების პარტიის მოქმედებას, მის გაძლიერებას და მასთან მთავრობის ბრძოლას რუსეთში. ჯერ-ჯერობით ვრცლად და გარკვევით ცოტა რამე თქმულა ამ საქმის შესახებ თვით რუსულ ყურნალ-გაზეთობაში, თუმცა კი, რუსეთის პუბლიცისტებიც, და ბ. გ.—თ—მ-იც ერთ-ხმად ღაღადებენ და გვარწმუნებენ, ვითომც რუსულს ლიტერატურას ამოდენა თავისუფლება არასოდეს არ მინიჭებოდეს.

შორიდგან არ დავიწყებ ამ საქმის განხილვას, არ შევუდგები რუსეთის ისტორიაში რევოლიუციონერთა პარტიის ფესვების ძებნას; მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბ. თ—

მ—ი თუმცა მოსწავლე ახალ-გაზდობის ნამდვილს მდგომარეობას გვიხატავს მინისტრ ტოლსტოის ხელში, მაგრამ ის სცდება, როდესაც ახალ-გაზდობის ამ გვარს მდგომარეობასა სთვლის რევოლიუციონერთა პარტიის დაბადების ერთად-ერთ მიზეზად. რასაკვირველია, ამასაც ჭჭონდა გავლენა საქმეზე, მაგრამ მიზეზი უფრო ღრმად უნდა მოიძებნოს. მე მაქვს მხედველობაში სოციალისტების მოქმედება მხოლოდ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში, ე. ი. 1870-დგან 1881-მდე. ეს ათი წელიწადი სწორედ შესანიშნავია და რუსეთის ისტორიკოსი მომავალში ამ ეპოქის განხილვის დროს, არა ერთხელ ნაღვლიანად დაიჭერდება, ვიდრე მასზედ თავის უკანასკნელს სიტყვას წარმოსთქვამდეს. ეს მღელვარე ეპოქა განუცხრომელის, გამწარებულის ბრძოლის დროა.

1870 წლის შემდეგ ახალ-გაზდობაში გავრცელდა ერთი მიმართულება, რომელსაც „სოციალური" დაერქვა. მიმართულების მომხრენი უარ-ყოფდენ საკუთრებას, მოვრობას, წოდებათა განსხვავებას, ერთის სიტყვით აწინდელ სახელმწიფოდ საზოგადო წყობილებასა. ჯერ-ჯერობით ახალ-გაზდობამ ეს თეორია შეიმუშავა მხოლოდ სიტყვიერად და მასუკან საქმითაც შეუდგა მის განხორციელებას. ახალ-გაზდობამ თავის აზრის შესასრულებლად რუსეთში მხოლოდ ერთი გზა იპოვა: ეს გზა იყო: მდაბალს ხალხში წასვლა, ხალხში მოქმედება, და თავის დადა-აზრის გავრცელება. უმეტესს ნაწილს ამ ახალის პარტიისას შეადგენდენ არა გზა-შეკრული ყმაწვილები, რომელნიც საშუალო სასწავლებლებს ვერ გადასტილებოდენ. ეს ცხადია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რა მტირე ცოდნას აძლევს და რა მტირედ უხსნის გონებას ყმაწვილს ეხლანდელი საშუალო სასწავლებელი. საქმის დამწყობ სოციალისტებისთვის

კი ცოტაოდენი ნიჭი და ცოდნა მაინც იყო საჭირო. მერმე, როდესაც სოციალურმა მიმართულებამ გზა გაიკაფა სხვა-და-სხვა წრეში, რევოლიუციონერთა შორის ჩვენ ხშირად ვხედავთ უბრალო გლეხს, ქარხნის მუშას, კურს შეუსრულებელ გიმნაზიის შეგირდს, ჯარის-კაცს და სხვას. მოთავე სოციალისტები გამოდიოდენ უფრო უმაღლეს სასწავლებლიდამ. ესენი ჯერ არა ხმარობდენ არც რევოლვერს, არც ხანჯალს, არც დინამიტს; მათი იარაღი იყო მხოლოდ წიგნების გავრცელება და სიტყვიერი ქადაგება. ამ მიმართულების მიმდევართ ჩაიცვეს გლეხური ტანისამოსი, დასტოვეს თავისი დედა-წრე, რომელიც მათ გარეგნილად მიაჩნდათ და წავიდნენ ხალხში, მასთან ჭირისა და მწუხარების გასაყოფად და თავიანთ აზრების გასავრცელებლად. იგინი არ ფიქრობდენ არც ქონების და სიმდიდრის შეძენას, არც სასელის განთქმას. თავიანთ მტრის მოკვლა იმათ მხეცურ მოქმედებად, მათის საქმის დამაბრკოლებლად მიაჩნდათ. ისინი ამბობდენ: ეს ცუდი ნაყოფი მოაქვს; ამ ნაყოფის მოსასპობლად მისი მოწყვეტა და გასრესა საკმარისი არ არის, რადგანაც გაისს კიდევ ამ გვარსავე მაგნე ნაყოფს გამოიღებსო; ხის ძირიანად მოთხრაა საჭირო.

ამ მიმართულების მომხრენი უბრალო ხალხს უყურებდენ, როგორც მტარვალებისაგან დაჩაგრულს უმანკო ქმნილებას, რომელსაც ვითომ ადვილად შეეძლო მათის ქადაგების შეთვისება. ეს მიმართულება სწორედ იდეალური იყო და არსებობდა ხუთს-ექვსს წელიწადს. მმართებლობამ მალე დაუწყო დევნა ამ მიმართულების მომხრეთა. როგორც ძველა-მოსილმა მოპირდაპირემ მოჰბუტა და გაჰფანტა სოციალისტების უმრავლესობა; დასძლია და შეასუსტა რევოლიუციონერების რაზმები. თუმცა მმართებლობამ სასტიკი ზომე-

ბი კი იხმარა ბრძოლაში, მაგრამ თავ-და-თავ მიზეზებს უცბად ვერ მიხვდა და მხოლოდ უფრო გააგრძელა, გაამნელა ბრძოლა. ხშირად იგი ერთის წიგნის გარდაცემისათვის, რადენიმე სიტყვის თქმისათვის, კაცს საუკუნოდ სჯიდა, მომავალს უსპობდა.

რევოლიუციონერების საქმე უკულმა დასტრიალდა: იმათ ვერ შეასრულეს თავიანთი წადილი, ვერ განახორციელეს თავიანთი დედა-აზრი; მათი მოქმედება ფუჭი გამოდგა; მათს აზრებს—ოცნების ფერი დაედო: ხალხი ისე უმანკო არ იყო, როგორც სოციალისტები ფიქრობდენ; არც ხალხის გონება იყო ისე გაკითარებული და გამზედავი, რომ მათი აზრები შეეთვისებინა, ერთის სიტყვით, ცხადი იყო,— ისტორიით დადგენილი ცხოვრების წყობილება რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ შეიცვლებოდა.

ამ დროს სოციალისტები შეჩერდენ, კრიტიკის თვალით განიხილეს წარსული და თავიანთ რაზმები დაათვალიერეს. თუმცა დედა-აზრი არ უარ-ყოფეს, მაგრამ სხვა ღონე მოინახეს მის შესასრულებლად, სხვა პროგრამა დაადგინეს. დაიწყეს მთავრობასთან გამწარებული ბრძოლა; მთავრობაც ფეხზე დააყენეს და მძინარე საზოგადოებაც გამოაღვიძეს. თითქმის სამის წლის განმავლობაში ბრძოლა შეუწყვეტელი იყო; ხანჯალს, რევოლვერს და დინამიტს არ ზოგავდენ; მაგრამ არც მთავრობა ჩამორჩა უკან: ასობით გადაჰკარგა ციმბირში, გამოამწყვდია ციხეებში. ბევრი დახვრიტეს, ჩამოაღრჩეს.

სოციალისტებიც ასე სჯიდენ: თუმცა ხე ძირიანად ვერ ამოგთხარეთ, მაგრამ, ვიდრე ამას შეგიძლებთ, მავნე ნაყოფი მაინც უწყალოდ ვსრისოთო.

რევოლიუციონერებმა გაახშირეს იარაღის ხმარება, დაარსეს თვით რუსეთში რაოდენიმე იდუმალი სტამბა და ბეჭდვიდენ ურიცხვ წიგნებსა და გაზეთებს მთავრობის წინააღმდეგ.

ამ გაცხარებულს ბრძოლას საზოგადოება და ხალხი განცვიფრებით შესცქერდა და არავითარს მონაწილეობას კი არ იღებდა.

ლორის-მელიქოვის უზენაეს კომისიის თავ-მჯდომარედ დანიშვნის შემდეგ ბრძოლა თითქო შესწყდა; თითქო სოციალისტების პარტია მიწასთან გასწორდა. ვარგა ხანია არა ისმის-რა რევოლიუციონერების მოქმედებაზედ . . . . . .

ამ რიგად რევოლიუციონერების მოქმედებაში ორს პერიოდსა ვხედავთ: ერთია—იდეალური, ანუ ოცნებების პერიოდი; მეორე პრაქტიკული, მოქმედების პერიოდი.

ახლა უეჭველია იკითხავთ: რა მიზეზებმა გამოიწვიეს რევოლიუციონერების მოქმედება რუსეთშიო? გ.— თ—მ—. მიზეზს მსოლო ახალ-გაზდობის დაჩაგრულს მდგომარეობაში ჭხედავს. მე დავამტკიცებ, რომ ეს აზრი შემცდარი აზრია.

უმთავრესი და უპირველესი მიზეზი რევოლიუციონერთა პარტიის განძლიერებისა რუსეთში არის თვით რუსეთის ცხოვრების წყობილება, ...

ხალხი უკიდურესს სიღატაკეში ჩავარდა; განთავისუფლების დროს ბელხს მიეცა ცოტა და უვარგისი მიწა, რომელიც საცხოვრებლად არა ჭყოფნიდა. ხალხი მოექცა ორ

ცვლილს შუა: ერთის მხრით ძველი უმეცარი მებატონეები აწუ-ხებდენ და მეორეს მხრით კიდევ უფრო უმეცარი და უფრო უსინიდისო გაიძვერობით გამდიდრებული ქვეყნის მეწამლები (міроѣды, кулаки). ამას მიემატა სხვა-და-სხვა გვარი გადასახადი, რომელიც თან-და-თან უფრო მატულობდა, ხალხის ქონება ვერ აუვიდა ამ გარდასახადს: მრავალს გუბერნიაზედ დღესაც ბევრი გარდაუხდელი რამდენიმე წლის სარჯი ითვლება.

ამ ათის წლის განმავლობაში გახშირდა რუსეთში შიმშილი, მოარული სატკივრები და თან სხვა-და-სხვა სიისლის დანაშაულობანი: ქურდობა, ცარცვა, მკვლელობა, თავის მოკვლა, მოწამლვა, ცოლსების ავანყება.

ხალხის განათლება კი, როგორც ამბობს გ.— თ—მ—. მეტად დაცემული იყო ტოლსტოის წყალობით, რომელსაც „ხალხის გონების დაბნელების მინისტრის“ სახელი უფრო შეშვენის, ვიდრე «ხალხის განათლებისა».

ლიტერატურასაც ოცის წლის განმავლობაში არავითარი თავისუფლება არა ჰქონია. რაღა საკვირველია რომ ლიტერატურაც დამახინჯდა, და სხვა საგანს უფრო გამოეკიდა, ვიდრე ნამდვილს სალიტერატუროს.

მეცნიერებაც შეკიწროებული იყო; საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში რიგიანად გონებას ვერ ასაზრდოებდენ. ერთის სიტყვით, რუსეთში ისეთი დასშული ჰაერი იდგა, რომ სუნთქვა გასჭირდა.

ვის უნდა აეხსნა პირველად ეს შეკიწროებული მდგომარეობა? რასაკვირველია, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ გრძნობა და გონება არ დაჩლუნგებია და რომელიც ცხოვრებას ჯერ არ გაუცვეთია; ეს ნაწილი იყო მოსწავლე ახალი თაობა და მართლაც პირველად იმან გამოაცხადა თავისი უკმაყოფილება.

ამ დროს ევროპაში ორმა რუსის განდევნილმა ემიგრანტმა გამოჭეთინა სოციალური დრაშა, დაჭერა ნაღარა და მოიხმობდა ყველას, ვისაც კი შეეძლო ბრძოლის ველზე გამოსვლა. ისინი ასალ-გაზდობას სხვა-და-სხვა თეორიებს უქადაგებდენ და რუსეთის წყობილებას კრიტიკის თვალითა სინჯავდენ. ამ ორმა სოციალისტმა მიიზიდა უფრო მგრძნობიერი, გამბედავი ყმაწვილ-კაცობა და ასტუდა ბრძოლა.

რუსული ლიტერატურა განცვიფრდა; ჯერ ამ მოვლენის მიზეზები არ გამოკვლია და სოციალისტებს კი ავაზაკობა, ყაჩაღობა დასწამა; ეს საქმის არევ-დარევა ზოგი პოლიციის ბრალიც იყო; მეტადრე ავად-სახსენებელის «მესამე განყოფილებისა».

მართებლობის წინააღმდეგი პარტიები მოქმედობენ ყოველს განათლებულ ევროპის ქვეყანაში; სადაც სხვა პოლიტიკური წყობილებაა, ბრძოლასაც სხვა ფერი სდევს, სხვა ხასიათი აქვს; იქ არა აქვს ადგილი იმისთანა უბედურებას, როგორიც ამ უკანასკნელს წლებში ეწვია რუსეთს.

ვიმეორებ, რომ ლორის-მელიქოვის გამგებლობის დროს

რევოლიუციონერების მოქმედება თითქო შეწყდა, თითქო სოციალისტების პარტია დამარცხდა ბრძოლაში, მიწასთან გასწორდა....

ა. ნა—ლი.

19 იანვარს.

ახალი წიგნები.

დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან. მესამე გადასწორებული გამოცემა. თბილისი. 1881 წ.

ჩვენში წესად არის დადებული, რომ სწავლა-განათლების გამგემ გზავნოს სახელმძღვანელო წიგნები პეტერბურგის სწავლულთა კომიტეტში გასაშინჯავად. სწავლულთა კომიტეტი, რასაკვირველია, გადასცემს სახელმძღვანელოს მცოდნე პირს, და რასაც ეს მცოდნე პირი გადასწყვეტს, უფრო იმას ეთანხმება ხოლმე.

ამ ცოტას სანში ზემოხსენებულს კომიტეტს გარდაუცია რამდენიმე ქართული სახელმძღვანელო ბატ. ცაგარელისათვის, რომელიც უფრო უმეტესად იაკ. გოგებაშვილის ორს წიგნს აქებს: «დედა ენასა» და «ბუნების კარს.» ის აქებს ამ სახელმძღვანელოების სტატიების სხვა-და-სხვაობას, გამართობლობას, მათს რიგიანს განაწილებას; მხოლოდ ენასა და შრიფთსა სდებს წუნსა და ნატვრას. აცხადებს, რომ შემდეგში ამ სახელმძღვანელოების ენა და შრიფთი შეეფერებოდეს მათს სხვა ღირსებასაო.

კომიტეტი დასთანხმებია ცაგარელის აზრს და სწავლის გამგეს ურჩევს ამ წიგნების ქართულ სკოლებში ხმარებას.

სწავლულთა კომიტეტის მოწონებამ იქნება უფრო გა-

ავრცელოს ეს წიგნები, მაგრამ უამრეკომენდაციოდაც პირველად და მეორედ გამოცემული «დედა ენა», თუმცა თვრამეტი ათასი ეგზემპლიარი იყო დაბეჭდილი, ეხლა ძვირად სადმე მოიპოვება გასაყიდი.

ამ დღეებში გამოვიდა მესამედ დაბეჭდილი, გადასწორებული «დედა-ენა.» ეს წიგნი გამოცემულია წიგნის მაღაზიის პატრონის გრიქუროვისაგან 18.000 (თვრამეტ-ათას) ეგზემპლიარად.

დიდ-ძალი რიცხვი წიგნისა და ის გარემოება, რომ გამომცემად ვაჭარი არის, რომელსაც მხოლოდ ვაჭრული ანგარიში მიუძღვის წინ, ამტკიცებს რომ ამ წიგნს ჯერ ბადალი არ გამოსჩენია ჩვენს საუმაწვილო ლიტერატურაში და ამიტომ თითქმის ყოველის მოსწავლე ბავშვისთვის აუცილებლად საჭირო.

რომ ვამბობთ ჯერ ბადალი არ გამოსჩენიაო, ჩვენ იმას თქმა კი არ გვინდა, რომ მართლა ეს წიგნი საუკეთესო რამ იყოს. ბევრი, დიაღ ბევრი წაკლულებანები აქვს. თითონ ავტორი აღიარებს რომ „სასურველი სისრულე და უნაკლულობა წიგნს მხოლოდ მომავალში მიეცემაო.“ უნაკლულობა მიეცემა თუ არა, ეგ ჯერ ვიცით, მაგრამ, ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა „ნაბაძვნი და წათარგმნი“ ლექსები მთლად ერთიანად ამოეშალა შემადგენელს და მათ მაგივრად იმისთანა მშვენიერის ვილოთი დაწერილი ლექსები ჩაერთო, როგორც, მაგალითად, აკაკის „ნატვრა.“

ამავე მესამე გამოცემას მიმატებია რამდენიმე სტატია და ზოგიერთი ორ-სტრიქონიანი ხალხური ლექსები, რომელნიც სწორედ საუნჯეს შეადგენენ ჩვენის საუმაწვილო ლიტერატურისაბვის. ასურველია რომ შემდეგში წიგნს ეფერო ქარ-

თული ხასიათი ჰქონდეს და ეს ხასიათი სურათებსაც გადასდებოდეს, თორემ რასა ჰგავს ქართულს საუმაწვილო წიგნში რუსულის ქოხისა და რუსეთის ქალაქის დახატვა!

სტატიების გადატან-გადმოტანაში მეტად გარჯილა შემადგენელი. მეორე გამოცემასთან ვერარ იცნობს კაცი ამ მესამე გამოცემას. ვინ არ იცის რომ წიგნის ხმარებას კლასში ძლიერ უშლის ეს წიგნების სხვა-და-სხვაობა. სტატიები ისე არეულ-დარეულია, რომ კლასში ორივე გამოცემის ერთად ხმარება თითქმის შეუძლებელია. ეს ამბავი არათერად სასიამოვნოა იმ ბავშვებისათვის, რომელთაც მეორე გამოცემა აქვთ ნაყიდი, და ჩვენში ვისა აქვს შეძლება, რომ ერთი და იგივე წიგნი ორ-ჯერ სამ-ჯერ იყიდოს.

ზოგჯერ ეს გადატან-გადმოტანა საფუძვლიანია, რადგან ძნელი ბოლოს ეძცევა და ადვილი წინ, მაგრამ, ვგონებ, ზოგჯერ თითონ შემადგენელსაც. გაუგირდეს იმის თქმა, ერთი სტატია წინ რად გადმოიტანა და მეორე უკან რად მოაქცია.

სხვათერივ წიგნი ჩინებულად არის დაბეჭდილი; მთელს წიგნში კაცი ათიოდ კორექტურის შეცდომას თუ იპოვის, თორემ მეტს ვერა. თვასიც წიგნისა, ღირსების კვალობაზედ, ძალიან მცირეა — ექვსი შაური, და სასწავლებლებისათვის ეს თვასი კიდევ დაბლა დაწეული.

წყარო, ყრმათათვის საკითხავი წიგნი № 1. ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული. თბილისი 1881.

სწორედ კაი დარი დაუდგა ამ თვეში ჩვენს უმაწვილებს, ორი საუმაწვილო წიგნი და ორივე რიგიანი. პირველს-ადგილს ეტუობა ერთის გამრანდავი ხელი, ერთის რედაქცია, მეო-

რეს თუმცა უდაზედ აწერია «ანთ. ჯულელის რედაქციითაო,» მაგრამ უფრო ერთი ერთმანეთზედ გადაგერებულს სტატიებსა და მოთხრობებსა ჰგავს, რომელნიც ისე განირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედა-მიწა.

ეს წიგნი, როგორც ეტყობა, საზამთრო წიგნია. თუმცა ზამთარში წყარო არც გემრიელია და არც სასიამოვნო, და იმედია საზაფხულო წყარომ უფრო გვასიამოვნოს, მაგრამ ამ საზამთრო წიგნსაც იმდენი ღირსება აქვს, რომ სწორედ კაი შესაწევარია ჩვენის ლიტერატურისათვის.

დავიწყოთ ლექსებიდამ:

ამ წიგნშია ორი სალსური ლექსია: „მამუკა სავანელი“ და „ალზევნის ლექსი.“ ლექსში მამუკა სავანელი სალმრად მიდის დილს მოელის, მეორეში-გუმბრში წასული მარილის მოსატანად სიკვნად გვიამბობს თავის თავ-გარდასავალს. ორივეში სასიკვდილოდ გამზადებულები იგონებენ თავიანთს ოჯახს, ცოლშვილს, დედ-მამას და მარილის ქარხნის ქვეშ დაყოლებული თავის მარჩენელ ნიშა სარსა და შავ-ზაქებსაც არ ივიწყებს:

„ჩემს ნიშა ხარსა შოლტს ნუ მოუქნევთ
და ჩემს შავ-ზაქებს სახრეს ნუ დაჰკრავთ.“

ორივე ლექსში სჩანს ჩვენის გლეს-კაცის განუსაზღვრელი სიყვარული თავის ჯალაბისადმი და ორივეს ბავშვები სიამოვნით წაიკითხვენ.

წმინდა სალსური კილო აქვს აგრეთვე თ. რაფ. ერისთვის ლექსს „ზამთარი,“ პირველი ოთხი სტრიქონი რომ არ უშლიდეს. კილოს გარდა ისეთის ძლიერის და გამომხატველის ენით არის დაწერილი და ამასთანავე ისე ადვილად შესათვისებელია უმაწვილებისაგან, რომ ეს ლექსი სწორედ ფრანტუზები რომ იტყვიან chef d' oeuvre-ია.

დიდი სირცხვილია კორექტორისათვის, რომ ამისთანა ჩინებულის ლექსისათვის უყურადღებობით ლაზათი მოუკლია და არამც თუ რამდენიმე ასო, სტრიქონებიც კი გამოუტეგებია.

არა უჭირს-რა აგრეთვე ნ. ლ—ისაგან რუსულიდამ გადმოთარგმნილს ლექსს; «ყინვა ლ პატარა შეგირდი,» მაგრამ საკვირველია, რად აირჩია მთარგმნელმა იმისთანა ლექსი, რომელიც რუსეთის სრული და გამოუწერელი საკუთრება უნდა იყოს.

ამ პატარა წიგნის მოთხრობებში პირველი ადგილი უჭირავს, რასაკვირველია ლევ. ტაგელის „ქაჯანას.“ ეს მოთხრობა ბავშვების ცხოვრებიდამ და ბავშვებისათვის არის დაწერილი, მაგრამ დიდებისათვისაც კი საინტერესოა. მარტივად და ტოტლად ნაამბობია, პატარა ქაჯანა როგორ შეაშინეს ბავშვებმა, შიშმა ენა როგორ ჩაუგდო, დედამამამ როგორ წაიყვანა წმინდა გიორგის ეკლესიასთან სალოცავად და ხელ-მეორედ შეშინებამ როგორ ამოუდგა ისევ ენა. რასაკვირველია, ყველანი, გარდა შემშინებლებისა, ასე უეცარს მორჩენას წმინდა გიორგის მადლს დაუბრალებდენ...

ერთი უმთავრესი ჭირი ჩვენის ხალხისა არის ცრუ-მორწმუნეობა. ამ გვარ მოთხრობებს შეუძლიანთ შეამტირონ ეს ნაკლულევანება, რადგან იმისთანა ასაკისათვის არიან დანიშნულნი, რომელიც მალე მიიღებს რომელსამე ჩვეულებას და მალე დაიშლის. ცრუ-მორწმუნეობის გამავრცელებელ მკითხავებისა და ქადაგებისათვის ბავშვები კაი მოსავლიან ნიადაგს შეადგენენ, და თუ ეს ნიადაგი იმათ გამოეცალა, ეჭვი არ არის, ადრე თუ გვიან, მოისპობა ჩვეულებრივი ცრუ-მორწმუნეობა და მის მოსპობას შოჰყვება ბევრი სხვა ცრუ-მორწმუნეობის

მოსპობაც, რომელსაც ესლა თავის უღელს ქვეშა ჭეავს ხალხი მოქცეული.

ენა ამ მოთხრობისა სწორედ საუმაწვილოა, მხოლოდ შიგა და შიგ შესვდებით ღრმა რუსულიდამ გადმოღებულს ფრაზებს, რომელნიც ბევრჯელ წაბორძიკებენ ბავშვს კითხვაში. აი მაგალითი:

სიმონა კარგადა ხედავდა, რომ ამ სახელით (ქადანას დაძახებით) მისი დაცინვა ან გაჯავრება კი არ უნდოდათ, არამედ მასში იხატებოდა დაუკავება, ალერსი, სიყვარული მისდამი...

არ არის ურიგო აგრეთვე პატარა ამბავი: „მატლი,“ რომელშიაც ტოტა ბინდ-ბუნდად, მაგრამ მაინც გასართობად, არის მატლის ცხოვრება აღწერილი. დასაწუნი ეს არის რომ ავტორი ისეთის სიყვარულითა სწერს მატლის ამბავს, რომ გეგონებათ, სწორედ ამისთანა კეთილის-მოოფელი ადამიანსა და ადამიანის შრომით მოსულს ნაყოფს არა ჭეავს-რა და ერთის სიტყვასაც არ ამბობს, რა დიდი ვნება მოაქვს ამ ცხოველს. ამ ამბის გვერდით მოქცეული მეორე ამბავი კი: „ანკარა“ მხოლოდ იმისთვის არის დაწერილი, რომ ბავშვებს შეატყობინოს, ანკარა ძლიერ სასარგებლოა, მავნებელ ბუზებსა და ჭია-ღუებსა ჭხოცავსო. სხვა ინტერესი ამ ამბავს არა აქვს-რა.

პირველადვე ვთქვით, რომ ამ წიგნში მოთხრობები შერჩეული კი არა, ერთი ერთმანეთზედ გადაკეთებული არიან მეთქი:

თუ არა გჯერათ, აბა წაიკითხეთ „ქაჯანა“ და მას შემდეგ „დედა და შვილი.“ ვისთვის და რისთვის არის ეს მოთხრობა გადმოთარგმნილი, გადმოკეთებული, თუ გადმომახინჯებული, არ ვიცი. ბავშვებისათვის, ეკლესიაში საქადაგებლად, თუ სამეცნიერო კითედრიდამ წარმოსათქმელად.

ვინ დაუწყებს ბავშვებს ამ ენით ლაპარაკს:

,,ვისაც უნდა ,,ტვირთ-მძიმე უღელიდგან'' ხალხი გამოუშვას, და მისცეს მას თავისუფალი, გონივრული, ზნეობრივი მოქმედება... რომ იგი ევლტოდეს უფრო და უფრო უმეცობესობას, იგი, შვილო, უგუნურის ხალხის ფიქრით, ღირსია სიკვდილისა.''

ან კიდევ.

,,როცა შენ კარგა ისწავლი კაცის აგებულებას, პსიხოლოგიას, ფიზიოლოგიას, მაშინ კარგად მიხვდები, რითი ან როგორ შეიძლება კაცზე მაღლა ასვლა.''

ან თუ არ მოგწყენიათ, ესეც მოისმინეთ:

,,სასუფეველს, შვილო, მოციქული პავლე ესე ხსნის: სასუფეველი ღვთისა არს სიმართლე, სული-წმიდის სიყვარული (რომაელ 14 17)'' და სხვ.

აი ბაასის ნიმუშიც:

,,ცოტა სიჩუმის შემდეგ სიმონა ეუბნება:
— სწორედ შენ როტვაში ხარ?!
— ე. ი. ნამდვილ სინამდვილეში.''

არ გეშინიათ ბატონო მთარგმნელო,— ბავშვსაც კი იმდენად გაუჭრას ენამ, რომ თქვენის თარგმანის წაკითხვის შემდეგ, პირველი კითხვა თქვენვე მოგმართოთ.

ანთ. ჯუღელი დიდის მადლობის ღირსია ამ ლაზათიანის წიგნის გამოცემისათვის, მაგრამ უფრო მადლობის ღირსი იქნება, ერთი რჩევა რომ ასრულოს. ის ბეკრს იღვწის წიგნების გამოცემისა და გავრცელებისათვის და კარგი იქნებოდა მხოლოდ ამ ასპარეზზედ მოქმედება ეკმარა, ეოთვილიყო ,,წყაროს'' გამომცემად და რედაქტორობა კი უფრო მარჯვე კაცის ხელში ჩაეგდო, თორემ აბა ვინ რას იტყვის მისი მოწინავე სტატია რომ წაიკითხოს. ეს მოწინავე სტატია გასლავთ, ერთის შეგირდისაგან მეორესთან მიწერილი, რომელ-

შიაც მიმწერი ერთს „წყაროში“ დაბეჭდილს ლექსზედ ამ-ბობს, მშვენიერი რამ არისო და უმატებს: ამის შემდეგ ოს-ტატმა მატლზე წაიკითხაო, მშვენიერება რამ არის ესეცაო.

იქნება მატლის ამბავი მშვენიერება რამ იყოს, მაგრამ, ასე აშკარად თავის-თავის ქება მშვენიერება რამ არის, თუ არა, რა მოგახსენოთ.

ან როგორ მოგწონთ ზემოხსენებულს წერილში ნათქვა-მი აზრი:

ოსტატმა გვითხრა: „აიუვანე რამე მწერი, გასინჯე და გაათავე. ამ გვარი მწერი მეორეთ აღარ უნდა დაიჭიროთ, ამი-ტომ რომ ყველანი ერთ-ნაირნი არიანო.“

როგორ თუ ერთ-ნაირნი არიან: ბეწელა, ბუზი, ჭრიჭი-ნა, ერთ-ნაირნი არიან!....

მაინცა-და-მაინც სულითა და გულით ვისურვებთ ამ გა-მოტემის სრულს წარმატებას და გაუმჯობესობას.

მოკლე ისტორია წმიდისა დიდებულისა და ძლევად შემო-სილისა გიორგისა. თარგმნილი რუსულიდგან მელქისედეკ ეპესკოპი-სგან. თბილისი. 1880 წ.

ტოლები დაგვარგეთ, კომედია ორს მოქმედებად, თხზულება ალექსანდრე სვიმონის-ძე გარსევანოვისა. თბილისი. 1880 წ.

ესეც ორი სასავშვო წიგნი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი სამოტ-ოთხმოტის წლის ბავშვებისთვის არის დაწერილი და მეორე კი დიდს ბავშვს შეუთხზავს. ბ. ალექ-სანდრე სვიმონის ძე გარსევანოვს წარმოუდგენია, ოღონდა-ლაპარაკი იყოს წიგნში ჩაწერილი, წინ სახელები მოუსხდეს, მოქმედებად დაიყოს და კომედია გამოვაო.

ორივე ეს წიგნი იმისთანა მკითხველებს იშოვიან, რომლებზედაც ლოგიკას ძალა და გავლენა აღარა აქვს. მაშ მეტს აღარას ვიტყვით; ღმერთმა ამ წიგნების ავტორები და მათი მკითხველები ერთმანერთს შეაბერონს, თუ ჯერ არ შებერებულან.

იმედი. ყოველ-თვიური სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი. წელიწადი პირველი. იანვარი. თბილისი. 1881.

ამ ერთის კვირის წინად, დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ გამოვიდა „ჟურნალის იმედის“ პირველი ნომერი. გვიამა ქართულს ენაზედ ახალის ჟურნალის გამოცემა, დავიწყეთ კითხვა თავიდამეე, წავიკითხეთ პირველი სტატია, მეორე... მოთმინებით შეკიჭურეენით, დავსძლიეთ მეორე, მესამე სტატიასაც და ქანც-მოწყვეტილნი ჩავედით ბოლომდის. ჯერ გვინდოდა დაწვრილებით გაგვეცნო ჩვენის მკითხველებისათვის ამ წიგნის შინაარსი, მაგრამ როცა გადავიკითხეთ ყოველივე სტატია ცალკე, კინალამ გვერდზედ მივაგდეთ წიგნი და კინალამ სიტყვა მივეცით ჩვენს თავს, იმედზედ ხმა აღარ ამოგვეღო და მიგვეცა დავიწყებას, რა ბედიც, უეჭველია, უჩვენოდაც მოელის ამ „ჟურნალს.“

მაგრამ ასეც არ იქნება:

ბევრი, ჯერედ არ გამონასკვულის გონების პატრონი, მოწიწებით უგდებს ყურს ყოველს ბეჭდვით წარმოთქმულს სიტყვას, თუნდა ეს სიტყვა შემცდარიც იყოს; და თუ ეს სიტყვა შესამებულია წარსულის ეარ-ყოფით, საზოგადო ასპარეზზედ გამოსულ პირთ დაცინვით, გვეხნით, ტრაბასით, უცნაურის მოძავლის დაპირებით, რომლისაც თითონ ავტორსაც არა გა-

ეგებ-რა,—მაშინ დაბეჭდილს სიტყვას შეუძლიან ბევრი სუსტი გონება აღტაცებაში მოიყვანოს, ბევრი დაავიწყოს, რომ ჩემი სიტყვა სიტყვაა და ჩემი დასაბერები უსათუოდ ასრულდებაო. აი ამ აზრით გასვიზრახეთ ჩვენ ნელ-ნელა იმედის გადათურცვლა და იმის შინაარსის გაცნობა. მაგრამ მარტო გადათურცვლით რა იქნება; მკითხველსა ვსთხოვთ, გადიკითხოს თვითონ ეს წიგნი და დარწმუნდეს, რომ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს ჩვენში, რაც არც-ერთს ცოტათიც არის ეეს-ადგმულს ქვეყანაში შესაძლებელი არ არის.

ერთი სტატია ამ ახალის ჟურნალისა „ივერიას" შეეხება და იმედი გვაქვს მკითხველი არ გაგვიცხაგს ცნობის-მოყვარეობისათვის, თუ პირველად ამ სტატიას გადავათვალიერებთ.

„იმედის" ბიბლიოგრაფია სინჯავს სათითოოდ შარშანდელის „ივერიის" მეოთხე ნომერს და წრეკანდელს პირველს; ყველა სტატიაზედ ცალკე ლაპარაკობს, ყველას ცალკე „უგებს ანდერძს," ყველას ცალკე «მიწასთან ასწორებს.»

დაწვრილებით ლაპარაკს არ შეეუდგებით; მხოლოდ ზოგიერთს მაგალითებს დავასახელებთ.

შარშან „ივერიის" მეოთხე წიგნში იყო დაბეჭდილი ვ. ო-ს ლექსი: „არის ადგილი." «იმედის» კრიტიკოსი ეუბნება ამ ლექსის ავტორს: ჩინებული პოეტი ბძანდები, მაგრამ ოთხს კითხვაზედ პასუხი მომიგეთო:

1) რამდენ ოქროდ ეღირება ის «ადგილი» და რაც იქ განძიაო.

2) ვისი და რამდენი კაცის ხელით არის ყოველივე ეს საუნჯე შეძენილიო.

3) რამდენი ჩაფი ოფლი დაღვრილა ამ განძის მოპოებაში და

4) რამდენი დღიური მოირწყოდა იმ ოფლითო.

რას იტყვით ბატონო კრიტიკოსო რომ თქვენს „ჟურ-

ნალში“ დაბეჭდილს „პოეტურს ლექსზედ: „ოსეფას ანდერძი“ გვეკითხა:

1) რამდენი წლისა იყო ოსეფა ეს ანდერძი რომ დასწერა,

2) ოსეფას მამას რა ერქვა?

3) სრულს ჭკუაზედ იყო თუ არა ოსეფა ანდერძის დაწერის დროს?

ჭკუაზედ შეშლილს არ დაგვიძახებდით?

არა ბატონო კრიტიკოსო, თუ პისარიევსა ჭბაძავთ, ცოტა მაინც პისარიევისთანა ჭკუა უნდა გქონდეთ, თორემ ის ხანდისხან ცრუ აზრს გააჭეშმარიტებდა ხოლმე და თქვენ კი მაგ ცოდნითა და ჭკუით ცრუ-აზრს უფროდაც გაატრუებთ.

ჩვენს ჟურნალშივე დაბეჭდილის „ბაღჩისარაიის შადრევანზე“ ამბობს „კრიტიკოსი“: რა საჭირო იყო ჩვენს დროში პუშკინიდამ ნათარგმნი და მთელს ოც-და-რვა გვერდზე გალექსული ბაღჩისარაიის შადრევანიო... ზოგმა გიმნაზიის შეგირდმაც კი კარგად იცის რომ ბევრი და თითქმის უმეტესი ნაწილი პუშკინის თხზულებისა თავისის მარგალიტის ენით არის შესანიშნავი და არა მათში გამოთქმული აზრებით, იდეებითაო.

იქნება ზოგს გიმნაზიის შეგირდს კი ასე ეგონოს, მაგრამ თქვენ არ უნდა გეგონოთ ასე, თქვენ, რომელსაც ყოველთვიურის ჟურნალის კრიტიკოსობა გიკისრიათ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ძვირად შეხვდება კაცი პუშკინის ლექსს, რომელშიაც აზრი და იდეა არა იყოს-რა გამოსატული. „ბაღჩისარაიის შადრევანი“-ს აზრი თუ თქვენ ვერ გიპოვიათ, ეგ რა პუშკინის ბრალია! მოჰკითხეთ პირველს გიმნაზიელ შეგირდს და ის შეგატყობინებთ.

ვინა სწუნობს მერე ბალჩისარაიის შადრევანს? „იმედი“ რომელსაც პოემისათვის „რიონი და მტკვარი“ პირველი ადგილი მიუცია. რასაკვირველია, იმას არათერად მოეწონება ხანის პალატისა და ჭარამსანის აღწერა პუშკინის კიდოთი, ვინც ამ ლექსებით აღტაცებაში მოდის:

„მტკვრის ბაასი რიონთან.“

„შავი ზეწარი ლურჯ სახოვანსა
ცასა ნელნელა პირს ეხდებოდა,
მის მაგიერი თეთრი მანდილი
განიერს მხრებზედ ეხურებოდა.“

ან ესა:

„აი ამ დროსა როს ბუნებაში
ამბავი დიდი ესე ხდებოდა,
როცა შავს ღამეს ნათელ დღისაგან
სახე სრულიად ეკაწრებოდა,—
სწორეთ ამ დროსა რიონთან მტკვარსა
ცხარე და გრძელი ბაასი ჰქონდა.
და რომ-მე იგი მრთლად ამეკრიფა,
სწორეთ ძვირფასი რამ იქნებოდა.“

„არის ადგილი“-სა და „ბალჩისარაიის შადრევანის“ კრიტიკაზედ არა ნაკლებ შესანიშნავია „ვეკეტილდის მოძღვრის“ კრიტიკა.

„იმედის“ კრიტიკოსს თავის-თავის იმედი რომ არა ჰქონია, ბელინსკის ზურგს უკან ამოჰფარებია და იქიდამ გამოიძახის, აი ბელინსკი რას ამბობს: „ვეკეტილდის მოძღვარი“ ჩვენს დროში რაღა საჭიროა, მაგ თხზულებას თავის დრო მოუჭამია და ეხლა რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო.

სხვის ზურგის უკან ამოფარებაზედ რომ იყოს ჩვენტ ტენის თხზულებას „ინგლისის ლიტერატურის ისტორიას“ გადავშლიდით და დავუმტკიცებდით „იმედის“ კრიტიკოსს, რომ ტენი აღტაცებაში მოჰყავს ამ თხზულებას. მაგრამ ჩვენ ესლა ლექციების საკითხავად არა გვცალიან. კრიტიკოსს ამასა ვსთხოვთ, თუნდა აიღოს კიდევ ბელინსკის წიგნი, ორიოდ ფურცელი გადმოშალოს და გვიპასუხოს, რას ამბობს საზოგადოდ ამ თხზულებაზედ ბელინსკი: გამოჩენილს თხზულებას (знаменитое твореніе) უძახის, თუ არა.

მაგრამ თუ ჯეუაზედ შემომწყრალი არა ბძანდებით ბატონო კრიტიკოსო, არ შეიძლება თქვენ თითონ დაიჭირდეთ და განსაჯოთ, აქვს რამე მნიშვნელობა თუ არა ამ თხზულებას, რომელიც მთელს ევროპაში განთქმული არის, რომელშიაც ნამდვილის მოძღვრის ცხოვრება არის გამოხატული და არა ზოგიერთა ჩვენებურ ფულის თაყვანის-მცემელ მღვდლებისა; აქვს რამე მნიშვნელობა თუ არა ჩვენთვის იმისთანა კაცის ქცევას, რომელიც შინიდამ გაქცეულს და გარეგნილ მეზობლისაგან შეცდომილს ქალი-შვილს მცირე საყვედურსაც კი არ ეუბნება და თავის უზომო სიყვარულით ისე ანანებებს მის შეცდომას, რომ არც-ერთს სასჯელს, არც-ერთს მწარე საყვედურს არ შეეძლო იმ გვარი მოქმედება. აქვს თუ არა რამე მნიშვნელობა ამ მაგალითს ჩვენში, სადაც ზოგიერთა ხალხში გამოსული პირნიც კი ქალის უმაწვილ-კაცთან მცირედის თავისუფლად ქცევისათვის, ქალს ქვეყანას ასალმებენ, და იმისთანა მაგალითიც მოსდა ჩვენში ამ ბოლოს დროს რომ ერთმა „პატივ-ცემულმა“ პირმა „გალასა“ ორი ქალი, თავისი შვილი და ძმისწული, ამა-და-ამ უმაწვილ-კაცს თავისუფლად რად ეკიდებოდითო.

ეი სწორედ თქვენზედ ითქმის, „შეგენდოთ შეცოდებანი თქვენნი, რამეთუ არა უწყით, რასა იქმთ.“

რისთვის შეურილან „იმედის“ თანამშრომელნი ერთად, საერთო რა აქვთ, რა აზრები უძევთ თავში, რა ცოდნა და რა განზრახვა, რა დაუკარგავთ და რას ეძებენ?

ეი რამდენი კითხვა გვიტრიალებდა თავში ამ „ურნალის“ გადათვალიერების დროს და ვერც-ერთისა კი ბეჯითი პასუხი ვერ ვიპოვეთ.

იცნობენ „იმედის“ თანამშრომლები ჩვენს ხალხსა თუ არა, იმ ხალხს, რომელშიაც იმათ ჭეშმარიტების სიტყვა უნდა გაჭეთანტონ და სიმართლე დაადგინონ?

როგორ არ იცნობენ? ეი რას მოგვითხრობს თვითონ რედაქტორი: ჩვენს ხალხს სხვა-და-სხვა ცუდი ჩვეულებები უნდა დავაშლევინოთო: ქელეხები, დიდი ქორწილების, ნათლობების გარდასდა, დღეობებში წასვლა უნდა მოვსპოთო. თუ მოწინავე საზოგადოება დაუტევებს აღწერილ ჩვეულებათ, მდაბალი ხალხიც იმას მიჰყვება, რადგან მიბაძვითა სცხოვრობსო.

ეგ კარგი, მაგრამ თქვენი თანამშრომელი *,* რომ სხვას გვეუბნება. რაც უნდა კარგად აუხსნა გლეხს, რომ ასე მოქცევა სჯობს და ისე არაო, მაინც ვერ დასძლევთ იმის ჯიუტობას; ის სულ იმას იმახის: ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო...

რომელს ერთს დაგიჯერონ სიტყვა?

ჩვენ ვიცით რომელსაც,—არც ერთს, მაგრამ ბრალი იმისა, ვინც თქვენით ჯაჭვის სწავლებას მოინდომებს!

რა სწადიან „იმედის“ თანამშრომლებს? რითი უნდათ ჩვენი ქვეყანა ფეხზედ წამოიყენონ?

ერთი თანამშრომელი ტურგონზედ და ურემზედ ლაპარ-

რაკის შემდეგ ამბობს: მეურნეობის ფეხზედ დასაყენებლად საჭიროა ყოველს სოფელს საკუთარი დეპო ჰქონდეს, საკუთარი ბაზარიო.

მაშ რაღად უწერება ბ. აბდუშელიშვილი იმავე „იმედში“ როსტომაშვილს, როგორ თუ შენ გაბედე და „იგერიაში“, წარმოსთქვი დეპოები ძალიან საჭიროა ჩვენის სოფლელებისათვისაო.

რას ებრძვიან „იმედის“ თანამშრომლები?

ენის და ეროვნების დამჩაგვრელებს?

ეგ რა პასუხია. ვინ გვარომეკს, „ქართულ მწერლობის“ ავტორის სიტყვით, ან ენას, ან ჩვენს ჩვეულებას? რა საჭიროა, იმავე ავტორის სიტყვით, იმის დაცვა, რასაც არავინ გვედავება.

მაშ რას მიედ-მოედებით „იმედის“ შინაურ მიმოსილვის ავტორო და იმასით, რომ ჩვენს ენას სასამართლოებში ვეღარ ვსმარობთო, ნეკერეოვმა მეშვიდე კლასიდამ ჩვენი ენა პირველ კლასში დაბრუნაო და ქართულ ენის მასწავლებელი ჯაგლაგ მოქირავეთ გაჭსადაო!

„იმედის“ სტატიებში უფრო შესანიშნავი სხვებზედ თავის „სიფუძვლიანობით“ არის „ერთი მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.“ ეს სტატია თვითონ რედაქტორის კალამს ეკუთვნის და ამბობს, ჩვენმა სალხმა უნდა მოსპოს ყოველივე ის ჩვეულება, რომელიც ბევრს ხარჯსა თსოულობსო: ადარც ქორწილის დროს უნდა გამართოს წვეულება, ადარც ნათლობაში, ადარც დღეობებში იაროს, რადგან ამ სალხის შეკრებილებაში ჭურჭლის მტვრევისა და უბრალოდ ღვინის ქცევის მეტი არა გამოდის-რაო.

კარგია, თქვენმა მზემა! თითონ ეს განათლებული პირები, ზოგი ბალში დაბძანდება, ზოგი თეატრში, ზოგი სად

ატარებს დროსა, ზოგი სადა, და გლეს-კაცს კი უნდა მოუსპონ ერთად-ერთი დროს გატარება, სადაც იმას შეუძლიან სული მოიბრუნოს, თავისი მზგავსები ნახოს, პატარა სანს დაობებულს ცხოვრებას თავი დაანებოს და იგრძნოს, რომ ისიც კაცია, ისიც სალხში ტრიალებს, ტოლი და ამსანაგი იმასაცა ჰყავს.

ამავე სტატიაში „იმედის“ რედაქტორს სხვათა შორის ორი ასალი რამ გამოუჩენია: ერთი ესა რომ თუჯი დედა-მიწაში იპოება, მეორეც ესა, რომ სასიმინდოდ და საფეტვოდ შემოდგომაზედა სვნენო.

აი ამისთანა პირნი გამოდიან ასპარეზზედ, მოაქვთ თავი, რომ სალხისთვის გული სტკივათ და იძახიან ჩვენ „მწერლობას დავამწესებთ და გზაზე დავაყენებთო.“ შემდეგ ამბობენ:

«ჩვენ არც არავის ნიჭში გამოვეტოლებით, არც არავის სწავლაში. ჩვენ თუ ჩვენი თავის იმედი მომეტებულათა. გვაქვს, ეგ სულ სხვა მიზეზია. და ამ მიზეზის გამოკვლევაც დაგვანახვებს, რომ თუმცა ჩვენ ჯერ არავინ გვიცნობს, მაგრამ ჩვენსა და ჩვენ წინა-პრებ შუა ისეთი განსხვავებაა, რომელიც უფრო ჩვენკენ ილაპარაკებს, ვიდრე ჩვენი წინა-პრებისკენ. არც ნიჭის საქმეა აქა და არც სწავლისა. ჩვენი იმედი დამყარებულია მხოლოდ ამ განსხვავებაზედ.»

უკაცრავად, მკითხველო, და კიდევ უკაცრავად, რომ ამდენი სანი იმისთანა პირებზედ გელაპარაკეთ, რომელნიც თითონვე აღიარებენ ჩვენთვის არც ნიჭია საჭირო, არც სწავლა, ისედაც კარგნი ვართო. ნუ მოგიშალოთ ღმერთმა ეგ თქვენის თავის იმედი.

კარგი ნიშნები!

უკანასკნელს დროს ზოგიერთმა კერძო პირებმა სხვა-დასხვა ქველ საქმისათვის შესწირეს ზოგი თეულით, ზოგი წიგნებით.

ეს ჩვენ კარგს ნიშნებად მიგვაჩნია.

ეოვლად-სამღვდელო ალექსანდრე გორის ეპისკოპოსმა ალთქმა დასდო შესწიროს ორი-ათასი თუმანი თბილისის სემინარიაში ქართულ ენის კათედრის დასაარსებლად. ამ თეულისა, ნასეკარზე მეტი შეტანილია პრიკაზში ეოვლად-სამღვდელოსაგან. მანვე შესწირა 500 მან. ქართულის საეკლესიო გალობის ალსადგენელად, 200 მან.—სასულიერო წიგნების გადმოსათარგმნელად და სხვ.

თ. ივ. კოსტ. ძე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ შესწირა 500 მ. წერა-კითხვის საზოგადოებას და 500 მ. თბილისის სათავადაზნაურო სკოლას.

თ. კოსტ. ივ. ძე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას 1000 მან. ბილეთი,

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა შესწირა იმავე საზოგადოებას ორი მომგები ბილეთი, რომელნიც 450 მანეთამდე ღირან.

ცხინვალის სტენის მოუკარულთ იმავე საზოგადოებას შესწირეს 84 მან., სურამის სტენის მოუკარულთ იმავე საზოგადოებას შესწირეს 50 მან. ამას გარდა იმავე საზოგადოებას შესწირეს სელთ-ნაწერი წიგნები: ილია ჭავჭავაძემ, ფ. ი. შალიკოვმა, ალექსანდრე სარაჯოვმა.

დაბეჭდილი წიგნები შესწირეს: ეკვთიმე ხელაძემ, გრ. ჩარკვიანმა, ზ. ჭიჭინაძემ და ი. დავითაშვილმა.

ი 383
1881

დროება-ივერია

1881 წელს ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვე ორ ნაკვეთ ხუთის დიდის თაბახისა ასალის ფურცლის პროგრამით და ასევ თანამშრომლების დახმარებით.

ყოველ-დღიური გაზეთი «დროება» გამოვა იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

ოპილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გალავანის პროსპექტზედ, თ. ივ. კ. მუსრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონიასთან (სილაზედ, მირიან ჭყონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ჟურნალ-გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.

ფასი.

	1 წლით.	6 თვით.	3 თვით.
«დროება»ს «ივერია» ორივე ერთად	14 მან.	8 მან.	5 მან.
«ივერია» ცალკე — —	7 მან.	4 მან.	2 მან.
«დროება» ცალკე — —	9 მან.	5 მან.	3 მან.

ჟურნალ-გაზეთის ფული ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რომელს ხელის-მომწერსაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვა, უმორჩილესად ვთხოვთ გვაცნობოს რედაქციაში და ვეცდებით მალე გავუგზავნოთ დაკარგული ნომერი.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე ს. მესხი.